


თავადშერვაშიძეების  
სურბი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ген. Королевский дворец. Мал. Кавалероо Ордене Денеброк.

## თავადშერვაშიძეთა საგვარეულო

### აჭარაში

(ისტორიული ნარკვევი)

ბათუმი

2016

## ავტორის აგან

1998 წელს მოსკოვში სერიით „Дворянские роды Российской империи“ გამოიცა მეოთხე ტომი სახელწოდებით „Князья Царства Грузинского“, რომელიც ქართულ ფეოდალურ გვარებს მიეძღვნა. სამწუხაროდ წიგნში არ არის მოხსენიებული წარჩინებულ გვართა აჭარის შტოები, კერძოდ შერვაშიძეთა საგვარეულო, რომელიც ამ წიგნში მოხსენიებულია, როგორც Светлейший род (ბრწყინვალე საგვარეულო).

აჭარაში შერვაშიძეთა გვარის არსებობა და მათი მონაწილეობა ამ კუთხის მართვა-გამგეობაში დასტურდება სხვადასხვა ისტორიული წყაროებით. მათ მოიხსენიებენ ცნობილი მეცნიერი-მკვლევარები: დიმიტრი ბაქრაძე, პრასკოვია უვაროვა, ზაქარია ჭიჭინაძე, თედო სახოკია, ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი და სხვანი.

წინამდებარე ისტორიულ ნარკვევში ასახულია 1790-2015 წლების პერიოდი, დართულია 14 გენეალოგიური ტაბულა.

ჩემს მიზანს შეადგენს მკითხველს მივაწოდო გვარის ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთი, მიმოვიხილო წინაპრების დამსახურება, მადლიერება გამოვხატო მათ მიმართ, ვინც დღემდე სასახელოდ მოიტანა გვარიშვილობა.

აჭარაში მცხოვრები შერვაშიძეები ვართ ერთი ნაწილი იმ დიდი სანათესაოსი, რომელსაც თამამად შეუძლია თვალი გაუსწოროს გარდასულ დროთა ქარტყილებს და ჭეშმარიტად დაუდასტუროს ყველას, რომ სწორედ იმ დიდგვაროვანთა შთამომავლები არიან, ჯერ კიდევ მეფე თამარის ეპოქიდან რომ მოიხსენიებდა მათიანე.

ამ წიგნის პირველი შავ-თეთრი გამოცემა დაიბეჭდა 2005 წელს ბათუმში 300 ეგზემპლარი ჯუმბერ ბერიძის, იაშა ნაზიმისძე, რომან უსუფისძე შერვაშიძის გვერდში დგომით.

ოგივე წიგნი გადაამუშავებული და შევსებული სახით გამოვიდა 2013-2014-2015 წლებში, ფერადი 100 ეგზემპლარი ჩემი და იაშა ნაზიმისძის დაფინანსებით.

ოგივე წიგნი გადაამუშავებული და შევსებული სახით გამოვა 2016 წელს მცირე ტირაჟით ჩემივე დაფინანსებით.

**რედაქტორი :** - **რამაზ სურმანიძე** - პროფესორი

**რეცენზენტები :** - **ზაურ გოგიტიძე** - ისტორიკოსი

**გულიკო შერვაშიძე** - პროფესორი

**შაქრო ჩიკვაძე** - ფილოლოგი

**წიგნი ეძღვნება:**



- 84 წლის გარდაცვლილი დედის – **აიშე (თამარ) ქიქავა-შერვაშიძის,**
- 61 წლის მძახლის - **დავით სუბატაშვილის-**
- და 62 წლის – **თავადი გია გივის-ძე შერვაშიძის-** ხსოვნას.



აიშე (თამარ) ქიქავა

(1931-2015)

*„სანამ დედა ჰყავს კაცს, მუდამ ახალგაზრდად ითვლება“.*

*\* კონსტანტინე გამსახურდია \**



ეროვნული  
გინგლირთევა



*დავით სუბატაშვილი*

*(1953-2015)*

სრულიად საქართველოს და თბილისს დააკლდა კაცი! ოჯახს, ნათესაგებსა და მეგობრებს აღარ გვყავს ღირსუელი ადამიანი, მუდამ გვერდში მდგომი, ღვინისა და ჭირის გამწიარებელი, ქალაქის ინტელიგენციის ჭეშმარიტი სახე, სიკეთის უანგარო მთესველი, ჩვენი „გურამოვინი,,...

ღიას, შენსავით კეთილშობილი, უშურველი, უბოროტო ადამიანების გარდაცვალებას უძღვნა დიდმა გალაქტიონმა:

«მიდინარ...

ტკბილი გქონდეს მგზავრობა!..

სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი.

ვინა თქვა შენი გარდაცვალება?

არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი!»..

თავშესაფარი კი იმ ადამიანთა უნაკლო გულებია, რომლებშიც მათი მიწიერი ცხოვრების განმავლობაში სანთელივით იგიზგიზებს ხსოვნა თბილისელი ღიმილიანი ვაჟკაცის- დავით სუბატაშვილის, ცხოვრებას რომ უხალისებდა გარშემომყოფებს და ალაპაზებდა ათბილისს.

*ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილშობილი სული, ნათელთ კაცო!*



თავადი გია გიგვის-ძე შერვაშიძე

(1952–2015)

დაიბადა გალში 1952 წელს. 1968 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდგომ სტავროპოლის სამედიცინო ინსტიტუტი.

წლების განმავლობაში მუშაობდა ლენინგრადში მკურნალ ექიმად, შემდეგ სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ქირურგად.

1979 წლიდან მოსკოვის მეორე ქირურგიული საკავშირო კვლევითი ცენტრის ექიმ –ორდინატორია. 1979 წლიდან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია, სოხუმის რკინიგზის საავადმყოფოს განყოფილების გამგე, აფხაზეთის ა. რ. ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი, თბილისში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი, შემდგომ შინაგანი ჯარების ჰოსპიტალის უფროსი .



2001 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის რეგიონალური მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ლუდუშაურის ეროვნული ქირურგიული ცენტრის ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

- აფხაზეთის თავად-აზნაურთა სადროშოს თავმჯდომარე.

2015 წლის 10 სექტემბერს გაჩერდა მაჯისცემა ვაჟკაცი კაცის - „სუპერ გიას,-ი. ასე ეძახდნენ მეგობრები და ნათესავები მოფერებით. – ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ინტელიგენციის ბრწყინვალე სახე, ამოუწურავი ენერჯისა და შესაძლებლობების მქონე პიროვნება, შეუდარებელი იყო ამა თუ იმ საქმის წამოწყება-მართვაში. ღირსეულ წინაპართა ტრადიციების გამგრძელებელი. –ჭირისუფალიც იყო და ლხინის- უფალიც!

2015 წლის 15 სექტემბერს მისი გამოსვენება მოხდა წმინდა სამების ეკლესიიდან. საქართველოს კათალიკოს -პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ პარაკლისი გადაუხადა და გზა დაულოცა მუდმივ სასუფეველში.

ისღა დაგვრჩენია, ჩვენი ლოცვა შევუერთოთ და გაცხადდეს „სუპერ გიას,, ოცნება - აღდგენილ იქნას აფხაზთა და ქართველთა ისტორიული ერთობა.

მისი ნეშთი დაესვენა და მუდმივი სამყოფელი მიეჩინა ნუცუბიდის პლატოზე ახლად გახსნილ კერძო სასაფლაოზე.

*ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილშობილი სული, ნათელი კაცო!*

***ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიისათვის***

***„გამარჯობა, აფხაზეთო შენი!“***

გამარჯობა, აფხაზეთო შენი  
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია,

მომენატრა მზე, სინათლის მფენი,  
მომენატრა ზღვა, რომელიც შორია...

მომაგებე შენ იგივე პალმა,  
სად ოდესმე მშვენებდა ქალმა

გადაწერა ჩუმად ლექსი ჩემი,  
მომაგებე მშობლიური გემი,

მიმაგებე მშობლიური მიწა  
შენი ძველი მეგობარი მიცან!

\* ვალაქტიონ ტაბიძე \*



### შესავალი

ძირძველი ქართული და ისტორიული გვარების თემა დღეს მეტად პოპულარულია, განსაკუთრებით მეშუაეულ და სამეცნიერო ლიტერატურაში.

საქართველო ოდიოგანვე გამოირჩეოდა ცნობილი ისტორიული გვარების სიმრავლით. ეს განპირობებულია პოლიტიკურ-სოციალური გარემოებით: ჩვენს წინაპრებს გამუდმებულ ომებში სწორად უხდებოდათ სამშობლოსადმი ერთგულების დამტკიცება, რის სანაცვლოდაც მეფე ტიტულებითა და მამულებით აჯილდოებდა გამჭრიახ და თავდადებულ მებრძოლებს. დღეს ცოტა გაუცხოებული და გაუბრალოებულია კეთილშობილი გვარებისადმი მიდგომა, რატომღაც ითვლება, რომ თავადაზნაურობა მხოლოდ მდიდრების კლასს წარმოადგენდა. ეს მცდარი მიდგომა კომუნისტური მენტალიტეტის გადმონაშთია.

მომხდურისაგან თავდასაცავად ყანაში მიმავალ ქართველ გლეხს თონთან ერთად თოფ-ხანჯალიც მიჰქონდა, დიდგვაროვანი ქართველი იარღითან ერთად წიგნსაც იასლებდა.

თუკი დღეს საქართველოში ტრადიციულ ინტელექტზე, კულტურაზე, მეცნიერებასა და ხელოვნებაზე ვსაუბრობთ, ამაში ლომის წილი უძველესი გვარის გამოჩენულ შვილებს მიუძღვით.

უნიკალური ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებაც ხომ თავადაზნაურობა მოიტანეს ჩვენამდე.

შერვაშიძეების (შარვაშიძე, ჩახბა) გვარი ქართულ დიდგვაროვნულ თანაგვარსკვლავედში ერთ-ერთი უძველესია და მისი ღირსეული წარმომადგენლები განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ აფხაზეთის, საქართველოს და მთლიანად კავკასიის ისტორიაში.

ნათქვამის დასტურად თუნდაც საქართველოს მგონისა და პოეტის აკაკი წერეთლის, აფხაზი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილის გიორგი შარვაშიძისა და გენერალ თათრახან დადემქელიანის უნადო და სანიმუშო, ჯანსაღი იუმორით შეწავებული მეგობრობის ისტორია გავიხსენოთ.

**აკაკი წერეთელმა ლექსი მიუძღვნა გიორგი შარვაშიძეს:**

„შენი ტკბილი საუბარი მიყვარს, როგორც ქებათ-ქება,  
შენი ნახვა ნერვებ-აშლილს სამკურნალოდ შემერგება!  
ეს შენც იცი, მაგრამ ძმაო ცოტას მოიფხაზურებ!  
ახალ-ახალს რომ მონახავ, ძველებს აღარც კი გვიყურებ,  
ეს არ არის მოსაწონი.  
მეფიცები ზენა არსსა, ნათქვამია: ნუ დააგდებ  
ძველსა გზას და მეგობარსა.  
თათრახანი ჩამოსულა, მაგრამ ჩემთვის სად მოიცდის

დღე სძინავს და დამე ლოთობს,  
თამაშობს და ყანწებსა სცლის”.



**გორგი შერვაშიძის აკადემიური პასუხად დაუწერია:**

„შენი ტკბილი მგოსნის ენა, რა ხანია არ მსმენია.  
ფუტკარმაც კი იცის კბენა, მაგრამ თაფლის გამჩენია.  
რაც თუნდ მითხრა მეგობარო, მე შენს შეგირდს მაძლევეს ღვინას  
რადგან ვიცი უკეთ ხარო,  
მაღლსა ვწირავ ცას და ზენას,  
მაგრამ შენსა მაღალ ნიჭსა არ შეჭყერის უმართლობა,  
მოჭყობისარ ცოტა ჭონსა, მოგრევი იმერლობა,  
სვანი ყანწით გადღეგრძელებს,  
მე, აფხაზი - წრფელი გულით.  
ვით სცოდნიათ ჩვენსა ძველებს  
ხუმრობით და სიყვარულით”.

\*\*\*

შერვაშიძეების გვარის წარმომავლობის რამდენიმე ვერსია არსებობს.

მეცნიერების მიერ გვარის წარმომავლობის ყველაზე გაზიარებული ვარიანტი – შირვანის მბრძანებელს, შირვან შაჰის სახელს უკავშირდება. გადმოცემით დავით აღმაშენებელმა თავისი და მიათხოვა შირვანის შაჰის ძეს (შირვანის უფლისწულს) და გაგზავნა აფხაზეთის მთავრად. XII – XIV საუკუნეებში ამ გვარის ქართული ფორმა იყო შარვაშიძე, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „შირვანშაჰის ძეს”

ერთ-ერთი ვერსიით, შერვაშიძეები წარმოშობით სამეგრელოდან არიან. ამ გვარის მეგრული ფორმა „შარაშია...“ ფიქრობენ, რომ ვინაიდან სიტყვა „შარა-ს“ უკავშირდება, მოხუცს უნდა გულისხმობდეს, მაგრამ ეს ლეგენდას უფრო განეკუთვნება, ვიდრე სინამდვილეს.

ასევე, არსებობს მოსაზრება, რის მიხედვითაც შერვაშიძეები სვანეთიდან ჩამოვიდნენ აფხაზეთში. თუმცა დღემდე ზუსტად არ არის დადგენილი ამ ვერსიიდან რაა სიმართლე, ის კი უდავოა, რომ შერვაშიძეები მოგვიანებით დამკვიდრდნენ აფხაზეთში.

ბრველად წერილობით დოკუმენტში ქუაბულელი ოთალო ჭაჭას ძე შარვაშიძე მოიხსენიება. მისი მთავარსარდლობით ქართულმა ჯარმა ალყა შემოარტყა ანაკოფიის (ამჟამად ახალი ათონი) ციხე-სიმაგრეს 1046 წელს, რომელიც ბიზანტიელებს ჰქონდათ დაპყრობილი. საქართველოს მეფე ბაგრატ IV მაშინ მოულოდნელად თბილისში დაბრუნდა, რადგან გარდაიცვალა თბილისის ამირა ჯაფარი. მეფემ ჯარის სარდლობა ოთალოს მიანდო.

თამარ მეფის დროს ოთალოს შთამომავლები ცხუმის მმართველი თავადები გახდნენ.

სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით ფიქრობენ, რომ ამ გვარის აფხაზური ფორმა „ჩაჩბა“ აქედან უნდა მომდინარეობდეს (აკადემიკოსი თ. მიხუანი „აფხაზეთის მეფეები და მთავრები,“ 1997 წ., გვ. 38).

XII საუკუნიდან ცხუმის სამთავროს ოთალო შერვაშიძის შთამომავლები მართავდნენ.

XV–XVI საუკუნეებში შარვაშიძეები უკვე დამოუკიდებლად ბატონობდნენ აფხაზეთის სამთავროში, თუმცა, ეს მხარე ფორმალურად იმერეთის სამეფოში მოიაზრებოდა. ამ გვარის აფხაზური ფორმა ზემოთხსენები „ჩაჩბა“ - სიტყვასიტყვით „თავადისთავადს“ ნიშნავს.

აფხაზეთის ერთ-ერთი მთავრის ბოლუხ შერვაშიძის შემდეგ ეს თანამდებობა მისმა ბიძაშვილმა, თავადმა ქელეშ – ბეიმ დაიკავა.

აფხაზეთი გარეგნულად ინარჩუნებდა თურქეთის ვასალობას, სინამდვილეში დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა.

ცნობილია, რომ ქელეშ – ბეიმ ჯერ კიდევ 1804 წელს ფარულად ითხოვა რუსეთის მფარველობა.

ოსმალებმა იარაღით რომ ვერ შესძლეს ქელეშ-ბეის დამორჩილება, შეთქმულება მოუწყვეს მისივე შვილის ასლან – ბეის ხელმძღვანელობით, რომელმაც მოკლა მამა და ხელთიფდო მართვის სადაგებები.



## Глава 10. Лыхненское восстание и окончательное покорение Кавказа

По решению Имперской администрации, Абхазия с Самурзаканью и Цебельдой образовали Сухумский военный отдел, начальником которого был назначен полковник Коньяр. Как описывает абхазский миссионер, протопиерей Давид Мачавариани, в июле 1866 года в Бзыбском округе, практически из-за пустякового спора, связанного с разбором сословно-поземельных вопросов, возник конфликт с российской администрацией, угрожавший переходом в массовое возмущение по всей Абхазии и возможным переселением населения в Турцию. Полковник Коньяр, взяв с собой князей Георгия (сына Михаила) и Александра (Сулейман-пашу) Шервашидзе, 25 июля прибыл в Соук-Су, для встречи с народом. Поводом послужило начинавшееся восстание Бзыбских абхазцев, недовольных начавшейся земельной реформой и попыткой освобождения крестьян, которые просили разрешения отправить депутацию к наместнику, или же позволить им переселиться в Турцию.

Историография не позволяет установить истину, но прозвучали выстрелы. Мачивариани Д. полагает, «что дело обстояло совершенно иначе. Он считает, что представители Абхазии не просили переселиться в Турцию, а просили допустить их к Наместнику для выражения своих просьб. Коньяр действительно хотел уважить их просьбу, но тот же Черепов отговорил его...» Следовательно «Вся вина лежит на чиновнике Черепове, который, не ознакомившись с правами, обычаями и нуждами населения, пожелал сразу ввести в действие все предложенные им свои проекты. Он издевался над князьями и дворянами, угрожая, что едва ли они будут причислены к привилегированным сословиям. Издевался и над представительницами женского пола, задевая самые священные чувства населения... и, когда Коньярь действительно крикнул исполнить все предложения Черепова, то в тот же момент кто-то из толпы дал выстрел, а затем пошло то ужасное избиение, о котором нельзя вспомнить без содраганья... И вот, когда изрубили Черепова, абхазцы со своей стороны прибегли к тому же издевательству над его труном» (Из Мачивариани Д., 1913)..

Коньяр был убит, мертвое его тело, как и тело Черепова, было растерзано разъяренной толпой, перебиты с исключительной жестокостью сопровождавшие его чиновники и, не оказавшие сопротивления 54 казака, которым велено было расседлать лошадей и предаться обычному отдыху, а также ни в чем не повинная, свита. А затем пошли погромы. Разгромив селение Гудауты, абхазцы двинулись в Сухум и в Пицунду, чтобы и их разгромить. В Цебельде бандиты грабили оставленные дома, напали на укрепление. В погромах приняло участие до 20 тысяч человек. (Следует понимать: либо пришлось громить самих себя, либо в этих городах и селениях еще абхазов не было, там жили другие этнические группы населения. Скорее справедливо второе предположение, поскольку, как оказалось, в этой ужасной кровавой драме остались целыми только сын князя Георгий, его дядя, Александр, и переводчик начальника отдела дворянин Георгий Ткецишвили, кавтвел).

29 июля в лагерь повстанцев прибыл князь Георгий Михайлович Шервашидзе. Его сопровождала свита с развернутым княжеским знаменем. Провозглашались требования о мести за смерть отца Георгия – князя Михаила (Хамут-бея), «убитого русскими». И даже Георгий не выдержал – вскочив, он вскричал: «Отец мой никогда не был убит русскими, а вы, омыв руки кровью невинных моих гостей, хотите сделать меня виновником всего этого» (Эсадзе С. 1907, с. 260).

Введенные войска прекратили эту вакханалию. Главные виновники возмущения были наказаны, население разоружено, а все население Цебельды и Далсакого ущелья со своими князьями Маршан, за исключением нескольких князей, не принимавших участия в бандитском разбое и остававшихся верными России (и Абхазии!), в количестве до 20 тысяч переселено в Османскую империю (Мачивариани Д., 1913). По свидетельству лиц, близко знавших ситуацию, считают, что в период «четвертой волны» из Абхазии выселилось до 60 процентов всего населения, две трети которых погибло по пути в



Малую Азию, в самой Турции, по пути из Турции в Абхазию, т.е. среди тех, кто возвращался на родину; некоторые абхазские племена совершенно исчезли, погибнув во время переездов.

После войны 1877-1878 годов уход махаджиров из страны еще больше усилился. По договору между Россией и Турцией – им не позволялось возвращаться обратно на родину и, по условиям Сан-Стефанского договора (19. II. 1878 г.) они могли селиться в Батуми и его окрестностях, где их потомки живут в Аджарии и сейчас.

Основной причиной возмущения, как объясняет абхазская историография, явилась подготовка к проведению здесь крестьянской реформы. Участник этих событий, сын Михаила Шервашидзе, князь Георгий Шервашидзе писал: «Объявление манифеста народу на почве крепостной зависимости, не существовавшей в этом народе, следовательно, не применимого к нему, явилось всецело непростительной ошибкой со стороны чинов администрации...».

Сыграло определенную роль и надменное отношение приезжих чиновников к народу. Князь Георгий Михайлович Шервашидзе отмечал в связи с этим: «В абхазах совершенно отсутствует чувство подобострастия, и они ненавидят всякого, кто к ним относится надменно, свысока. Участковый начальник, некто Измайлов требовал на сходе, в поле, чтоб ему отвечали, снимая шапку. Один из присутствовавших, по фамилии Микамба, ответил, что «мы шапки снимаем только в церкви, а святого Измайло мы еще не знаем». За дерзкий ответ он был арестован и сидел в сухумской крепости несколько месяцев» (Шервашидзе Г.М. 1910).

Современная абхазская историография указывает, что причиной восстания 1866 года явился «грабеж мирного населения Абхазии». Трактуются это так: «Участник этих событий, сын Михаила Шервашидзе (Чачба), князь Георгий Михайлович писал по этому поводу «Чиновник и ближайшее начальство, которым было поручено введение реформы, не потрудились даже изучить условия сословных отношений страны. Дело в том, что в Абхазии не существовало де-факто (*Фактически на деле – Станислав Лакоба*) крепостной зависимости... Народ не мог понять, от кого и отчего его освобождают». Крестьяне, считавшие себя свободными, возмутились, а князья и дворяне, оскорбились, что они, оказывается, владеют не свободными людьми, а «рабами», с которыми были связаны молочным (аталычеством) родством» (Лакоба С. 1990, с. 25).

Несколько иной взгляд на это событие высказывает Г.А.Дзидзария: «крестьянство Абхазии выступало не против реформы, а против крепостнического характера данной реформы, против выкупа, обезземеливания, против господства помещичьего землевладения, а также против самодержавного деспотизма» (Дзидзария Г.А. 1955, с. 71).

✓ Трудно понять, на кого рассчитаны такие объяснения – ведь в абхазском социуме было узаконено рабство в разных, многогранных формах, и нет необходимости это затушевывать. Следует прислушиваться к собственным классикам: «Абхазский народ делится на 5 состояний: на князей (тавад), дворян (амиста), среднее состояние между дворянами и крестьянами (ашнакума), крестьян (анхаю) и рабов (агыруа). Князья обязаны повиноваться владетелю, не платят никакой подати и не подлежат никакому наказанию, кроме пени. Они вправе владеть землею, иметь крестьян и рабов». Рабов имеют и абхазские дворяне и ашнакума – телохранители и крестьяне. Рабами являются как коренные абхазцы, так и люди, захваченные на войне или приобретенные грабежом, и являются собственностью хозяина, но обязаны, при работе на хозяина, обеспечивать себя сами. Дети раба – собственность хозяина, он может их продать, обменять на товар (Дзидзария Г.А., 1976, с. 120).

Возможно и так, все это имело место быть - но чем объяснить эту неоправданную жестокость, дикость? Ведь обсуждение проблемы о земле и крепостном праве в Абхазии – не причина для провокации смертоубийства (если только обсуждение шло не с бандитами), а, несомненно, явилось только поводом для конфликта. Причины лежали значительно глубже.



Основная причина была совсем другая и, как обычно, довольно банальна. Власть в 1864 году, одновременно с высылкой владетеля, князя Михаила Шервашидзе из Абхазии в Россию был упразднен институт владетельных князей, и страна стала Сухумским военным отделом. Но Михаил был еще жив. А вот после его смерти турки предложили Георгию, его сыну, свергнуть Российскую власть при их помощи, конечно же, а потом, будучи уже под их протекторатом, они вернут все на круги своя. Молодой Георгий вряд ли был готов на такой поступок, но его дядя, брат покойного владетеля, Михаила (Хамутбея) – Александр, несомненно, был одним из организаторов этого побища. Он являлся представителем реакционной феодальной верхушки, мечтавшей возродить прежнюю Абхазию, полагаясь на помощь Турции, и его роль в Лыхненском восстании была основной (Дзидзария Г.А. 1958, с. 460-467).

Российская администрация об этом знала и, дабы исключить подобную возможность, после восстания 1866 года генерал - адъютант князь Святополк-Мирский, будущий зам. наместника на Кавказе, призывал удалить из Абхазии весь владетельный дом Шервашидзе, что позже и было осуществлено. Внимательное прочтение статьи Г.М.Шервашидзе позволяет уточнить некоторые моменты «странного бунта 1866 года». Во-первых, приласканный в последние годы своей жизни русской администрацией Георгий Шервашидзе, делает попытку показать не просто лояльность владетеля к России, но и полное подчинение и взаимопонимание по отношению к ней, полагая, что никаких конфликтов, как и войны с Россией у Владетеля и абхазов быть не могло. И, что если такие явления имели место быть, то это «говорится о непокорных горцах абхазского племени..., народе Псхо и Ахчипсхо..., который ничего общего в своей политической жизни с Абхазией не имел и никогда в состав княжества абхазского не входил...», т.е. имеет место дистанцирование абхазов от воинственных горцев.

Российская историография говорит о другом. Уделяя много места в своей статье диалогу между чиновниками администрации Наместничества и абхазцами во время схода, Г.М.Шервашидзе умалчивает о том, что во время этого бунта был убит не один Коньяр, как скромно отмечает автор, а около сотни русских чиновников и солдат, не ставших, или не успевших даже как-то защитить себя. И эту расправу учинили не горцы, а именно абхазы, вопреки декларируемому тезису, что «абхаз не убивает безоружного». Может по прошествии около 50 лет сам бунт и его мотивация видится по иному (особенно, если не хочешь видеть некоторые мерзкие его моменты).

И после смерти владетеля в стране имели место восстания, что было сопряжено с русско-турецкой войной 1877-1878 годов, проходившие при поддержке десантов махаджиров, высадившихся на всем побережье Абхазии. Сторону махаджиров приняло все население страны. Восстание было подавлено российскими войсками, а по отношению к населению, оказавшему неповиновение и принявшему сторону врага, Турции – последовали репрессии и наказания, в частности, ему запрещалось селиться в прибрежных районах страны (Лакоба С. 1990, с. 34). Этот указ был отменен Николаем II царским повелением только 27 мая 1907 года.



ორი წლის შემდეგ რუსეთის ჯარმა აფხაზეთიდან ასლან – ბეიცი გააძევა, თუმცა უკვე რამდენჯერმე შეეცადა თურქეთის დახმარებით აღედგინა ძალაუფლება.

ასლან ბეის ძმამ თავადმა სეფერ – ბეი შერვაშიძემ ბოლომდე სცნო რუსეთის იმპერიის პროტექტორატი, რუსეთის მთავრობის დახმარებით ის აფხაზეთის მთავრად დაინიშნა. სეფერ – ბეი მართლმადიდებლად მონათლა და – გიორგიო იწოდებოდა. ქრისტიანულად მონათვლამდე ჰყავდა სამი ცოლი, შემდეგ ჯვარი დაიწერა სამეგრელოს მთავარ კაცია მეორე დადიანის ასულ თამარზე.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, მხეილ გიორგისძე შერვაშიძე (ჭამუთ-ბეი), რუსეთის იმპერიის კარზე დაახლოებული პირი იყო; რუსეთის არმიის სამსახურისათვის დააჯილდოეს წმინდა სტანისლავის, წმინდა ვლადიმერის, ალექსანდრე ნეველის, იმპერატორის გვირგვინისა და წმინდა ანას აღმასებიანი ორდენებით. თავად მხეილს ჩრდილოკავკასიაში ჰყავდა ბიძაშვილები, იქაურ ტომთა ბელადები. ისინი ჯეროვან პატივს სცემდნენ მთავარს. მხეილის ავტორიტეტისა და გავლენის მეშვეობით რუსეთის იმპერია პოზიციებს კავკასიაში მყარად ინარჩუნებდა. თუმცა რუსეთის კარზე ბოლომდე არ დააფასეს ჭამუთ-ბეის ღვაწლი და, კავკასიის მთიელების დამორჩილების შემდეგ მთავრის თანამდებობიდან გადააყენეს, შემდეგ ვორონეჟში გადაასახლეს. უკანასკნელი მთავარი რუსეთის იმპერიულ წრავებს ვერ გაუძლეოდა. ფაქტობრივად გაუქმდა აფხაზეთის სამთავროც და მთელი საქართველო რუსეთის ადმინისტრაციულ ერთეულად გადაიქცა.

მეფის ნაცვალმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ დეპეშა გაუგზავნა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ს, სადაც აღნიშნავდა, რომ თავად მხეილ შერვაშიძის გადასახლებით არამართო აფხაზეთის, არამედ მთლიანად კავკასიის პრობლემა იყო გადაწყვეტილი და მოგვარებული.

1866 წელს აფხაზები კიდევ ერთხელ შეეცადნენ ადრინდელი ხელისუფლების აღდგენას და მთავრად მხეილის ვაჟი, თავადი გიორგი შერვაშიძე აკურთხეს. იმის შიშით, რომ მისი გავლენა აფხაზეთში არ გაძლიერებულიყო, რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებით, გიორგი ოდესის სამხედრო სამსახურში გაამწესეს.

რუსეთის იმპერიამ აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს მხეილ შერვაშიძეს და მის შთამომავლებს იმპერატორის მიერვე ბოძებული თავადის უმაღლესი ტიტული შეუნარჩუნა.

გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძეს 1889-1899 წლებში თბილისის გუბერნატორის თანამდებობა ეკავა.

საგულისხმოა, რომ ამ პერიოდისათვის საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III მეუღლესთან – იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნასთან ერთად.

სამეფო ოჯახს თბილისის გუბერნატორმა და იმდროინდელმა ქართულმა არისტოკრატამ უმასპინძლა. აქედან დაიწყო რუსეთის იმპერატორსა და თავად გიორგი შერვაშიძის ურთიერთობა. ისინი ახალ ათონში შესვდნენ ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნამ ვერ დამალა აღფრთოვანება აფხაზი თავადისადმი.

1899 წელს იმპერატორის დახმარებით გიორგი შერვაშიძე მეფის სასახლის გოფმასტერი გახდა. დაქვრივებულმა იმპერატრიცამ, მარია ფეოდოროვნამ, მორგანტიკული ქორწინება გააფორმა გიორგი შერვაშიძესთან. აფხაზი თავადი რუსეთის დუშის წევრი და იმპერიის ერთ-ერთი გავლენიანი პირი გახდა. შემდგომში გიორგი შერვაშიძემ საკუთარი უნიკალური ბიბლიოთეკა საჩუქრად გადასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

\*\*\*\*

გვარს ადამიანები ამკობენ თავიანთი ნიჭით, სულიერებით, სიღამაზით, ცხოვრების წესითა და მოღვაწეობით. ალბათ ყველა გვარს ჰყავს თავისი საამაყო შვილი, რომელიც რაიმე ნიშნით გამორჩეულია და განსაკუთრებულ ადგილს იმკვიდრებს გვარის ისტორიაში.

მოგიითხრობთ შერვაშიძეთა გვარის რამდენიმე ასეთ წარმომადგენელზე:

2012 წლის 8 დეკემბერს ვიციოფებოდი ბათუმში, თამარის დასახლებაში, აწ გარდაცვლი ანწორ შალამბერიძის წლისთავზე, სადაც გავიცანი 87 წლის პროფესორი, კარგი მოსაუბრე, აჭარის არქივის ყოფილი დირექტორი სერგო ტაბაღუა, რომლის გადმოცემით 35 წლის წინ პოდოლსკის სამხედრო არქივში მუშაობისას, სადაც თვითონ ეძებდა სამამულო ომში დაკარგულ ძმას, ხელთ ჩავარდნია დოკუმენტი აფხაზი თავადის, აწ განსვენებული ლეო

შერვაშიძის მამის თავად ალექსი შერვაშიძის ვაჟკაცობის, კაცურკაცობის, ნამდვილი რაინდული სულის შესახებ. ჩანაწერი რუსი შვეიცარიისა, რომელიც მონაკოში „მონტე-კარლოში“, ერთ-ერთ კაზინოში ჩაწერილია შევიცრად.

იმ დროს როცა თავადი ალექსი სწავლობდა საფრანგეთში სონობონის უნივერსიტეტში, სტუდენტები წასულან მონტე-კარლოს კაზინოში, სადაც შესაფერისი ტანსაცმლის (ფრაკი) უქონლობის გამო, (უბრალოდ იყვნენ ჩაცმულები), შვეიცარმა კაზინოში არ შეუშვა. მომხდარა გაწვევა-გამოწვევა და მოსვლიათ კონფლიქტი კაზინოში მიმავალ გერმანელ პრინციტან, საქმე დუელამდე მისულა. დუელისათვის შესაბამისი საბუთების გაფორმებისას შეუტყვიათ, რომ ქართველი თავადი ყოფილა, გარიგებულან და საქმე დუელამდე აღარ მისულა. ნება დაურთავთ კაზინოში შესვლაზე. იმ საღამოს თავადის ბედმა გაუდიმა - გაუწმენდია მთელი კაზინო. მთელი მოგებული თანხა კი შვეიცარიისთვის უჩუქნია.

## მერი შერვაშიძე

შერვაშიძეთა გვარის ნამდვილი მშვენიება გახლდათ გალაქტიონის ლექსის მუზა, დახვეწილი და კეთილშობილი, შექმნილი უკვე ქართული მშვენიერების სიმბოლოდ ქცეული თავადის ასული - მერი შერვაშიძე.

საქართველოში მყოფი რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II მონიბლულა მისი სილამაზით და აღტაცებით უთქვამს:

„Грешно быт такой красивой,“...

მერის ოჯახი პეტერბურგში ცხოვრობდა, რადგან მამამისი, გენერალ – მაიორი პროკოფი შერვაშიძე რუსეთის დუმის წევრი იყო, ხოლო თავად მერი ნიკოლოზ მეორის დედის - იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნას ფრედინა გახდა.

1918 წელს მერი შერვაშიძე რუსეთის იმპერატორის ფლიგელ – ადიუტანტს გიგუშა ერისთავს მითხოვდა, მათ ჯვარი ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში დაიწერეს.

1921 წელს, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, მერი ბათუმიდან გემით გაემგზავრა ემიგრაციაში. იგი ჯერ კონსტანტინებოლში (სტამბოლში) ჩავიდა, იქ მონაწილეობა მიიღო სილამაზის კონკურსში და გამარჯვებაც მოიპოვა. პარიზში მერი შერვაშიძე ოჯახთან ერთად პრესტიჟულ უბანში, ბულონის ტყესთან ახლოს დასახლდა. არც პარიზელთათვის დარჩენილა მისი სილამაზე შეუმჩნეველი, იგი კოკო შანელის მოდელი გახდა.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1961 წ., №4) გამოქვეყნებულ წერილში „გალაქტიონის“ ერთი ლექსის შთაგონება ფატი დიდა ადასტურებს, რომ გალაქტიონი თავისი ლექსის „მერი“-ს ადრესატად მერი შერვაშიძეს თვლიდა.

1953 წელს გალაქტიონ ტაბიძეს საბჭოთა ქვეყნიდან პარიზში გზავნიან, როგორც დელეგატს მსოფლიო ანტიფაშისტურ მწერალთა პირველ კონგრესზე დასასწრებად, სადაც აირჩიეს პრეზიდიუმის წევრად.

პარიზში მყოფმა გალაქტიონმა თურმე შეძინებულ მოჭირა თვალი მერი შერვაშიძეს. იგი ლოგინის წინ მჯდარა პარკში, ადრინდელზე უფრო ლამაზი და მშვენიერი. დაბრუნებულმა პოეტმა კიდევ არაერთი ლექსი უძღვნა მერის.

მერი შერვაშიძესა და გიგუშა ერისთავს მეგობრად არ დარჩენიათ. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მერიმ მოხუცთა თავშესაფარში გაატარა. მას ყველაფერი ჰქონდა, თავყვანისმცემელიც ბევრი ჰყავდა, რომელნიც ყოველ დღით სასადილოში თავიგულებს ახგადრებდნენ, მაგრამ მართლაც ძალზე ძნელია „მარტობა სულისა...“.

იგი 97 წლის ასაკში გარდაიცვალა, ბოლომდე ლამაზი, კეთილშობილი და ღირსეული მერი შერვაშიძე.



1911 წ.



1980 წ.



როგორც ამბობენ, მონაკოს პრინცის სასახლეში დღესაც ინახება საველი სორიანის მიერ დახატული მერი შერვაშიძის პორტრეტი.

\* \* \*

*„ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავისი ქვეყნის სიყვარული ასე ამხნეგებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ გულზე ხელს არ აკრებინებს, როგორც იმედგაწყვეტილს, სასოებადაკარგულს, არამედ იმოდენად ძლიერად აღვიძებს, ძლიერ მისძრავს – მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი,“ -*

- უთქვამს სულმნათ ილია ჭავჭავაძეს.

### **ეფთვიმე გაენათელი (შერვაშიძე)**

**ღირსი ეფთვიმე გაენათელი (შერვაშიძე)** – დაიბადა 1746 წელს. მამამისი ქრისტოფორე შერვაშიძე გურიის მთავარი იყო. ეფთვიმეს წინაპრები დაახლოებული იყვნენ იმერეთის სამეფო კარზე და ყოველთვის გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ.

ეფთვიმე თორმეტი წლამდე გურიაში იზრდებოდა, შემდეგ კი იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსმა იოსებმა იმერეთში წაიყვანეს. ეფთვიმე ოცი წლის განსავლობაში სულ თან ახლდა მეფესა და კათალიკოსს და მათი ყველა ბრძანება და წესები სრულიად იცოდა.

ბრწყინვალე საერო კარიერას ეფთვიმემ სასულიერო მოღვაწეობა არჩია და ბერად აღიკვეცა. ის მალე აკურთხეს მღვდლად. 1778 წლის ახლო ხანებში მღვდელმთავრად დაასწეს ხელნი და ამ დროიდან 1820 წლამდე, გაენათის კათედრას განაგებდა მიტროპოლიტის ხარისხით.

ეფთვიმეს მოღვაწეობის დროს საქართველოს წინაშე მწვავედ იდგა ქვეყნის ყოფნა – არყოფნის და პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი.

წმინდა ეფთვიმეს მთელი სულიერი და ფიზიკური ძალები დედა ეკლესიის სიწმინდისა და ქვეყნის გასაძლიერებლად იყო მიმართული.

1787 წელს ეფთვიმემ საფუძვლიანად განაახლა წმინდა ნიკოლოზის ეკლესია გელათის კომპლექსში, იგი აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო და სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში.



ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შემდეგ (1783წელს), იმერეთის სამეფოსა და რუსეთის შორის ურთიერთობები თანდათან დაიძაბა. 1790 წელს ეფთვიმე თბილისში ჩავიდა იმერეთის წარმომადგენლებთან ერთად და ცდილობდა მეფე ერეკლე საქართველოს გაერთიანების აუცილებლობაში დაერწმუნებინა, მაგრამ სამწუხაროდ მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.

რუსეთის მთავრობის ბრძანებით 1820 წელს 4 მარტს საღამოს, გელათის მონასტერში მიტროპოლიტი ეფთვიმე შეიბყრეს, ამავე დროს შეიბყრეს ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი. ორივე მღვდელმთავარს წინასწარი შედგენილი გეგმის მიხედვით ტომრები ჩამოაცვეს თავზე და შშიერ-მწყურვალნი მათრახების ცემით წაიყვანეს.

სურამში ერთ-ერთ დედაკაცს წყალი მიუტანია მღვდელმთავრისათვის დასალევადა. სიცხითა და ცემით გატანჯულ, წმინდა ეფთვიმემ პირის გაღების დროს სისხლი აღებინა, ცემისაგან მას მთლიანად დასცვენოდა კბილები.

ეფთვიმე ქალაქ ნოვგოროდში წაიყვანეს. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ მღვდელმთავრისათვის შესაფერისი პატივით მიიღო წმინდანი. ეფთვიმემ იმპერატორს ახალი ნერონი უწოდა და უშიშრად ამხილა საქართველოს ეკლესიისა და ერისათვის თავისუფლების წართმევასა და სამშობლოს დამცელთა წამებისათვის. წმინდა ეფთვიმე სვირის მონასტერში გაგზავნეს ოლოვენცკის გუბერნიაში.

მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთში მოღვაწე ქართველ ბატონიშვილებთან, ახერხებდა წერილობითი ურთიერთობა ჰქონოდა მის მოღვაწეებთან, ცნობილ სასულიერო მოღვაწეებთან, მღვდელმონაზონ იოანა ხელაშვილთან.

1822 წლის 21 აპრილს, საღამოს 9 საათზე წმინდა ეფთვიმე გარდაიცვალა.

23 აპრილს მის დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო. წესის აგების დროს მეუფე ეფთვიმე წამოიწია „დასწერა ჯვარი ვითარცა ცოცხალმან და კუალად მიწვა კუბოსავე და მიიძინა, დაეცათ შიში დიდი მუნ მყოფთა ყოველთავე და აქებდეს დამერთსა“.

ეფთვიმე დაასაფლავეს სვირის მონასტერში სამების ტაძრის საკურთხეველში.

2004 წლის 1 აპრილს წმინდა ეფთვიმეს ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და დაკრძალეს გელათის მონასტერში.

## **ბეგლარ შერვაშიძე**

XVIII საუკუნეში აფხაზეთის ერთ-ერთი მთავარი ბოლუხი გახლდათ, მაგრამ მისმა შთამომავლებმა ეს თანამდებობა ვეღარ შეინარჩუნეს. ისინი სამურზაყანოში დასახლდნენ და საკმაოდ კარნაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ.

ეს ამბები დაკავშირებული იყო რუსეთის შემოსვლასთან საქართველოსა და აფხაზეთში.

ბოლუხის შვილთაშვილი იყო ბეგლარ შერვაშიძე. იგი გარეგნულად ლამაზი, ერთობ განათლებული და კარგი მეოჯახე ყოფილა. მას ცოლად ჰყავდა თავადის ასული ეკატერინე ემხვარი, რომელთანაც ორი შვილი შეეძინა – მხეილი და ეკატერინე; მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ბეგლარმა იქორწინა კამა ჩხოტუაზე. მათ შვილი არ შექნიათ.

თავადი ბეგლარ შერვაშიძე სოფელ საბერიოში, საგვარეულო სასახლეში ცხოვრობდა. მისი სახლი 24 ოთახისაგან შედგებოდა.

ოჯახის წევრების სიცოცხლე რომ შეენარჩუნებინათ, ბეგლარმა ბოლშევიკებს თავად დაუთმო ეს შენობა. ოჯახი კი იმავე სოფელში, ბატარა სახლში გადავიდა საცხოვრებლად. სასახლეში შესულმა ბოლშევიკებმა მამინვე დაიწყეს ვენეცოური სარკეების, ბროლის ჭაღების, ანტიკვარიული აგეჯის, ჭურჭლის და უნიკალური სურათების კოლექციის ძარცვა და განადგურება. სასახლეში თავად ბეგლარ შერვაშიძის მოთხოვნით სკოლა გახსნეს.

ბეგლარის ვაჟმა მხეილ შერვაშიძემ ცოლად შეირთო თავადის ასული დუშა ანჩაბაძე.

შერვაშიძეების ასცენოსნიანი მაყრიონი ბატარძლის წამოსაყვანად თავად ანჩაბაძის ოჯახში მივიდა. მათ ჯვარი დაიწერეს სოფელ საბერიოში საგვარეულო წმინდა გიორგის სახელობის შერვაშიძეთა კარის ეკლესიაში, ხოლო ქორწილი ასვე საგვარეულო სასახლეში გადაინადეს. დუშა სოფელ ოტობაიდან



იყო. ანჩაბადების ეს ოჯახი გამოირჩეოდა უბრატესი მდგომარეობით – მათ განათლება ძირითადად საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტში ჰქონდათ მიღებული.

ანჩაბადეთა ოჯახი ქველმოქმედებას ეწეოდა: აკებდნენ ხიდებს, ბორანს, დააარსეს სკოლები.

სერგი შერვაშიძე 1924 წლის 7 იანვარს, შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე დაიბადა, ბაბუას ბუკია ახალშობილი წითელი ღვინით სავსე ქვევრში გაუბანია, მაგრამ ოჯახის ბედნიერება დიდხანას არ გაგრძელებულა. ერთხელ პატარა სერგი ავად გამხდარა, მისიეღს ადიდებული და ამღვრეული ენგურის ცხენით გადალახვა მოუხდა. მან 24 საათში წამლები გადმოიტანა სამეგრელოდან. ბავშვი მალე გამოიჯობინდა, მაგრამ მეორე დღით მისიეღიც მოკვდა და მისი ცხენიც. მისეხი არავინ იცის.

1924 წლი შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით, კომუნისტებმა ბეგლარ შერვაშიძე ციმბირში გადაასახლეს. ამავე მოტივით დააპატიმრეს მისი ვაჟი მისიელ შერვაშიძეც, მაგრამ ვინაიდან შეთქმულებაში მონაწილეობა ვერ დაუმტკიცეს, მალე გაანთავისუფლეს.

ბეგის გადასახლებისა და მისიეღის გარდაცვალების შემდეგ ბოლშევიკები შერვაშიძეების ოჯახში შეიჭრნენ. დაქვრივებულმა დეუმა ანჩაბადემ ბავშვი აკვნიანად ნალიაში დამალა. სახლში რომ ვერავინ ნახეს, ნალიაში შევიდნენ და თოფის ხიშტით ეძებდნენ პატარა სერგის. ბავშვმა, საბედნიეროდ ხმა არ ამოიღო და ასე გადარჩა. ერთ-ერთ ბოლშევიკმა შემდეგ შერვაშიძეების საგვარეულო ეკლესიის განადგურება განიზრახა. ეს ის პერიოდი იყო, როცა მასობრივად ანადგურებდნენ და წვაგდნენ ისტორიულ – კულტურულ ძეგლებსა და ეკლესიებს.

ვერავინ ვახედა წმინდა გიორგის სამრეკლოდან წარი ჩამოესხნა, ის ბოლშევიკი თვითონ ავიდა სამრეკლოზე. ჩამოსხნილ წარს თან გადმოჰყვა და დაიღუპა.

1928 წელს გადასახლებიდან დაბრუნებულ ბეგლარ შერვაშიძეს შვილი და რძალი აღარ დახვდა. დაობლებულ სერგი შერვაშიძეს ბეგის მეორე ცოლი კამა ჩხოტუა წრდიდა. ამ ქალბატონს შემდგომში დიდი სიყვარულით იხსენებდა სერგი. დაიწყო თუ არა დიდი სამამულო ომი, სერგი მაშინვე ფრონტზე გაიწვიეს. გენერალ შელიას დახმარებით სერგიმ მუშაობა დაიწყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც 20 წელი მსახურობდა.

მოუხედავად განვლილი მძიმე და ტრაგიკული ცხოვრებისა, სერგი არ გაბოროტებულა, ცხოვრების სიყვარული არ დაუკარგავს, პირიქით, ძალიან კეთილი, გულთბილი და ამასთან, ნიჭიერი და წარმოსადგევი პიროვნება იყო. წერდა ლექსებს, ხატავდა, მღეროდა კიდევაც.

ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიას სერგისათვის უთქვამს: „აღბათ ძალიან პატარა იყავი, თორემ მიკვირს, როგორ შეგარჩინეს ბოლშევიკებმა ეგ ლამაზი თავი ვაჟკაცურ მხრებზეო“.

სერგის ცოლად ჰყავდა კეთილშობილური თვისებებით შემკული, სტუმართმოყვარე, საოცრად ნაზი და სათნო, შვილების მიმართ მკაცრი, მომთხონი, უერთგულესი ქალბატონი ბაბილინა ბებია, განათლებით პედაგოგი. მათ შეეძინათ სამი შვილი: თამარი, გიორგი და ასმათი.


საქართველოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესის ილია II-ისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსის მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევითა და დახმარებით, სერგიმ გადაწყვიტა სამურწაყანოში აღედგინა შერვაშიძეების საგვარეულო ეკლესია, მაგრამ აფხაზეთის მოვლენების განვითარების გამო ეს იდეა არ განხორციელდა.

სერგის კაგრ ადამიანობაზე მეტყველებს ასლან მუსტაფის ძე და წაური ალექსანდრეს ძე შერვაშიძეების მიერ გადმოცემული ფაქტობრივი მასალები, როცა კომუნისტების დროს 70-80-იან წლებში ჭირდა აჭარიდან და კერძოდ საქართველოდან რუსეთში ციტრუსების გადატანა. ორჯერ დატვირთული 20 ტონიანი სატვირთო მანქანა ქ. გაგრაში ავტონისპექციამ გააჩერა, სადაც სერგი მუშაობდა ტრასის უფროსად. როცა გაიგო, ტვირთის პატრონები აჭარიდან, სრულიად უცნობი შერვაშიძეები იყვნენ, ისინი სახლში მიუწვევია, სამი დღე-ღამეს პურმარილით გაუმასპინძლდა, შემდგომ ინსპექციის მანქანა გაუყოლებია და ქ. სოჭში ჩაუცილებია.





სერგი მეუღლესთან ერთად



სერგი

ბატონი სერგი ბენსიაზე გასვლის შემდეგ ოჯახით თბილისში, ვაკეში, არაგვის ქუჩა №1-ში გადმოვიდა.

თამრიკო - ქიმიკოსია, ის ცნობილი ქიმიკოსის, დოქტორ დავით სუბატაშვილის მეუღლეა. ჰყავთ სამი ვაჟი: გურამი, გიორგი და ლევანი.



კურორტი საარძე. 1987 წ. - სერგი და ესედ (ზურაბ) შერვაშიძე მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა





ქართული  
ბიბლიოთეკა



თამარ სერგის ასული მეუღლით - დავით სუპატაშვილთან და რძალთან ერთად  
ბათუმი -15.09.2012 წ.



ქართული  
გენეალოგია



გენერალ-ლეიტენანტი გიორგი სურგულაძე



გიორგი სერგის ძე მუულლით - ნინო ფანცულაიასთან და  
შვილებთან – სოფო, მისეილ და სერგი შერვაშიძეებთან





ბათუმი-15.09.2012წ

-გიორგი სერგის ძე შერვაშიძე 1955 წელს დაიბადა.

დაამთავრა თბილისის 30-ე საშუალო სკოლა.

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი,

საარტილერიო სასწავლებელი, ფრუნზეს სახელობის

სამხედრო აკადემია, იურიდიული ფაკულტეტი.

წოდებით გენერალ-ლეიტენანტია, წლების განმავლობაში

იყო საქართველოს შინაგანი ჯარების სარდალი.

მამაცობისათვის მიღებული აქვს სამხედრო ჯილდოები

და მედლები.

მეუღლე: ქალბატონი ნინო ფანცულაია, მუსიკის მასწავლებელია.

გიორგის სამი შვილი შვილი ჰყავს – სოფო, მიხეილი და სერგი.

-ასმათ სერგის ასული – დაიბადა 1957 წ. დაამთავრა თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფსიქოლოგის სპეციალობით. მისი მეუღლე გიორგი ხოსროშვილი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი. ჰყავთ 2 ვაჟი: - *ირაკლი და გიორგი*.



რევაზ და სერგი შერვაშიძეები, გორგი ხოსროშვილი.

თბილისი - პეროვსკაიას ქ-9 -1997 წ.



ასმათ, სერგი და რევაზ შერვაშიძეები. თბილისი-1997 წ.

„იმდენი შვილიშვილი მყავს  
ველარ წამაქცევს რიონი  
გუშინ თუ ერთი ვიყავი  
დღეს გავხდი ბატალიონი“  
=სერგი შერვაშიძე=

\* \* \*

ჰერალდიკა ერთ-ერთ ჩვეულებასთან დაკავშირებით აღმოცენდა, რომელიც ტურნირის წინ რაინდების გერბების წარდგენაში მდგომარეობდა, რაც მას ტურნირში მონაწილეობის უფლებას ანიჭებდა. თუმცა, გერბის ჩანასახები შეინიშნება ძველი მსოფლიოს ხალხთა მრავალ სიმბოლიკურ გამოსახულებაში.

საქართველოში წარჩინებულ გვარებში გავრცელებული იყო საგვარეულო დროშები, კალმები, ბეჭდები, ხელროვანები. ჰერალდიკის ევროპული ფორმა რუსეთიდან გავრცელდა ძირითადად 1801 წლის შემდეგ.

ქართველი თავადაზნაურების გვარებში მოხდა ძველი საგვარეულო ნიშნებისა და ევროპული ჰერალდიკის კანონების შერწყმა.

ცნობილია, რომ აფხაზეთს და მისი უძველესი გვარების წარმომადგენლებს გააჩნდათ როგორც უძველესი სიმბოლიკის მატარებელი ნიშნები, ასევე მოგვიანებით ევროპული წესების დაცვით შექმნილი და დამტკიცებული გერბები. აფხაზ თავადთა გერბებიდან მხოლოდ რამდენიმეს: შერვაშიძეს, ანჩაბაძეს, ინალ-იფას, ჩხოტუას – უძველეს გვარებს ჰქონდა საგვარეულო გერბები და გააჩნდათ მისი სარგებლობის უფლება.





აკადემიკოს ლეო შერვაშიძის ხელშეწყობით შეიქმნა სათავადაზნაურო საკრებულის მატრიკული. მასში, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დამტკიცებულ გერბებთან ერთად, შევიდა ლეო შერვაშიძის მიერ შექმნილი გერბები. საზგასმულია ის გარემოება, რომ, ეს გერბები განიხილება როგორც ხელოვნების ნიმუში და აქვთ კულტუროლოგიური მნიშვნელობა, ვინაიდან არსებული აღწერილობისა და გამოსახულების გერბის მინიჭებისა და მისი სარგებლობის ისტორიული უფლებების დამტკიცება, მხოლოდ მეფის პრეროგატივა იყო.



რევაზ და ლეო შერვაშიძეები. თბილისი – 1996 წ.



ბათუმი -1999 წ.- რეზო შერვაშიძის ოჯახში - მარცხნიდან სუსანა რეშიტის ასული, ალდონა გაბუნია, ლეო, თამარ და მირანდა შერვაშიძეები.



1996 წ. ქედა - შოთა შერვაშიძის ოჯახში.




ლეო მეუღლით



ქართული  
ლიბრარიონი



მარცხნიდან - რეზო შერვაშიძე, ციცინო სარაჯიშვილი, ალღონა გაბუნია,  
სოსლან და ლეო შერვაშიძეები – ქედა 5.09.1999 წ.



ген. Королевский дворец. Гал. Кавалерес Ораени Данеброк.

1895 წლის 25 თქტომბერს რუსეთის იმპერიის უმაღლესმა ხელისუფლებამ ოფიციალურად გააფორმა შერვაშიძეების საგვარეულო გერბი (РГИА. С-Пб.Ф. 1343. Оп. 49. д. №1932. 1895 г.): ლაჟვარდის გულიან ფრანგულ ფარში ლეგენდარული ძმების დიოსკურების ემბლემა ძველი ბერძნების მიერ „პილოს“-ად წოდებული თავსაბურავის მსგავსი, ოქროს ორი თექის ქუდია მოთავსებული, რომელთაგან ორივე თითო ოქროსავე რვაქიმიანი ვარსკვლავით არის დაგვირგვინებული;

ფარი ორ ბიზანტიური ტიპის ფარისმტვირთველ გრიფონს უბყრია, ამასთანავე, ფარს თავს ადგას სააზნაურო მუზარადი სირაქლეძის საში ფრთით; ლამბრეკენი – ლაჟვარდის, ოქროს სარჩულით;

ყოველივე სათავადო გვირგვინიანი სათავადოვე მოსახსნამით არის გარსშემოსვეული.

გერბი „საერთო საგერბის“, 1901 წელს გამოცემულ XVI ტომში შევიდა (Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. 1901 г. XVI т. ст. 1. РГИА. С-Пб. Ф. 1411. Оп. 1. д. № 116.), მცირე ხნის შემდგომ კი, 1906 წელს - „უმაღლესად დამტკიცებული“ გერბის მფლობელი რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების დასურათებული ნუსხის III წიგნშიც (Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. III т. 1906 г. ст. 428. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 602).

ოსკარ გეტლინგის გლობტიკურ კოლექციაში შემონახული შერვაშიძეების მრგვალი ფორმის საგერბე ბეჭედზე აგრეთვე დიოსკურების ემბლემა არის ამოტვიფრული შერაღლიკური ფარის გარეშე (საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლობტიკის ფონდი. ოსკარ გეტლინგის არქივი. გლობტიკური კოლექციის ალბომი).

აფხაზეთის მთავრების - შერვაშიძეების ოფიციალურად დამტკიცებული გერბის სრული გამოსახულება სტანისლავ დუმინს აქვს დაბეჭდილი წიგნში: - „რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების“ ტომში (С. Думин, П. Гребельский. Дворянские Роды Российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 21.). ასეთივე გერბი, ოღონდ ფარსგარე შესამკობლების გარეშე „საქართველოს შერაღლიკურ

სიმბოლიკაში, მისეილ ვადბოლსკისაც აქვს გამოქვეყნებული (მისეილ ვადბოლსკი. საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. „ხელოვნება,,. თბ. 1980 წ. გვ. 96, ნახ. 173). შერვაშიძეთა-კუთხნილ საგერბე კომპოზიციას „საერთო საგერბედან,, ვ. ციხინსკიც იცნობს (В. Цихинский. Кавказский гербовник Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 79.).

შერვაშიძეები, აფხაზეთის მთავრები იყვნენ. საქართველოს ამ მხარის ცენტრს კი დიდი ხნის განმავლობაში ქალაქი სოხუმი, იგივე ბერძნული კოლონია დიოსკურია წარმოადგენდა. ძველი კოლხიდის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლისში მოჭრილ მონეტებზე, ქალაქის სახელის მისედვით ლეგენდარული ძმების დიოსკურების, ჩვენს მიერ აღწერილი ემბლემა აღიბეჭდებოდა (Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Изд. „Мецниереба,,. Тб. 1987 г. ст. 105). სწორედ აქედან გამომდინარე შერვაშიძეებმა, ვითარც სოხუმისა და მთლიანად აფხაზეთის მფლობელებმა თავიანთ გერბში ძმები დიოსკურების ანუ თვით ქალაქ სოხუმის, დიოსკურიის სიმბოლო გამოსახეს. საინტერესოა, რომ შერვაშიძეების საგერბე ემბლემა – მითური ძმების ქუდები.

XX საუკუნის 60-იან წლებში სოხუმელი მხატვრის ნინო მასტიტსკაიას მიერ შესრულებული ლეო შერვაშიძის ექსლიბრისის კომპოზიციის ნაწილს შეადგენდა. ეს არის ფაქტობრივად ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი ნიმუში საგერბე ექსლიბრისისა საქართველოში. (მარიამ გაჩეჩილაძე. „ქართული ექსლიბრისის ხელოვნება,, სადისერტაციო ნაშრომი. 1997 წ.).

ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შერვაშიძეთა ჰერალდიკურ სიმბოლიკას ქართული საგვარეულო გერბებიდან უძველესი, ბაგრატიონების დინასტიისაზე უფრო ადრინდელი, ჯერ კიდევ I-II საუკუნიდან მომდინარე (Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Изд. „Мецниереба,,. Тб. 1987 г. ст. 105.) ფესვები გააჩნია.



A.CHAFFANJON. Petit Gotha illustré. 1968, p. 442.

L.Ch.  
1998

შერვაშიძეთა მეორე გერბი შესრულებულია 1906 წელს რუსეთის მეფის ჰერალდიკოსის ვ. ციხინსკის მიერ.



ფერმწერი - მხატვარი *ალექსი ლეონიდეს ძე* - დაიბადა 1959 წელს სოხუმში.

ის არის ხელოვნების დამახერებელი მოღვაწის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ ლეო შერვაშიძის (1911-2003) ვაჟი.

მან 1974 წელს დაამთავრა სოხუმის სამხატვრო სკოლა. 1979 წელს სოხუმის სამხატვრო სასწავლებელი. 1986 წელს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. თეატრის და კინოს ხელოვნებათმცოდნე დამდგმელი-მხატვარია.

1986-1989 წწ. ამთავრებს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურას ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით. ამავე წლებში ენერგიულად მუშაობს სოხუმის რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში, მოსკოვის თ. ტაბაკოვისა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა თეატრებში დამდგმელ - მხატვრად.

1988 წლიდან აფხაზეთისა და საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრია.

1995-1997 წწ. ი. სპესინცევის სახელობის მოსკოვის თეატრის მთავარი მხატვარია.

არის იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის და რუსეთის მრავალი სამხატვრო გამოფენის მონაწილე.

2006 წლიდან აქტიურად მონაწილეობს მუხეუმების საექსპოზიციო საქმიანობაში მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგში.

ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს მოსკოვისა და სოხუმში.

ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი - მერი და ნინო.



საქმე: სახელმწიფო მემკვიდრეობის დაცვა

საქმის დასრულების თარიღი: 2018 წლის 15 თებერვალი

საქმის დასრულების თარიღი: 2018 წლის 15 თებერვალი

საქმის დასრულების თარიღი: 2018 წლის 15 თებერვალი

საქმის დასრულების თარიღი: 2018 წლის 15 თებერვალი

საქმის დასრულების თარიღი: 2018 წლის 15 თებერვალი







მარცხნიდან - კოტე, გივი, კარლო, ჯემალ, შოთა და მათი დედა – თამარ ტყეშელაშვილი  
გალი - მარტი 1980 წ.



მარცხნიდან - კოტე, გივი, კარლო, ჯემალ, შოთა, შოთას შვილი და დედა - თამარ  
ტყეშელაშვილი. - გალი-მარტი 1980 წ.



მარჯვნიდან: - ჯემალ, სერგო, შოთა, კოტე და არჩილ შერვაშიძეები





მარჯვნიდან: - გრიშა (ჩახბა), ჯემალ გივის ძე, შოთა ხუხუტის ძე, კოტე გრიგოლის ძე, არჩილ პეტრეს ძე.  
გალი - მარტი-1980 წ.



შოთა ხუხუტის ძე ოჯახით  
გალი-მარტი 1980 წ.



მამა – შვილი გივი და ჯემალ შერვაშიძეები  
თბილისი - 1995 წ.



ჯემალ და გია გივის ძე



მარცხნიდან: - შოთა ხუხუტის ძე, რევაზ კარლოს ძე, ჯემალ გივის ძე, აიშე (თამარ) ქიქავა, კარლო ოსმანის ძე, შვილიშვილები: მირანდა და თამარ შერვაშიძეები. აპრილი - 1980 წ.

ყადირ ბეგის სახელობის აღმართის გახსნის მეორე დღე



32 წლის შემდეგ. ბათუმი, დ. თავდადებულის ქ-71. - 09.05.2009 წ.



თბილისი - 6.12.2014 წ.



თბილისი - 6.12.2014 წ.



გია გივის ძე, გიორგი სერგის ძე, ჯემალ გივის ძე და რევაზ კარლოს ძე





გივი ხუხუტის ძე შერვაშიძე – (1922-2003). სპეციალობით ეკონომისტი. სწავლასწავა დროს მუშაობდა გალის ანიგვარის, სიდის მეურნეობების დირექტორად. დაჯილდოებული იყო მრავალისი გკლით დაბედლით. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული აგრონომის წოდება. ჰყავს ორი შვილი - ჯემალი და გია.

- ჯემალი გივის ძე შერვაშიძე – დაიბადა 1949 წელს გალში. ინჟინერ – მშენებელია. 29 წლის ასაკში გახდა სონუმში არსებული აფხაზეთის სამშენებლო გაერთიანების მთავარი ინჟინერი, შემდგომ უფროსი, შემდგომ აფხაზეთის კავშირგაბმულობის, გზების, ენერგეტიკის მინისტრი.

აფხაზეთში განვითარებული მოვლენების მერე ცხოვრობს თბილისში. არის აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე.

- გია გივის ძე შერვაშიძე – დაიბადა 1952 წელს გალში. 1968 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდგომ სტავროპოლის სამედიცინო ინსტიტუტი.

წლების განმავლობაში მუშაობდა ლენინგრადში მკურნალ – ექიმად. შემდეგ სონუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგად.

1979 წლიდან მოსკოვის მორე ქირურგიული საკავშირო კვლევითი ცენტრის ექიმ - ორდინატორია. 1985 წლიდან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სონუმის რკინიგზის საავადმყოფოს განყოფილების გამგე, აფხაზეთის ჯანდაცვის მთავარი ქირურგი, თბილისში თავდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი, შინაგანი ჯარების ჰოსპიტალის უფროსი.

2001 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის რეგიონალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ -კორესპონდენტი.

– დუდუშაურის ეროვნული ქირურგიული ცენტრის ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

აფხაზეთის თავდა-აზნაურთა საზოგადოების თავმჯდომარე.

63 წლის ასაკში, 2015 წლის 10 სექტემბერს გაჩერდა გული ნადი ვაჟკაცი კაცის „სუბერ გია“, -ს - ასე ეძახდნენ ახლობლები.

ღმერთა ნათელში ამყოფის მისი სული! რომელიც თბილისში ნუცუბიძის ფერდობზე ახლადგახსნილ კერძო სასაფლაოზე განისვენებს.

- შოთა ხუხუტის ძე შერვაშიძე – ( 1930-2004). დაიბადა გალის რაიონის სოფელ საბერიოში.

სპეციალობით ავტომექანიკოსი, მუშაობდა სწავლასწავა თანამდებობაზე: ენგურმშენის ავტოსატრანსპორტო სამმართველოს უფროსად 1971 წლამდე, კოლხიდმშენის ავტო-სატრანსპორტო სამმართველოს უფროსად 1985 წლამდე, გალის ავტოტექნიკოსთა სახურეობის ცენტრის უფროსად 1993 წლამდე.

1993 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა ლენინგრადში, სადაც გაატარა ცხოვრების ბოლო წლები.

ჰყავს ვაჟიშვილები: ალექსანდრე და ვალერი.

შვილი – ალექსანდრე შოთას ძე – დაბადებული 1960 წელს. ინჟინერ-მშენებელი. სანკტ-პეტერბურგის №5 სამმართველოს მთავარი ინჟინერი, შემდგომ უფროსი.

ვალერი შოთასძე – დაბადებული 1960 წელს. ლენინგრადის სამშენებლო ინსტიტუტის ხიდების და გვირაბების კათედრის მენეჯერი – წამყვანი სპეციალისტი.



აჭარა გეოგრაფიულად შავშეთის, არსიანისა და მესხეთის ქედების შუა მდებარე ხეობებში მოქცეული. იგი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარეა. ისტორიული მესხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, მრავალფეროვანი და იშვიათი სილამაზით დაჯილდოებული უძველესი კუთხე, ქართული კულტურის კერა და ქრისტეს მცნების პირველი აღმსარებელი. აქ ადამიანი ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში ცხოვრობდა, რასაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ექსპონატები ადასტურებენ.

ბრინჯაოს ხანის ძეგლებია ნაბოგნი დიდაჭარაში, საღორეთში, მახუნცეთში, კოლოტაურში, კვაშტაში, ორცვაში და სხვაგან.

ლეონტი მროველის ცნობით ძვ. წ.-ადრიცხვით III საუკუნის II ნახევარში აჭარა ქართლის სამეფოს საერისთაოში შედიოდა, მომდევნო ხანაშიც ქართლის შემადგენელი ნაწილია.

VIII საუკუნიდან აჭარა ბაგრატიონთა სამფლობელოს ნაწილად იქცა.

XI საუკუნის შუა წლებიდან ზემო კლარჯეთთან ერთად აბუსერისძეთა საერისთაოში შედიოდა.

XIII საუკუნის შუა წლებიდან აჭარა სამცხე –საათაბაგოს ერთ-ერთ საერისთაოს შეადგენდა.

XIII საუკუნემ აბუსერისძე ტბელის სახით აჭარამ საქართველოს დინსეული შვილი შემატა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ამ დროისათვის ეკონომიურად და კულტურულად დაწინაურებული კუთხე იყო.

1570 - იანი წლებიდან ოსმალებმა აჭარას ინტენსიურად შემოუტყეს. მათი პირველი შემოსევიდან საბოლოო განდევნამდე აჭარალები გულხელდაკრეფილნი არასოდეს ყოფილან, იარაღი არ დაუყრიათ.

1737 წელს აჭარა ახალციხის ფაშამ ააოხრა. ამის გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოს სხვა რეგიონში გადასახლდა.

ხიმშიაშვილთა აღზევებამ აჭარა მეტ –ნაკლებად ფეხზე დააყენა.

XVIII – XIX საუკუნემ სელიმ ხიმშიაშვილის სახით აჭარაში ეროვნული გმირი შვა.

აჭარა გეოგრაფიულად მრავალფეროვანი და იშვიათი სილამაზით გამორჩეული საქართველოს უძველესი და განუყოფელი კუთხე არაერთი მოგზაურის მომხიბლველი, აღმაფრთოვანებელი რეგიონი, დამპყრობლის ხელში აღმოჩნდა.

ისტორიული ძეგლებდობის ჟამთა სვლაში საავდრო ღრუბელმა აჭარის ცასაც უწია.

მყუდროება კვლავ დაიბრუნა, ახლა სხვა დამპყრობელნი გამოჩნდნენ. ოტომანთა იმპერიამ მთელი მცირე აზია მოიცვა, ახლო აღმოსავლეთსაც მიწვდა. გზად ყოველივე წაღეკა, დაარბია და დაიპყრო სელჩუკთა მოდგმამ, ბიზანტიას უკან დაახევინა, საბერძნეთს შიშის ზარი დასცა, ჩრდილისაც წაეტანა.

გოგანტური რეაფენასავით გადაეღობა მცირე აზიას და საცეცხები მეწობლებს დაუმიზნა.

აურაცხელი ასკერი მოაწყდა სამცხესა და აჭარას „გაიურთა“, გამუსლიმანების მისიით. კალიასავით გამრავლებულ ერს სხვისი ტერიტორიებისაკენ ეჭირა თვალი, გამოკეცა ესაჭიროებოდა, და აი აჭარაც სათარეშო გახდა. თარეში კი ჯიშით მოსდგამდა შუა აზიის ტრამალებიდან აბორგებულ – მომთაბარე ბრბოს, რომელიც ჯერ მცირე აზიას, შემდეგ, 1300 –ანი წლების მიჯნაზე, საქართველოს სამანებს მოადგა ვინმე აზატ – მოსეს წინმძღოლობით.

მოედგნენ ოსმალები ქართულ სოფლებს. შემოიტანეს თავიანთი ადათ-წესები, რელიგია და მათ დამკვიდრებას, ფეხების ღრმად გადგმას ლამობდნენ.

ძალზე მძიმე იყო თურქ დამპყრობელთა სარწმუნოებრივი პოლიტიკა. 1502 წელს ოსმალებმა სულთან სულეიმან დიდის დროს სამცხე –საათაბაგოს ნაწილი დაიპყრეს. ფეოდალების ნაწილმა მაჰმადიანობა მიიღო, სამკვიდროდაკარგულნი კი აჭარასა და იმერეთში გადასახლდა.

ახალციხის პირველი ფაშა გახდა ბექა III ათაბაგი, რომელიც საფარ – ფაშად იწოდებოდა.

ოსმალები რამდენჯერმე დაეპატრონენ ბათუმს. ხანგრძლივად კი 1726 წლიდან.

მათ შექმნეს ჩილდირის ვილაეთი, ანუ ახალციხის საფაშო, რომლის შემადგენლობაში 1829 წლამდე აჭარაც შედიოდა. აჭარა შემდეგში ახლად შექმნილი ტრაპიზონის ვილაეთში მოაყოლეს.

ოსმალები დაპყრობილ ტერიტორიებზე ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ, რათა ხალხის შეგნება დაემდაბლებინათ და გადაეგვარებინათ.

აჭარის ახალციხის საფაშოზე შეერთებით სულთანნი ცდილობდა მოსახლეობის ასიმილაციას, რასაც მოჰყვა ადგილობრივ მკვიდრთა მასიური წინააღმდეგობა.



XVIII საუკუნის სამოციანი წლებიდან საქართველოს ბედით რუსეთის იმპერიის დედოფალი კატერინე II დაინტერესდა.

1770 წელს, აბრილში ერეკლე II ჯარიც მიაშველეს ახალციხეზე სალუსტროდ გაწერილ ტოტლებენის მეთაურობით, მაგრამ მან უღალატა და იგი ახალციხეში მისვლამდე ასპინძიდან გაბრუნდა უკან.

ძლევაძმოსილმა ერეკლე მეორემ მტერი საკუთარი ძალებით დაამარცხა.

1774 წელს რუსეთ – თურქეთის ომი ქუჩუკ – კაინარჯის ზავით დასრულდა, მაგრამ საქართველოსთვის ომი არ დამთავრებულა. საქართველო ქართული ხმალივით საბრძოლველად მუდამ შემართული იყო.

ქართველობამ თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია მტერთან გამუდმებულ ბრძოლაში გაატარა. საქართველოს ისტორია ქართველი ერის წამების ისტორიაა, განუწყვეტელი ომია მტაცებელ დამპყრობლების წინააღმდეგ.

ოსმალებმა, დაპყრობილი ტერიტორიებიდან ტყვეთა შესყიდვა ბიზნესად აქციეს, არც ერთ ომს ისეთი ზიანი არ მოუტანია ჩვენი ქვეყნისათვის, რამდენიც - ტყვეთა სყიდვას.

1759 წელს იმერეთის მეფემ – სოლომონ პირველმა და საეკლესიო კრებამ საქართველოს გამანანაგებელ მოვლენას – ტყვეებით ვაჭრობას სასტიკი ომი გამოუცხადა.

ოსმალთა ბატონობით შექმნილმა პირობებმა აჭარა დედსაქართველოს მოსწყვიტა, მაგრამ მისი ქართველური ბუნება გერაფრით დათრგუნა. აჭარა ის კერპეტი კაკალი დარჩა, რომლის გატეხა ძვირად დაუჯდათ.

აჭარლებმა ოსმალოს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. ყოველ დონეს ხმარობდნენ თავიანთი ზნე-ჩვეულებების, განსაკუთრებით დედაენის შესანარჩუნებლად. ხშირი აჯანყებები ძირეულად არყვედა დამპყრობელთა ძლიერებას.

გრძელი და ეკლიანი იყო აჭარელთა ცხოვრების გზა, დუხჭირი და სისხლიანი. ისინი ბატონობას არასოდეს შერიგებოდნენ. ძლიერნი იყვნენ აჭარლები, სულით ძლიერნი.

მებრძოლი ხასიათისა და მტკიცე ნებისყოფის წყალობით, აჭარის მთიანეთში თურქთა ბატონობის პერიოდშიც დიდხანს შეინარჩუნა დამოუკიდებლობა.

ამაყი ქართველები ბარბაროსებს მთაში არ უშვებდნენ.

აჭარელთა შეუბოვარმა ბრძოლებმა თურქთა აგრესიის მასშტაბები შეზღუდა და საქარველოს მთელი რიგი რეგიონები დაპყრობისა და მაჰმადიანობის საფრთხისაგან იხსნა.

აჭარაში საერთოდ პოლიტიკური სიტუაცია ძალზე დაძაბული იყო. მაგრამ მის გვერდით პროგრესული საქრისტიანო იდგა.

1878 წლის სან – სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით აჭარა დედსაქართველოს შეუერთდა. სარწმუნოებრივ ბურუსში გახვეული, მაგრამ ძველი წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით. ოსმალო ასიმილაციორების კაბალურ პოლიტიკას სამართლიანობამ სძლია. საქართველომ გულში ჩაიხუტა თავისი ღვიძლი შვილი.

ამის შესახებ დიდი მამულიშვილი, აჭარის მტკიცე ბურჯი მემედ ბეგ აბაშიძე ბრძანებს:

„სარწმუნოებრივი სიმტკიცისა და შეურყეველობის მიუხედავად ეროვნული ნათესაობის სათნოებამ, ბუნებრიობამ და სულიერმა სიმტკიცემ მაინც თავისი გაიტანა“.

თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველობის სარწმუნოებრივ სამსხვერპლოზე თავშეწირულ წინაპართა სულების დაღადი და ნათელ-მირონი მუდამ თან სდევდა.

მუხასავით ტორტმანებდა აჭარა, იდრიკებოდა, იხლიჩებოდა, მაგრამ მაინც ფევსმაგრად იდგა. ღვთისმშობლის წილ სამფლობელოს ღმერთი იფარავდა ოდიოგან.

აჭარამ და აჭარლებმა არაადამიანური ტანჯვა-წამება გადაიტანეს, რათა გადაერჩინათ მშობლიური ენა და არ დაეკარგათ ქართველობა.

გამაჰმადიანებულ გლეხობას შენარჩუნებული ჰქონდა ქართული ენა, მაგრამ სახლში თუ ლაპარაკობდნენ მხოლოდ მშობლიურ ენაზე, სახელმწიფო სამსახურში მყოფნი და თავად-აზნაურობის წრე საურთიერთოდ თურქულ ენას ამჯობინებდა.

XIX საუკუნის ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ მესხეთ – ჯავახეთის ტერიტორია ოსმალური უღლისაგან განთავისუფლებული იყო, მაინც გრძელდებოდა ქართული ენის დევნა. ეს აიხსნება მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკით, რის საფუძველზეც ქართველი მაჰმადიანები თათრებად გამოცხადდნენ



და სწორედ ამ პერიოდის დასრულებას დასძინა ტერმინი „თათარი“, სამწინაროდ და მაკინთა სამარცხინოდ ამ ტერმინს დღესაც იყენებენ მაჰმადიან ქართველებთან მიმართებაში.

თავდაპირველად ოსმალო, ასე თუ ისე ურიგდებოდა ქრისტიანობას, პროვინციების მოთხოვნად დაპყრობის შემდეგ კი მის ძირფესვიან ამოძრვას შეუდგა. მიწათან გაასწორა მატერიალური კულტურის ძეგლები, დაანგრია ეკლესიები, დააქცია ციხეები, წაბილწა ჭურები, გათელა ხატ-ხალოცავები და ჯვარი.

ვახის ჯვარი ნახევარმთვარემ შეცვალა; ნერგავდა თურქულ ენას; ადათ – წესებს და ზნე – ჩვეულებებს. სობოდა ქართულ ეკონომიურ – სოციალური წყობის საძირკვლებს.

დაცარიელდა ვეებერთელა ძირწმინდა ჭურები, შეწყდა უძველესი ქართული ღვინო, აღარ ისმოდა „მრავალჟამიერის“ გუგუნო.

პირველი ჯოხი სოფელ ერგეზე გადატყდაო – გვამცნობს ზაქარია ჭიჭინაძე.

აჭარისწყალზე დღესაც დგას თამარ მეფის ხიდის ბურჯი, სადაც ოსმალებმა თავსა-კვეთი მოაწყვეს.

არ თმობდა ხალხი ქრისტიანობას, ძნელი და მძიმე შესაგუებელი იყო აჭარელთათვის – სხვაზე მონიხლება და უცხო სარწმუნოების გათავისება.

ორი დღის განმავლობაში 1400 კაცს მოკვეთეს თავიო – ასე მოგვიხრობს მემატინის გადმოცემას ზ. ჭიჭინაძე.

თავმოკვეთილებს პირდაპირ წყალში ჰყრიდნენ. გაწითლდაო ჭიხონი – გადმოგვცემს ისტორია.

კაცთა კვლის ასეთმა ბარბაროსულმა წესმა შეაძრწუნა და დააშინა მოსახლეობა. ხალხი გარბოდა სამოსახლოდან, ვინ დროებით და ვინ კიდევ სამუდამოდ. ზოგი ტყეს და გამოქვაბულს აფარებდა თავს.

თავსაკვეთის შემადრწუნებელმა ამბავმა შეძრა და შეაჩინქოლა აჭარა, იარაღზე გაიკრა ხელი, მაგრამ ვერაგი მტერი ძლიერი იყო. ურჩობამ და მედგარმა წინააღმდეგობამ აჭარა ლამის გაანადგურა.

1625 წლიდან ებრძოდა აჭარა ოსმალოს, დაიდალა, მაგრამ ბრძოლის შეწყვეტა არასოდეს უფიქრია, იცოდა, ხმლის ქარქაშში ჩაგება სამუდამო მარცხს უდრიდა.

მთელს აზიაში კდებამოსილობით ცნობილი ქართველი ქალი, საყოველთაოდ ბატონცემული და სამაგალითო, ახალმა, უკულტურო ბატონებმა ცხოვრებას მოწყვიტეს და შინაყმად გადააქციეს. მისი სახე ჩადრით დაბურეს.

დიდი ტრაგედია იყო ასეთი დამცირება საქართველოს შვილებისა, ეს იყო შავბნელი ხანა მათს არსებობაში.

ისლამი მძიმედ ცეცხლითა და მახვილით მიიწვედა ზედა აჭარაში და იკიდებდა ფეხს, რამაც ჩაახშო აჭარის ეკონომიური და კულტურული განვითარება.

აჭარამ სულის სიმტკიცე და ფიზიკური არსებობა უდიდესი მსგერბლის ფასად შეინარჩუნა.

ყველაზე მეტი სიწმინდე ქართულმა ენამ სწორედ აჭარაში შემოინახა.

„ენა დედაა ერისა,“ - ბრძანებს ვაჟა. აჭარელ დედას ეს სისხლწორცეულად ჰქონია გათავისებული. მან კარგად იცოდა, რომ იგი არამარტო საკუთარი შვილების დედა, არამედ ერის დედაც იყო, ამიტომაც შემოუნახა შთამომავლობას მშობლიური, მრავალსაუკუნე გამოვლილი და ქარცეცხლში გამოტარებული ტკბილი ქართული.

აი რას ბრძანებს აჭარის სახელოვანი შვილი ჰაიდარ აბაშიძე: „აჭარამ სამი შავბნელი საუკუნის მანძილზე ცეცხლში გამოატარა თავისი ეროვნული მრწამსი და შეგნება, ყოფისა და ცხოვრების თანდაყოლილი წესი და იერი.“

სახელოვანმა ქართველმა დედამ – „აჭარელმა ქალმა, შვილი აკვანში მალა და ისე მოიტანა ჩვენამდე ტკბილი და დარბაისლური ენა“.

ჩადრში გამოკეტილ, ლანდადქეულ ქართველ ქალს – აჭარელ დედას – სწორედ ენის წმინდად შენახვისა და ტრადიციების შენარჩუნებისათვის ეკუთვნის ძეგლის დადგმა.

აჭარაში მთელი სამი საუკუნე ჩამკედარიყო მშობლიურ ენაზე სწავლა – განათლება. განათლება ერთ-ერთი მაჰმადიანური რელიგიური სასკოლო სწავლებით ამოიწურებოდა.

სწორედ ამან განაპირობა, რომ ამ პერიოდის არცერთი აღიარებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე არ ჰყავს საქართველოს ამ კუთხიდან.

ხალხი ფარულ თვითგანათლებას ესწრაფოდა. ერის სატკივარს პროგრესულად მოაზროვნე მამულიშვილებში ღრმად ჰქონდა გადგმული ფეხვი.

აჭარის პატრიოტები: მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, გულო ადა კაიკაციშვილი, აბდულ მიქელაძე, ზექერია ლორთქიფანიძე, ყადირ შერვაშიძე და სხვები იბრძოდნენ, რათა აჭარაში ყოველგვარი წამოწყება განხორციელებულიყო, მრავალწლიანი სიბნელიდან გამოეხედა აჭარლობას, თავისუფალ ასპარეზზე გამოსულიყო და ხელახლა შეეღო ცივილიზაციის კარები.



შერვაშიძეთა გვარის ბუდეადგილად დღემდე აფხაზეთის მიხეუტაში მდებარე ამ გვარის წარმომადგენლებს სამთავროს გაუქმებამდე ეპყრათ ხელისუფლება, მთავრები იყვნენ. საყურადღებოა, რომ ერთხანს შერვაშიძეები მთლიანად ფლობდნენ საქართველოს ზღვისპირა ზოლს, ხოლო საბორტო ქალაქებში – ბათუმსა და ფოთში ბეგლარ ბეგებად სწორედ ამ ოჯახის შვილები ისწდნენ.

შერვაშიძეებს ტრადიციული ნათესაობა ჰქონდათ გურიის მთავრებთან და აჭარელ თავადებთან. მამია მესამის (გარდ. 1717 წ.) შვილს გიორგი IV გურიელს (1717 – 1726) ცოლად ჰყავდა შერვაშიძის ქალი მარიამი, ხოლო ლევან გურიელის შვილს გიორგის - მიხეილ შერვაშიძის ასული ანა.

აფხაზეთის მთავრების, შერვაშიძეებისა და აჭარის წარჩინებული გვარის თავდგირიძეების თუ სხვათა ნათესაურ ურთიერთობაზე მეტყველებს საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ერთი დოკუმენტი, რომელშიც ვკითხულობთ:

„ამა ქორონიკონსა (1744 წ.) მოიყვანა თავდგირიძემ გიორგი შერვაშიძის ქალი. აღდგომა და ხარებაი სწორა იყო. კინტრიშის სასახლეში ქორწილი იყო. ფაშათ ერთი ძმა იყო შერვაშიძე რიონისა და ქანეთის რიონის (რიზეს) ამოღმა. მეორე ძმას ბათომის ბეგობაი ჰქონდა და მესამეს სონუმის ბეგობაი ჰქონდა.“.

(S კოლექცია, საბ. № 1700)

ამგვარად, ამ საბუთით დასტურდება, რომ 1744 წელს ქობულეთის ერთ-ერთ ბეგს თავდგირიძეს ცოლად შეურთავს აფხაზეთის მთავრის გიორგი შერვაშიძის ქალი. ეს ქორწინება შემთხვევითი არ იყო, რადგან დასავლეთ საქართველო რიზემდე შარვაშიძეთა მონიღებაში ყოფილა. კერძოდ, რიონს (ე. ი. ფოთს) და რიზეს შორის ტერიტორიას შერვაშიძეთა ერთი ძმა ფლობდა (ფაშად იყო), მეორე ძმა ბათომის მეგი, ხოლო მესამე - სონუმის ბეგი იყო.

გამორიცხული არ არის, რომ გვარის სწორედ ასეთი აღწევების დროს დასახლებულიყვნენ აფხაზი დიდებულები აჭარაში, კერძოდ ქედისა და ხელვაჩაურის რაიონებში.

ფრანგი კომერსანტის და დიპლომატის ვ. პეისონელის დახასიათებით XVIII საუკუნის შუა ხანებში ბათუმი ითვლებოდა მთავრ ნავსადგურად სამხრეთ – დასავლეთ საქართველოსათვის, ხოლო ახალციხის გზით საუკეთესო პორტად იყო მიჩნეული აღმოსავლეთ საქართველოსათვისაც.<sup>1</sup>

ამავე დროს ყურეს გარშემო მდებარე ვრცელი დაბლობი შესაძლებლობას იძლეოდა ახალი საქალაქო დასახლებების გასაშენებლად.

XIX საუკუნის დამდეგისათვის უკვე ძირითადად დამთავრებული ჩანს საქალაქო ცენტრის ზღვისპირა ყურეს მიმართულებით გადანაცვლების პროცესი. თუმცა ბათუმის ციხე, როგორც ირკვევა, ფუნქციონირებდა მეცხრამეტე საუკუნის 10-იან წლებშიც.

1804 წლის ცნობით ბათუმის ციხეში იდგა ოსმალთა 121 კაცისი გარნიზონი.<sup>2</sup>

ოსმალებს ბათუმის ციხის უფროსად 1805 – 1809 წლებში დაუნიშნავთ ქუჩუკ – ბეგ შერვაშიძე.<sup>3</sup>

აღნიშნული პერიოდისათვის ბათუმის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფრანგი მოგზაური აღრიან დიუბრე. იგი ბათუმში იყო 1807 წელს. ა. დიუბრე ბათუმს ახასიათებს, როგორც მოზრდილ ზღვისპირა სოფელს, რომლის მოსახლეობა 2 000 -მდე კაცს უდრიდა.

თითქმის 300 წლის მანძილზე ბათუმი და მთელი აჭარა მოქცეული იყო თურქი დამპყრობლების მძიმე უღლის ქვეშ, რამაც განაპირობა მისი ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენა.

ბათუმისა და აჭარის ეკონომიკური და კულტურული წინსვლა დაიწყო საქართველოსთან აჭარის შეერთების შემდეგ, 1878 წლიდან. ამავე პერიოდში გამოიცა ფურნალისტ ფრენკელის წიგნი, სადაც აღწერილია მაშინდელი ბათუმისა, და საერთოდ აჭარის, ეკონომიკური ცხოვრება. ფრენკელი აღნიშნავდა, რომ ბათუმი იმ პერიოდში წარმოადგენდა ერთ პატარა ტალახიან ქალაქს, თითქმის სოფელს, სადაც ციფი იარაღის მეტი არაფერი კეთდებოდა. არც ბათუმში და არც აჭარაში არ არსებობდა არცერთი ფაბრიკა და ქარხანა.



რუსეთთან საქართველოს შეერთების 5-6 წლის შემდეგ ბათუმი ხდება რუსეთის იმპერიის საგარეო და საშინაო ვაჭრობისა და კულტურის ცენტრი.

ბათუმის ასეთ მოკლე ხანში მისი კულტურული და ეკონომიკური აღორძინების მიხედვით გახდა ბათუმი ნავთობის პროდუქტების ტრანსპორტირება – წარმოება, ნავთობის მრეწველობის განვითარება. ნავთობის მრეწველობის განვითარებას კავკასიაში საფუძველი ჩაეყარა აფშერონის ნახევარკუნძულზე. ბაქოში მოღვაწეობდნენ შვედი ძმები – ლუდვიგ, რობერტ, ემანუელ და ალფრედ ნობელები.

წყალქვეშა ნაღმის გამოგონებელი შვედი ემანუელ ნობელი 1833 წელს გაკოტრდა და კრედიტორებისა და ცინისაგან თავის დაღწევის მიზნით 1837 წელს შვეციიდან გაიქცა. მან თავისი ოჯახი დროებით დააბინავა ქ. ტურკუში (ფინეთი), თვითონ კი სანკტ-პეტერბურგში ჩავიდა. აქ მან თავისი გამოგონება (საზღვაო ნაღმი) რუსეთის სამხედრო საზღვაო უწყებას შესთავაზა. რუსეთის მთავრობამ ეს გამოგონება მხოლოდ 1842 წელს შეისყიდა 25 ათას ვერცხლის მანეთად. ამ ფულით ე. ნობელმა გაისტუმრა კრედიტორები და ოჯახი ფინეთიდან საცხოვრებლად სანკტ-პეტერბურგში გადაიყვანა. ამ დროისათვის მას 4 ვაჟი ჰყავდა: რობერტი (1829-1896 წ.), ლუდვიგი (1831-1888 წ.) და ალფრედ ბერნჰარდი (1833-1896 წ.). ემანუელი (1859-1932).

ე. ნობელმა პეტერბურგში დააარსა მექანიკური და თუჯსახსმელი სახელოსნოები, რომლებიც შემდგომში ქარხანად გარდაიქმნა (1851 წლიდან ქარხანა „ნობელი და შვილები“). 1859 წელს ე. ნობელი ხელშეორედ გაკოტრდა და მეუღლესთან და უმცროს შვილ ემილ-ოსკართან ერთად, რომელიც რუსეთში დაიბადა 1843 წელს, სამუდამოდ დაბრუნდა შვეციაში. ქარხანას რუსეთში დარჩენილი ძმები მართავდნენ. მათ არენდით აიღეს „იმერჯუდის“ ქარხანა და უკვე 1862 წლისათვის გადაიხადეს მამის ვალები, ქარხანა კი ცნობილ ქარხანად („რუსკი დიზელი“) აქციეს.

მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების შუა ხანებში ძმები ნობელების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რომელმაც მკვეთრად შეცვალა მათი მოღვაწეობის სფერო. (თუმცა მეტალურგიაც არ დაივიწყეს).

საქმე ისაა, რომ ძმები ნობელების, იეჟესკის იარაღის ქარხნებში რუსეთის არმიისათვის წარმოებული თოფების კონდახისათვის საჭირო იყო კაკლის ხის მასალა, რომელიც საკმაოდ ძვირად შემოთქმონდათ გერმანიიდან. ძმებმა გაიგეს, რომ ამ მასალის შოვნა კავკასიაშიც შეიძლებოდა და 1873 წელს რობერტ ნობელი ლენქორანში გაემგზავრა. უკან დაბრუნდა ბაქოს გავლით, სადაც მან ნავთობის სარეწები ნახა და ამ საქმით ძალიან დაინტერესდა. პეტერბურგში სასწრაფოდ დაბრუნებულმა რობერტმა თავისი ძმა ლუდვიგი დაარწმუნა ნავთობის საქმის სერიოზულობასა და მის დიდ მომავალში და ბაქოში პატარა ერთობლივი საწარმოს დაარსებაშიც დაითანხმა. 1875 წელს რობერტ ნობელი აფშერონზე დაბრუნდა და აუქციონზე 5 ათას მანეთად შეიძინა პატარა, ნავთობიანი ფართობი ბალახანში, შემდეგ კიდევ რამდენიმე ნაკვეთი საბუნჩში და სასწრაფოდ დაიწყო ჭბურდილების ბურღვა, თანაც გამუდმებით სწავლობდა ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების იმ დროისათვის ცნობილ ტექნიკას. ტექნიკურ საკითხებში საკმაოდ გამოცდილმა რ. ნობელმა მისთვის ახალ საქმეს მალე აუღო აღღო. იმავე წელს „ტფილისის ამხანაგობისაგან“, მან 25 ათას მანეთად შეიძინა ნავთის პატარა ქარხანა შავ ქალაქში (ქ. ბაქოს სამრეწველო – საქარხნე რაიონი). ერთი წლის შემდეგ რობერტი ავად გახდა და მისი დაჟინებული თხოვნით ბაქოში ლუდვიგიც ჩავიდა.

1879 წელს ლუდვიგ ნობელის თაოსნობით შეიქმნა „ძმები ნობელების ამხანაგობა“, რომლის საწყისი კაპიტალი 3 მილიონი მანეთი იყო. დამფუძნებლები იყვნენ ლუდვიგ, რობერტ და ალფრედ ნობელები. მოგვიანებით მათ „რუსი როკფელერები“ უწოდეს.

უმოკლეს დროში ნობელების ამხანაგობა ნავთობის მრავალი სარეწის მფლობელი გახდა ბალახანში, სურახანში, ბიბიებათში, საბუნჩში და სხვა. მათ მიერ მოპოვებული ნავთობის რაოდენობა ბევრად აღემატებოდა სხვა ფირმების მიღწევებს. რუსეთის ტერიტორიის სარეწებზე, ქარხნებში, საწყობებში ააშენეს 20 ათასი ლითონის რეზერვუარი, რომელშიც ინახებოდა პრაქტიკულად ყველა თხევადი ნავთობპროდუქტი. გაიყვანეს მრავალი ნავთობსადენი და მათ შორის იმ დროისათვის მსოფლიოში უდიდესი პროდუქტსადენი ბაქო-ბათუმი (833 კმ.).

ბათუმში ააშენეს ნავთობის დასახლება და საექსპორტო ნაკადის მომსახურების საწყობები.



ნობელებმა 1881 წელს მსოფლიოში პირველად დაიწყეს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სარკინიგზო ცისტერნებით გადატანა. სარკინიგზო ტერმინალები ამოქმედდა ვარშავაში, კიევში, დვინსკში. ნავთობი ამარაგებდნენ ევროპას, ცენტრალურ აზიას. „ნობელების ამხანაგობის“ ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა იყო მძლავრი ნავთობჩამოსასხმელი ფლოტის შექმნა. თუ 1877 წელს მათ ერთი ჩამოსასხმელი გემი „ზოროასტრი“, ქონდათ, 1878-1880 წლების პერიოდში შევცაში კიდევ 7 გემი ააშენეს, 1882 წლისათვის კი კასპიის ზღვაზე უკვე 13 გემი მუშაობდა, რომლებსაც ერთი სანაწიგაციო პერიოდის განმავლობაში ბაქოდან ასტრახანამდე 10 მლნ. ფუთი ნავთობის გადატანა შეეძლო.

ნობელების ნავთობჩამოსასხმელი გემები დაცურავდა მდ. ვოლგის, კასპიისა და შავი ზღვის წყალში. 1886 წლის ივნისში კი გემ „სვეტი“, 1700 ტ. ბაქოს ნავთობით დატვირთული, ბისკაის ყურისა და ატლანტის ოკეანის გავლით პირველად ჩაიტანეს ლონდონში. შემდგომში კიდევ უფრო გააფართოვეს ნავთობპროდუქტების ექსპორტი და მოიცვეს არა მარტო ევროპა, არამედ ინდოეთი, ჩინეთი და სხვა ქვეყნები...

ბაქოს ნავთობის საექსპორტო ნავსადგური – ბათუმი ნავთობის გადამამუშავებელი და მისი საექსპორტო ჭურჭლის მწარმოებელი ძირითადი პუნქტი გახდა. ამან განაპირობა სწორედ ბათუმის დიდი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად გადაქცევა. ბათუმის სამრეწველო განვითარებისათვის 1879-1886 წლებში ხელსაყრელ პირობას ქმნიდა პორტო-ფრანკო (ნავსადგური, რომელიც სარგებლობს ნაწარმის უბაჟოდ შემოზიდვისა და გაზიდვის უფლებით). ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის საწარმოები მხოლოდ ნავსადგურის პორტო-ფრანკოს ტერიტორიულ ფარგლებში (შუა ქალაქში) გაშენდა<sup>[1]</sup>. ბათუმი (ბაქოს ნავთობის მრეწველობასთან ერთად) რუსეთისა და მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაში მოექცა.

ბაქოს ნავთობის მოპოვებამ და გადამამუშავებამ თითქმის თავიდანვე მსხვილი კაპიტალისტური წარმოების ხასიათი მიიღო. XIX საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის კაპიტალიზმი ნავთობის ნაწარმით ენერგიულად ჩაება მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის სისტემაში და პირველობას ეცილებოდა აშშ-ს ნავთობის კომპანიებს<sup>[2]</sup>.

რკინიგზის ამიერკავკასიის მაგისტრალის გაყვანის შემდეგ ბაქოს ნავთობის მოპოვება-ექსპორტში თანდათან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა უცხოურმა კაპიტალმა. ადგილობრივ და უცხოელ კაპიტალისტებს არასაკმარისად მიაჩნდათ რკინიგზის გამტარუნარიანობა, რის გამო მალე დაისვა ნავთოსადენი მილის გაყვანის საკითხი. 1897 წელს დაწყებული სამუშაოები ძირითადად 1900 წელს დამთავრდა, 1906 წლიდან ბაქო-ბათუმის ნავთოსადენი სრული დატვირთვით მუშაობდა. მილის წლიური გამტარუნარიანობა 60 მლნ ფუთს უდრიდა<sup>[3]</sup>.

ბაქოს ნავთობის ნაწილი ექსპორტისათვის იყო განკუთვნილი და მეტწილად ბათუმის ნავსადგურიდან იგზავნებოდა. ბათუმიდან ნავთობის მცირე ნაწილი რუსეთში გაჰქონდათ.

1882 წელს ნავთობბაზის გადაიარაღების მიზნით რუსეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება აეშენებინათ ბაქო-ბათუმის რკინიგზა, რითაც ხელი შეეწყო ბათუმის ნავთობის მრეწველობის განვითარებას.

1883 წლის 1 ივლისს დააფუძნეს ბათუმის ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოება. 1883 წელს ბათუმში ამოქმედდა პირველი ლითონის რეზერვუარი.

1886 წელს პალაშკოვსკიმ თავისი ნავთობმრეწველობის მოწყობილობა მიჰყიდა პარიზის როტშილდის ფირმას.

1889 წელს ბათუმში მოქმედებდა 16 ქარხანა –


**ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოები:**

“ბნიტო” – “კასპია-შავი ზღვის ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის სააქციო საზოგადოება” (როტშილდი); “ძმები ნობელების ამხანაგობა; მანთაშევი; სიდერიდისი; რინენრი-კ<sup>0</sup>; ამიერკავკასიის რკინიგზელთა საზოგადოება; ნეიმანი (ნაშაური); შიბაევი; ხაჩატურიანცი; ძმები გოლდიუსტები; შებერი და გროტი; ცოვიანოვი; ანგელიდი; ფონ-შმიდტი – ფონ-ალტენშტადტი; კრისინი; მნაცაკანოვი; დენეისი (შლეერი) – კ<sup>0</sup>; აბრამოვიჩი; ბიკოგსკი; ტოტინა; სეფონიდი; პოლიდი; ბურგარდტი; მუტაფოვი და მელკონიანცი.



ქართული  
ბიბლიოთეკა

ბეპ



ბათუმი -1903 წ. - გოგებაშვილის ქუჩა, ძველი პორტი.








№ 11 Batum.  
Batum.

ბათუმის  
Западная часть. ბიზანტიონი  
Okcidenta parto.



ბათუმი და კახეთის ახლოდანი ზღვის ნავსადგომის  
ბუნებრივი სილამაზის  
1880 წ.



Окрестности Батума. Сел. Сарпи. Древний мостъ (прогулка членовъ Горнаго клуба)  
 Environs de Batoum. Le Pont de Sarpi.



Мариновскій проспектъ.

БАТУМЪ.



ბათუმი დამთ -2012 წ.





ეროვნული  
აგენტი  
პირდაპირი მართვის  
სახელმწიფო



მეც



ქედა- ზვარეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

ბათუმი დამით-2015წ.



ღვთიშობლის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია



2009 წ.- გოდერძის უღელტეხილი - 2025 მეტრის სიმაღლეზე წღვის დონიდან.





ქართული  
ზიგლიოთეკა



*photobykristi.ge*



ქართული  
ზიგლოთიკა

ბეჭ



*photobykristi.ge*



ეროვნული  
აგენტი  
პირდაპირი მართვის







ეროვნული  
ბიბლიოთეკა






ეროვნული  
უნივერსიტეტი



მეც





- 1886 წლიდან ნავთის გადაზიდვა სპეციალური გემებით დაიწყო სხვადასხვა ქვეყანაში.  
 19-ე საუკუნის 80-90-იან წლებში ბაქო და ბათუმი ერთმანეთს დაუკავშირდნენ ნავთობის მიღებით. ნავთობის მრეწველობის განვითარებას მოჰყვა ქალაქ ბათუმის მოსახლეობის ზრდა მუშათა კლასის ხარჭად. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბათუმის ნავთობის მრეწველობის განვითარებას. 1922-1923 წლებში დაიწყო დიდი მუშაობა ბათუმის ნავთობის საწარმოს ტექნიკური გადაიარაღებისათვის.  
 პირველი ხუთწლედის პირობით გახდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა (ექსპლუატაციაში შევიდა 1929 წ.).

1900-1913 წლებში ბათუმიდან გაიტანეს სულ 448,7 მლნ ფუთი ნავთობი; აქედან გემ-ცისტერნებით – 309 079 627 ფუთი (68,9%), ხოლო თუნუქის ბიდონებით – 139 620 373 ფუთი (31,3%), ნავთობის ექსპორტი ბათუმიდან უმაღლეს წერტილს 1903 წელს აღწევს, შემდგომში, განსაკუთრებით 1905 წლიდან, ძლიერ მცირდება. ამასთან ერთად ექსპორტის საერთო ოდენობაში შეინიშნება თუნუქის ბიდონებით ნავთის გატანის მეტად საგრძნობი შემცირება, რამაც ბოლოს და ბოლოს ნავთის ჭურჭლის მწარმოებელი ქარხნების დიდი უმეტესობის ლიკვიდაცია გამოიწვია.

ბათუმში ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს დაიწყო. მრეწველობის ამ დარგმა განსაკუთრებით დიდ მასშტაბს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მიაღწია. ბათუმში არსებული ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის ქარხნები, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ საზღვარგარეთული მანქანებითა და მოწყობილობით, თუნუქის ბიდონებს და ხის ყუთებს ამზადებდნენ. ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დასამზადებლად საჭირო ნედლეული და მასალები ბათუმში რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოჰქონდათ. ბათუმის ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის ქარხნები 1896-1899 წლების მონაცემებით დღეში საშუალოდ მოიხმარდნენ: 477 კუბ. საჟ. ფიცარს, 5539 ფუთ თუნუქს, 3171 გირვანქა ტყვიას, 15, 539 გირვანქა ლურსმანს, 4 576 გირვანქა თუთიას, 2 061 გირვანქა მარილმჟავას და სხვ. ეს საქონელი შემოჰქონდათ იმ გემებით, რომელნიც აქ ნავთობის წასაღებად მოდიოდნენ<sup>[4]</sup>.

1901 წლისათვის ბათუმში მოქმედებდა ნავთის ტარის 9 “ქარხანა”. ეს საწარმოები როტმილდს, რიხნერს, მანთაშევს, სიდერიდისს, ცოვაიანოვს, გრამატიკოპულოს, სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკს, ხაჩატრიანცს და სხვა კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ.

ჩამოთვლილ საწარმოთა შორის სიდიდითა და მაღალტექნიკური აღჭურვილობით გამოირჩეოდა “ზნიტო”, ანუ “კასპია-შავი ზღვის ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის სააქციო საზოგადოება” (როტმილდის ფირმა). როტმილდის ქარხანას გააჩნდა სახერხი, სამასალე, ხე-ტყის სახმობი და სამოდელე განყოფილებები, ელექტრო და მექანიკური სახელოსნოები, მრავალი დამხმარე საამქრო და საწყოები. თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების დამზადება წარმოებდა 280 მექანიკურ დაზგაზე. მექანიზირებული იყო ქარხანასთან არსებული ნავთის ჩამოსასხმელი სადგურებიც. ფირმის რეზერვუარები რამდენიმე მილიონ ფუთ ნავთს იტევდა. ქარხანა, ჩამოსასხმელი სადგურები და ფირმის სხვა ნაგებობანი რკინიგზის სადგურსა და ნავსადგურს რელსებიანი გზებით უკავშირდებოდა<sup>[5]</sup>. სხვა ქარხნები ანალოგიური ტიპის, მაგრამ შედარებით ნაკლები მოცულობისა იყო.

სუბ-კომისიის მიერ 1899 წელს ჩატარებული აღწერა სრულ წარმოდგენას იძლევა ბათუმში არსებული ნავთობის გადამამუშავებასა და ექსპორტთან დაკავშირებულ ფირმათა საწარმოების მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობაზე. აი ეს მონაცემებიც<sup>[6]</sup>. იქ მოქმედი 21 ფირმის წარმოებაში მუშაობდა 17 ორთქლის მანქანა, 48 ორთქლის ქვაბი, 13 დინამო მანქანა, ხის ყუთების დამზადებას 301 დაზგა ემსახურებოდა, ხოლო თუნუქის ბიდონებისას – 546. მათ გააჩნდათ 145 სარჩილავი ღუმელი, 29 ჩამოსასხმელი აპარატი, 73 ორთქლით მოქმედი ტურბო და სხვ.

1902 წლისათვის ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელ ცხრა “ქარხანაში” მოქმედ ძრავათა სიმძლავრე დაახლოებით 2140 ცხ. ძალას უდრიდა. ამ საწარმოებმა წლის განმავლობაში

გამოუშვეს 5 860 000 მან. ღირებულების თუნუქის ბიდონები და 2 980 000 მან. ხის ყუთები, სულ 8 840 000 მან. ღირებულების პროდუქცია. ქარხნებში 3500-მდე მუშა იყო დასაქმებული<sup>[7]</sup>.

ნავთის პროდუქტების ექსპორტის საჭიროებას ემსახურებოდა ბათუმში არსებული ხის კასრების დამამზადებელი საწარმოებიც. ისინი უშვებდნენ მუხისა და წიფლის კასრებს, რითაც უცხოეთში ბენზინი, მაზუთი, უმაღლესი ხარისხის საზეთი სითხე და ნავთის ნარჩენები იგზავნებოდა. ამ საკასრებში, სადაც წარმოების ყველა პროცესი ხელით სრულდებოდა, ადგილი ქონდა შრომის სისტემატიურ დანაწილებას. ამდენად, ისინი მანუფაქტურული ხასიათის საწარმოებად წარმოგვიდგებიან. ზოგიერთ მსხვილ მეწარმეს ქარხანასთანვე ჰქონდა საკუთარი საკასრო განყოფილება, სხვები კი თავისთვის საჭირო კასრებს დამოუკიდებელი წვრილი მეწარმეებისაგან იძენდნენ<sup>[8]</sup>.

კასრებს მეტწილად უკან აბრუნებდნენ უცხოეთიდან და მცირე შეკეთების შემდეგ კვლავ ნავთობის საექსპორტოდ იყენებდნენ. 1893-1898 წლებში ხის კასრებით გაიგზავნა ბათუმიდან ექსპორტირებული ნავთის პროდუქტების 7,48%, 1913 წელს კი მხოლოდ – 3,34%<sup>[9]</sup>.

1901-1904 წლებში ბათუმის სამრეწველო საწარმოთა მდგომარეობაში ძირეული ცვლილება მოხდა: ერთი მხრივ, გაძლიერდა ნავთობის გადამამზადებელი-ექსპორტთან დაკავშირებული ქარხნების მშენებლობისადმი მისწრაფება, მეორე მხრივ, ამ დროს დაწყებული კრიზისის გამო, ამიერკავკასიის ნავთის მრეწველობაშიც მეტად საგრძნობი გახდა წარმოებისა და მუშახელის კონცენტრაცია.

ბაქოს ნავთის მოპოვება-ექსპორტში გაბატონდა რემდენიმე მონოპოლისტური გაერთიანება (ნობელი და როტმილდი მათი მრავალრიცხოვანი “ვასალებით”). პირველი მსოფლიო ომის წინა წლებისათვის ნავთობის ტრესტებმა (“ნობელი”, “შელი”, “ოილი”) ხელთ იგდეს რუსეთის ნავთის მრეწველობის სააქციო კაპიტალის 86% და ნავთობის წარმოების 60%<sup>[10]</sup>.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიო ბაზარზე გატანილი ბაქოს ნავთობის 67% ნობელის, როტმილდისა და მანთაშევის წილად მოდიოდა. ნობელი და როტმილდი ნავთობს უმთავრესად ევროპაში ასაღებდნენ, მანთაშევი კი სავაჭრო ოპერაციებს ძირითადად აზია-აფრიკის ქვეყნებში აწარმოებდა. ეს უმსხვილესი ფირმები გაბატონდნენ ბათუმის მრეწველობაშიც. შედარებით წვრილი საწარმოები ვერ უძლებდა კონკურენციას და იხურებოდა. 1903 წლისათვის ბათუმში დარჩა მხოლოდ ნავთის საექსპორტო ჭურჭლის 5 ქარხანა, რომელთა მოწყობილობა და ნედლეულის მარაგი 12,5 მლნ მანეთად იყო შეფასებული. თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების წარმოება კონცენტრირებულ იქნა როტმილდის მანთაშევის და ნობელის ფირმათა ხელში. ხაჩატრიანცისა და სიდერიდისის ქარხნები მთლიანად ნობელის დაკვეთით მუშაობდა.

1904 წლისათვის ბათუმის მხოლოდ 4 საწარმოში 4 031 მუშა იყო დასაქმებული. აქედან მანთაშევის ქარხანაში – 1 742 (43%), როტმილდისა – 1 500 (37,3%), ხაჩატრიანცისა - 466 (11,5%), სიდერიდისისა – 325 კაცი (8%)<sup>[11]</sup>. კაპიტალისა და მუშახელის ასეთი კონცენტრაცია განპირობებული იყო სამრეწველო კრიზისით, რომელიც ამიერკავკასიასაც მოედო.

XX საუკუნის დამდეგს სამრეწველო კრიზისისა და მის მომდევნო დეპრესიას ბათუმის ცხოვრებაში უდიდესი პოლიტიკური მოვლენა - მუშათა მძლავრი რევოლუციური მოძრაობის გაიშლა – დაემთხვა. ბათუმის 15-ათასიანი მუშათა რაზმის<sup>[12]</sup> განმათავისუფლებელ ბრძოლას სათავე როტმილდისა და მანთაშევის ქარხნების მუშათა 1902 წლის იანვარ-თებერვლის გაფიცვამ დაუდო. ოფიციალურ პირთა გადმოცემით გაფიცულები ხელფასის მომატებას, სამუშაო დღის შემცირებას და უმუშევარი ამხანაგების წარმოებაში დასაქმებას მოითხოვდნენ. ბათუმელი მუშების მტკიცე, მოფიქრებული და გეგმიანი გამოსვლების შედეგი იყო ის, რომ კაპიტალისტები იძულებული გახდნენ გაფიცულთა მოთხოვნები თანდათან დაეკმაყოფილებინათ. 1905 წლისათვის 1902 წელთან შედარებით მუშათა ხელფასი გაიზარდა 20-30%-ით, სამუშაო დღის ხანგრძლივობა შემცირდა 10-დან 8 საათამდე, წარმოებაში დასაქმებული მუშების რიცხვი გაიზარდა დაახლოებით 30%-ით<sup>[13]</sup>.



მუშათა გამარჯვება მექარხნეთა მარცხი იყო. საგრძნობლად გაიზარდა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, შემცირდა მოგება. ამას დაემატა მუშათა მოძრაობის უმაგალითო გაქანება 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, როცა ბათუმის ნავსადგურის მუშები თითქმის მთლიანად შეწყდა. გემები ამაოდ ელოდნენ ტვირთს, ნავთის მარაგი კი ქარხნებსა და რეზერვუარებში აღარ ეტეოდა. მეწარმეებთან ერთად საგრძნობლად იზარალეს გემთმფლობელებმა, რომლებიც იძულებული გახდნენ ბათუმიდან გემების უტვირთოდ გაბრუნებას შერიგებოდნენ. თითქმის მთლიანად შეწყდა ბათუმიდან ნავთობის ექსპორტი აღმოსავლეთის ქვეყნებში. იქ რუსული ნავთობის ადგილი ამერიკულმა ნავთობმა დაიკავა<sup>[14]</sup>.

ასეთ პირობებში ზედმეტი გახდა ბათუმში არსებული ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელი ქარხნები და 1905 წლის იანვარ-ივნისში ერთიმეორის მიყოლებით დაიხურა<sup>[15]</sup>. ბათუმელი მუშების რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების საპასუხოდ კაპიტალისტებმა ლოკაუტს მიმართეს; ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის წარმოება ბათუმიდან საზღვარგარეთ გადაიტანეს.

მართალია, მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ გააძნელა ბათუმში მოქმედი ნავთობის მონოპოლიების სამრეწველო საქმიანობა, მაგრამ ნავთის საექსპორტო ჭურჭლის საწარმოთა შეჩერება მარტო რევოლუციის შედეგი არ ყოფილა. რევოლუციით შეშინებული კაპიტალისტები რეაქციის ხანაში უთუოდ განაახლებდნენ მუშაობას, რომ ამისათვის ხელი არ შეეშალა სხვა გარემოებას. მუშათა კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, მხოლოდ რამდენიმე ფირმამ განაახლა წარმოება და ისიც მეტად უმნიშვნელო მასშტაბით.

კაპიტალისტური სამყაროს საქმიანი წრეები ბათუმის ქარხნების დახურვაში ბრალს დებდნენ მუშებსა და სოციალ-დემოკრატებს. ჩვენშიც არაერთ მოღვაწეს სწამდა, რომ თითქოსდა “გაფიცვებთან თამაშის” წყალობით (ბათუმის მრეწველობის სახით) “მოკლული იქნა ქათამი”, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის “ოქროს კვერცხებს დებდა”<sup>[16]</sup>. მაგრამ სანდო საარქივო წყაროები ცხადყოფენ, რომ ბათუმში მოქმედმა მსხვილმა სამრეწველო-საექსპორტო ფირმებმა ჯერ კიდევ 1905 წელს რევოლუციის დაწყებამდე ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის მასშტაბების შემცირებისა და ნავთის ჭურჭლის დამამზადებელ საწარმოთა დახურვის გადაწყვეტილება მიიღეს. 1904 წლის 18 დეკემბერს ქუთაისის გუბერნიის უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი აცნობებდა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, რომ ხაჩატრიანცმა უკვე გამოაკრა განცხადება მისი ქარხნის მუშაობის შეწყვეტის შესახებ, ხოლო ნობელს გადაწყვეტილი აქვს ხელი აიღოს თუნუქის ბიდონებით ნავთობის ექსპორტზე. ამასვე აპირებდნენ (მისი განცხადებით) როტშილდი და მანთაშევიც<sup>[17]</sup>.

ასეთ გადაწყვეტილებამდე ნავთობის მაგნატები შემთხვევით არ მისულან. იგი მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურით იყო ნაკარნახევი.

ბაქოს ნავთობის მონოპოლიების მოქმედებამ განაპირობა ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელ საწარმოთა ლიკვიდაცია ბათუმში. 1904 წლის დამდეგს ნობელმა შეწყვიტა თუნუქის ბიდონებით ნავთობის ექსპორტი. 1905 წელს როტშილდმა დახურა ბიდონებისა და ყუთების ქარხანა ბათუმში. მისი ყოველგვარი მოწყობილობა, მანქანები და დაზგები გაზიდა უცხოეთში. მანთაშევიც ზედიზედ დაკეტა თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების ქარხნები. ბათუმელმა მექარხნეებმა თავის საწარმოთა დემონტაჟი მოახდინეს და ისინი უცხოეთში გადაიტანეს. ეს ქარხნები მათ გამართეს: ორი - კიუსტენჯიში, ხუთი - ალექსანდრიაში, ორი - ვენეციაში და ერთიც გენუის მახლობლად<sup>[18]</sup>.

ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოები ბათუმში სულს დაფავდა. 1914 წელს აღირიცხა 7 საწარმო, რომელთაც დასაქმებული ჰყავდათ 663 მუშა და დაამზადეს 740 000 მანეთის პროდუქცია<sup>[19]</sup>.

ამრიგად, ნავთობის საერთაშორისო მონოპოლიებმა 1904-1914 წლებში ძლიერ შეამცირეს ნავთობის ექსპორტი ბათუმიდან. ამან გამოიწვია ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელი მსხვილ საწარმოთა დახურვა, ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების დაკნინება. 1905 წლის ივლისიდან ბათუმმა დასავლეთ საქართველოს უმსხვილესი ცენტრის მნიშვნელობა თანდათან დაკარგა.

\* \* \*

ისტორიულ ნარკვევში 1977 წლიდან დღემდე თავადური წარმოშობის აჭარის თავად (ბეგ) შერვაშიძეთა კვლევის მასალები 14 გენეალოგიური ტაბულითაა წარმოდგენილი.

გთავაზობთ მათ შემდეგი სახით, წიგნის ბოლოში, სადაც თაობები დანომრილია რომაული ციფრებით, ხოლო შვილების შთამომავლების ნომერაცია, რომელზეც ტაბულაა მითითებული - მისი გაშიფრვა ხდება ნომრების მიხედვით.

აჭარის სხვადასხვა კუთხეში არიან სხვა გვარიდან შერვაშიძეთა გვარზე გადმოსული დაწერილი ოჯახები მაგალითად – მქონდა შეხვედრა ჩემთან სახლში - გამოძეცხადა 2000 წლის აპრილში და თავი გამაცნო ხუმრობით თითქოს მე მქონდა ვალი მისი ათასი დოლარი, ხულო, სოფ. დიდაჭარის მკვიდრი თეთრწყაროში მცხოვრები იოსებ ვლადიმერისძე შავაძე. მან ბრძანა, რომ ძველად ფონეოლოგებს იწერებოდნენ. ესლაკი ნაწილი შავაძეზეა ნაწილი შერვაშიძეზე.

შუახვეში სოფელ შუბნის შარვაშიძეებს დავეძებ 35 წელიწადია, რათა მათი წარმომავლობა დამეგინა. ვუგზავნიდი წერილს რამდენჯერმე ბეშუმისკენ გზად მიმავალი ვყოფილვარ ან კიდევ ხულოში რაიმე საქმე მქონია, შუახვევიდან მათი უბნის რწმუნებულის მეშვეობით. მაგრამ ამაოდ, არაფინ გამოძენმაურა.

რამოდენიმე წლის წინ ჩეჩნეთის ცნობილი მოგლეჩების დროს პანკისის ხეობაში ერთ-ერთი ოპერაციის ჩატარებისას დაიღუპა ქ. თბილისის უშიშროების უფროსი, ჩემი მამიდას გულნაზ მეტერბაშვილ-ბოლქვაძის 26 წლის სრულიად ახალგაზრდა შვილიშვილი კოტე მიქაძე, რომელსაც დასაფლავების შემდგომ, გამოსათხოვარი 800 კაცისათვის სუფრა უშიშროების კომიტეტმა გადაუხადა რესტორან არაგვში, სადაც ჩემს გვერდით სუფრაზე იმყოფებოდა კოტიკოს თანაკურსელი შუახვევი ტარიელ შარვაშიძის ძმის ცოლი, რომელსაც ვესაუბრე თუ ვინ ჰყავდათ ნათესავი შერვაშიძეები ქედასა და ბათუმში, მაგრამ პასუხი ვერ გამცა. მაშინ ვთხოვე თქვენი უფროსი თაობის წარმომადგენელი მამამთილი როცა ჩამოვიდოდა ბათუმში მსტუმრობოდა. ამაოდ ჩაიარა ჩემმა საუბარმა, დღემდე არაფინ გამოძენმაურებია. ეჭვიც არ არის, რომ მათაც გადაკეთებული გვარი აქვთ.

ასევე მქონდა ბედნიერება შეხვედროდი ჩემთან სამსახურში ქობულეთის რაიონის სოფელ შუაღელის მკვიდრს სულიკო შერვაშიძეს, რომელთანაც საუბარში გამოვიკვთა მათი წარმომავლობა - ისინი ადრე ესელოდლებს იწერებოდნენ.

ბათუმში – ურესში, ქედაში -სოფ. ოქტომბერსა და კორთმეთში ძველი წარმომავლობის ფესტილოდლები და ყვრიბოლდები იწერებიან შერვაშიძეს.

ქედაში, -სოფ. პირველ მაისში და ქობულეთის სოფელ ხალაში ხაზუხოდლები იწერებიან შერვაშიძეს.

როგორც ირკვევა, ამ პერიოდისათვის ბათუმის კომენდანტები იყვნენ შერვაშიძეთა გვარის წარმომადგენლები. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობაა დაცული გენერალ სიმონოვიჩის წერილში. იგი 1811 წლის 3 ნოემბერს კავკასიის მთავარმართებელ მარკიზ პაულუჩს წერდა:

„თავადი პოლკოვნიკი მანუჩარ შერვაშიძე იყო სამურნაყანოს მმართველი. ცდილობს ბათუმში ჩვენს ხელისუფლებას გადასცეს მისი ნათესავის თავად სოსლან – ბეგის მეშვეობით, რომ ბათუმის მცხოვრებლები მიხეუენ არიან ჰყავდეთ მმართველი შერვაშიძეთა გვარიდან...“<sup>4</sup>

სოსლან – ბეგ შერვაშიძე ბათუმის კომენდანტად ჩანს 1811 – 1812 წწ.-ში.

სხვადასხვა დროს ბათუმის კომენდანტები იყვნენ აგრეთვე ქუჩუკ – ბეგ, ქელეშ – ბეგ, მემედ – ბეგ შერვაშიძეები.

1804 წლის ერთი ცნობის თანახმად ბათუმის ნავსადგურში აგებდნენ გემებს, ფართოდ გავრცელებული ლაზური ტიპის სახლგაო ნომადლებს.


კავკასიის რუსულ ხელისუფლებას მაშინ მოლაპარაკება ჰქონდა ქუჩუკ – ბეგ შერვაშიძესთან, რათა ჩაებარებინა ბათუმის ციხე, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამის საფასურად მას დიდ ტიტულებსა და ქრთამს სთავაზობდნენ, მაგრამ ბეგს უარი განუცხადებია. როცა რუსეთის სარდლობას იმედი გადაეწურა, ტერორის მიმართა.

1809 წელს ქუჩუკ – ბეგი თავის ძმასთან ერთად მოუკლავთ, ხოლო 1810 წლიდან მის ადგილას ლაზი ომარ – ალა ჟორდანიძე დაუნიშნიათ.<sup>5</sup>

აჭარელ შერვაშიძეთა აფხაზეთიდან გადმოსახლების რამდენიმე ვერსია არსებობს. წინაპართა გადმოცემით 1780-1790 -იან წლებში აფხაზეთიდან ჩამოსულა 22 – 23 წლის, ახოვანი, ლამაზი შეხედულების თავადი ალექსანდრე, რომელიც რამდენიმე ენაზე საუბრობდა, თავი შეაფარა აჭარას, რუსი ჩინოვნიკის შემთხვევითი მკვლელობის გამო.



შირინ – ბეგ შერვაშიძის სახლი სოფელ ოქტომბერში.



შამა-პაპისეული ბუნარი .2004წ.სოფ.აქტომბერი.



შამა-პაპისეული ხელის ნაკვეთი წაბლის კარები .





მამა-პაპისეული მოქმედი ჭა -22 მ. სიღრმის.

თვით ალექსანდრეს წარმომავლობის შესახებ არანაირი დამადასტურებელი დოკუმენტი არა გვაქვს. 300 წლის აჭარაში თურქების ყოფნის შემდგომ თურქებს წაუღიათ თურქეთის რესპუბლიკაში აბსოლუტურად ყველა საარქივო მასალა. ბოლო 23 წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ ვიმოგზაურე თურქეთში, კერძოდ ართვინის არქივში, მაგრამ ამაოდ.

ასევე ვსტუმრობდი ქ. ერზურუმში მცხოვრებ ჩვენი გვარის წარმომადგენლის - საღის ზეკი გუნუჯუს ოჯახს, ალექსანდრეს შესახებ რაიმე ინფორმაციის მიღების თაობაზე ანკარისა და სტამბოლის არქივებიდან, მაგრამ ვერანაირ საბუთს ვერ მივაკვლიე მათი მეშვეობით.

იმდროინდელი საარქივო მასალების წარმოება ხდებოდა ძველ ოსმალურ ენაზე.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის არქივში, კერძოდ ქუთაისისა და ბათუმის არქივში აჭარის თავად ბეგ შერვაშიძეების, მათი მოღვაწეობის შესახებ მასალები მოიპოვება 1878-წლის შემდგომ პერიოდის, როცა აჭარა დედა სამშობლოს - საქართველოს დაუბრუნდა.

ალექსანდრე ქედის რაიონის ახლანდელ სოფელ ოქტომბერში (ძველი ალიქოღლები) დასახლებულა. მას შეუერთაგს ლორთქიფანიძის ასული. აუგია ციხე გალაგანი, რასაც ნათლად მოწმობს ძველი ციხის შემორჩენილი ნანგრევები და მასზე აგებული შირინ ბეგის სახლი.

4. АКТЫ, Т. V., С. 181.

5. ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბილისი, 1985, გვ. 28-36.



მამა-პაპისეული წიქვილი. სოფელი ოქტომბერი.



მამ -პაპისეული სახლი. სოფელი ოქტომბერი.

აჭარაში შერვაშიძეთა გვარის ალექსანდრეს შტოს წარმომადგენლები არიან: ოქტომბერში, სოფლებში: ორცვაში, თხილნარში, ახალშენში, ურენში, ადღიაში, აერობორტის დასახლებაში, ხალაში და ქალაქ ბათუმში.

აჭარაში შერვაშიძეთა გვარის არსებობა და მათი მონაწილეობა ამ კუთხის მართვა-გამგებლობაში მითითებულია სწავლასწავ ისტორიულ წყაროებში. მათ მოიხსენიებენ ცნობილი ისტორიკოსები და მოგზაურები: დიმიტრი ბაქრაძე, თეოდო სახოკია, ნიკო ბერძენიშვილი და სხვები.

თანამედროვეთაგან აჭარაში მცხოვრებ შერვაშიძეებს მრავალი მონოგრაფია უძღვნეს აწვარდაცვლილმა ისტორიკოსმა, პროფესორმა აბელ სურგულაძემ და შერვაშიძეების გვარზე საოცრად შეყვარებულმა მწერალმა რამაზ სურმაძემ. მისი, როგორც შერვაშიძეთა გვარის დიდი ნათესავის დეაწლი გვარის ისტორიის შესწავლისათვის განსაკუთრებულია. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამ გვარზე მასალების გამოქვეყნება ტაბუდადებული იყო, რამაზ სურმაძემ 1967 წელს გამოაქვეყნა ვრცელი წერილი ყადირ – ბეგ შერვაშიძეზე. მისი ბიოგრაფიის შესასწავლად ორჯერ იმოგზაურა მოსკოვსა და ესტონეთში და ამ დიდ მოღვაწეს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომიც მიუძღვნა. ამჟამად კი ხელთ გვაქვს სქელტანიანის მონოგრაფია „ყადირ შერვაშიძე“. რომელიც 2001 წელს თბილისში გამოიცა.

1780-1790 წლებში, როცა ალექსანდრე შერვაშიძე მოეწვინა აჭარას, ამ დროისათვის გვარების გადაკეთება დამთავრებული იყო, ამის გამო შერვაშიძეების გვარს „ოღლი“ აღარ მიაკუთვნეს.

ამ პერიოდში აჭარის ყველა მოსახლე თურქეთის სახელმწიფოს უხდიდა გადასახადს (ხარკს) ოქროთი, ერთი შაური წელიწადში, რაც მოსახლეობას ძალზე უჭირდა.

ქედის მაზრას 5 წელი არ გადაუხდია გადასახადი. იმ დროისათვის თურქეთის ფაშას გამოუგზავნია ქედის მაზრაში თავისი რწმუნებული 30 ჯარისკაცით, რომელიც მდინარე მაჭახლისპირიდან აჭარისწყლის ავლით ქედაში ასულა, ისე, რომ გზაზე სალაში არავისთვის უთქვამთ. ამით გამოხატეს აჭარის მოსახლეობის მიმართ განწყობა. რწმუნებული თავისი ამალით ქედის ჯამეში შეჩერდა მუხლმოდრეკით, წინ ხანჯლით.



ამ დროისათვის ქედას ჰყავდა ბეგები (ბეჟანიძეები და ავალიანები). უცხო სტუმარს უბრძანებია მათი შემოყვანა. ადგილობრივი ბეგები რჩევისათვის მივიდნენ ალექსანდრე შერვაშიძესთან, თანაც თხოვეს შესულიყო თურქეთიდან ჩამოსულ ფაშის წარმომადგენლებთან და მისაღმებლად.

ალექსანდრემ ამ თხოვნაზე უარი განუცხადა, რომ ის ადგილობრივ ბეგებს წინ არ გაუსწრებდა. ამ დროს ალექსანდრეს ცოლის დიდმა ბაბუამ სიძე გაიხმო და უთხრა: „ამათ ეშინათ ჯამეში შესვლა თურქი ფაშის წარმომადგენლებთან. მას ხანჯალი აქვს წინ დადებული – ხარკის გადაუხდელობის გამო და შეიძლება ვინმეს თავს მოკვეთავენ,“-ო.

ბაბუამ უხრა: „ფაშა ისეთ სულელს არ გამოავაზავნიდა, რომ სხვა ქვეყანაში 30 კაცის თანხლებით ვინმეს თავი მოკვეთოს,“-ო.

ამის შემდეგ ალექსანდრე შევიდა ჯამეში და რწმუნებულს თათრულად მიესალმა. თურქმა სალამზე პასუხი არ გასცა, შემდეგ კი ჰკითხა, თათრულად – შენ რა გვარის ხარო. ალექსანდრემ უპასუხა: - მე ვარ შერვაშიძე, აფხაზეთიდან ჩამოსული თავადი, რომელმაც თავი აჭარას შეაფარა, რუსი ჩინოვნიკის შემთხვევითი მკვლელობის გამო.

ოსმალო მოხელეს მოეწონა ახოვანი, ღამაში კაცი და იმ დღიდან მას უბოძა აჭარის ბეგობა, თანაც 5 წლის დაგალიანება აჭარის მოსახლეობას აპატია და მეორე დღესვე წავიდა თურქეთში.

ალექსანდრემ გააცლია სოფელ მახუნცეთამდე, იქ დახვდათ მახუნცეთის მოსახლეობა პურით და მარილით, ხის გაბზარულ გობზე დადებული შარბათით. ამ რიტუალების შემდეგ თურქმა სტუმარმა, რომელიც მოიხიბლა ქართველი მუსლიმანების სტუმართმოყვარეობით, დამატებით კიდევ, წინასწარ 5 წლის ვადით გაათავისუფლა აჭარის მოსახლეობა ხარკისაგან.

ამის შემდეგ ქედაში სშირად გაიხმოდა ხუმრობა – ჯამეში შევიდა თავადი ალექსანდრე შერვაშიძე და გამოვიდა ბეგით.

ზემთით თქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ 1790 წლიდან 1914 წლამდე შერვაშიძეთა გვარის წარმომადგენლები განაგებდნენ ქედის მაზრას.

ალექსანდრეს ორი ვაჟი შეძენია – მეძედი და ახმედი.

ერთი შტო მეძედ – ბეგით (1790 წ.) გრძელდება, მეორე ახმედ – აღით (1792 წ.).

- მეძედ – ბეგს შეძენია 3 ვაჟი და 2 ქალიშვილი:

- ჰაჯი – ასლან – ბეგი
- სეფერ – ბეგი
- აბდულ – ბეგი
- ფემბე ხანუმი
- იფეთ ხანუმი

- ახმედ აღას: - სული ბეგი. თვით სული ბეგს 3 ვაჟი ჰყოლია:

- დურსუნ აღა -ის. ტაბულა №13
- ახმედ აღა -ის. ტაბულა №14
- ხასან აღა -ის ტაბულა №14

ჰაჯი – ასლან – ბეგს სამი მეუღლისაგან შეძენია 10 ვაჟი და 3 ასული:

დავაჟყავებული, საკმაოდ ასკში შესული და ცხოვრება გამოვლილი მოესწრო იმ სანუკვარ დროს, როცა საუკუნეების წინ მიტაცებული მხარე, სამხრეთ საქართველო განთავისუფლდა, მართალია რუსთა მმართველობის ქვეშ, მაგრამ მაინც დედა – სამშობლოს ფარგლებში.



თუფან ბეგი იარაღით ხელში



თუფან ბეგი შვილებთან და თურქეთიდან ჩამოსულ ნათესავებთან  
(დგანან მარჯვნივ) ერთად. ყადირი ზის მარცხნივ.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ბეჭ



თუფან ბეგი მუნდირში

### თუფან – ბეგ შერვაშიძე

ჰაჯი ასლან - ბეგის პირველი ვაჟი - თუფანი

დაიბადა 1846 წლის 16 იანვარს, მას საოჯახო განათლება ჰქონდა მიღებული და ფლობდა არაბულ, თურქულ და რუსულ ენებს. უადრესად ნაკითხი და განათლებული ადამიანი იყო, რომელსაც იმ დროს დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში.

1877 – 1878 წწ. რუსეთ – თურქეთის ომისა და დაზავების შემდეგ ახლად დაპყრობილ ქართულ პროვინციებში რუსეთის ხელისუფლებას სანდო და ხალხის მიერ აღიარებული პირები სჭირდებოდა (დროებით მაინც). ქედის მაზრაში არჩევანი თუფან ბეგზე შეაჩერეს.

თუფან ბეგი 1878 წლის 14 ნოემბრიდან ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით ინიშნება ქვემო აჭარის მაზრის უფროსად, მას მაიორის წოდება მიანიჭეს, ის მაზრას განაგებდა 1878 – 1898 წლებში.

მუჭაჯირობის პერიოდში მან აქტიური როლი ითამაშა აჭარის მოსახლეობის უკან მობრუნებაში. ის ქადაგებდა, რომ რუსები არაფერს დაუშვებდნენ მათ ოჯახებს. საკუთარი სურსათ-სანთოვანით ამარაგებდა თურქეთში გასაქცევად გამზადებულ ოჯახებს და უკან აბრუნებდა.

1883 წლის 15 მაისს მოსკოვში გამოცემული ბრძანებით კავკასიის სამხედრო ოლქის დაქვემდებარებაში მყოფი თუფან ბეგი წარჩინებული სამსახურისათვის დაჯილდოვდა წმინდა სტანისლავის 3-ე ხარისხის ორდენით.

1887 წლის აგვისტოში დაჯილდოვდა წმინდა ანნას 3-ე ხარისხის ორდენით.

1888 წლის 22 სექტემბერს - წმინდა ვლადიმერის 4-ე ხარისხის ორდენით.

1890 წლის აგვისტოში - წმინდა სტანისლავის 2-ე ხარისხის ორდენით.



ტიფლისი 1913წ. შთაჯირობის მოსილეთების შეხვედრაზე კავკასიის მეფის ნაცვალთან. თუფან ბეგი მარცხნიდან მე-3, მელიორე რიგში წის.



**ПОЛНЫЙ ПОСЛУЖНОЙ СПИСОКЪ. Арх 795**

*Начальника Инспекции Архиварского участка Ботуменского округа, Майора Михаил Ивановича Бель-Олейникова*

<p>I. Чинъ, имя, отчество и фамилия.</p>	<p><i>Майора Михаил Ивановича Бель-Олейникова</i></p>
<p>II. Должность на службѣ.</p>	<p><i>Начальника Инспекции Архиварского участка Ботуменского округа</i></p>
<p>III. Ордена и знаки отличія.</p>	<p><i>Медалью ордена св. Анны 2-го ст. св. Станислава 2-го ст. и др.</i></p>
<p>IV. Когда родился.</p>	<p><i>16 Января 1860 года</i></p>
<p>V. Изъ какого званія происходитъ и какой губерніи уроженецъ.</p>	<p><i>Изъ дворянъ бывшей Ботуменской области</i></p>
<p>VI. Какого вѣроповѣданія.</p>	<p><i>Малометанскаго</i></p>
<p>VII. Гдѣ воспитывался.</p>	<p><i>Въ училищѣ св. Анны въ Ботумѣ</i></p>
<p>VIII. Получаемое на службѣ содержаніе.</p>	<p><i>Получаетъ: 650 р. Содержаніе 250 р. Общественныя 150 р. Квартирные 300 р. и Рядовые 150 р. Итого 1500 руб.</i></p>





**ПОЛНЫЙ ПОСЛУЖНОЙ СПИСОКЪ.** *Арх 795*

*Начальника Миссии Адмиралского участка Ботуменского округа, Майора Миссии Шворанъ-Тонъ-Оглы*  
*Формальной 30 Словения 1897.*

<p>I. Чинъ, имя, отчество и фамилия.</p>	<p><i>Майоръ миссия Шворанъ-Тонъ-Оглы Шарваншвзе</i></p>
<p>II. Должность на службѣ.</p>	<p><i>Начальникъ Миссии Адмиралского участка Ботуменского округа</i></p>
<p>III. Ордена и знаки отличія.</p>	<p><i>Миссия орденъ св. Анны 2-го ст. св. Владимира 4-го ст. св. Станислава 2-го ст. и др.</i></p>
<p>IV. Когда родился.</p>	<p><i>16 Января 1846 года</i></p>
<p>V. Изъ какого званія происходитъ и какой губерніи уроженецъ.</p>	<p><i>Изъ дворян бывшей Астраханской губерніи</i></p>
<p>VI. Какого вѣроповѣданія.</p>	<p><i>Малоштанскаго</i></p>
<p>VII. Гдѣ воспитывался.</p>	<p><i>Въ родномъ своемъ родномъ</i></p>
<p>VIII. Получаемое на службѣ содержаніе.</p>	<p><i>Миссованія 650 р. Столовыхъ 250 р. Общественныхъ 150 р. Квартиры 300 р. и Ризы 150 р. Итого 1500 руб.</i></p>





IX.

Прохождение службы:

Когда въ службу вступилъ и произведенъ въ первый офицерскій чинъ; производство въ слѣдующіе чины и дальнѣйшая служба, военная, гражданская и по выборамъ; переводы перемѣщенія изъ одного мѣста службы или должности въ другую, съ объясненіемъ, по какому случаю, по волѣ начальства или по собственному желанію; когда отправился и прибылъ къ новому мѣсту службы; награды чинами, орденами, знаками отличія; Всемилостивѣйше рескрипты Высочайшаго благоволенія.

	Годъ.	Мѣсяць.	Число.		Годъ.	Мѣсяць.	Число.
<p>окладу воеводскому Губернаторскому приказному Куртанин- скому воеводе Су- вернаго поручика 1883г. за № 1 департа- мента. Новороссійскаго Минист. Адонка рекаго уездника Запоро- жскаго округа . . . . .</p> <p>Приказомъ повелено народни- ку Куртанинскому Кас- кавскому 26 Июня 1883года за № 4, назначенъ на постановку долж- ности . . . . .</p>	1883	Июня	1	<p>Въ возмездіе отпущ- но по предной сущаго Генералъ Минтра- торъ 6000 руб. Ве- чета 1887года Все- милостивѣйше соизволилъ похва- ловать орденомъ св. Анны 3ей ст. для перевѣтки за уста- новленіемъ</p> <p>Генералъ Минтракторъ въ 22 дни Сента- бря 1888 года Все- милостивѣйше соизволилъ похва- ловать орденомъ св.</p>			
	1883	Июня	26				



<p>XI.</p> <p>Холость или женатъ, на комъ, имѣть-ли дѣтей, годъ, мѣсяцъ и число рожденія дѣтей, какого они и жена вѣроисповѣданія.</p>	<p><i>Женатъ, по договору ссимиъ Зена Меди-оши, Крадиль. Чинъ дѣти: сынъ Ветиръ, родившійся 10 Января 1881г. дочери Саидъ, родив- шаяся в Тисинъ 1882г. Потомъ 10-ти Варъ 1874г. и Вадре 6-го Января 1878 года Несса и дѣти вѣроисповѣданія Малахетанскаго.</i></p>			
<p>XII.</p> <p>Есть-ли за нямъ, за родителями его, или когда женатъ, за женою, недвижимое имущество, родовое или благопріобрѣтенное.</p>	<p><i>Имѣетъ недвижимое имуще- ство в имлокаціи ее впадат- ной земли и имѣетъ дванадцать десятичь.</i></p>			
<p>XIII.</p> <p>Въ штрафахъ, по суду или безъ суда, также подъ слѣдствіемъ былъ-ли когда, за что именно, и чѣмъ дѣло кончено.</p>	<p><i>не было</i></p>			
<p>XIV.</p> <p>Вытность въ походахъ и дѣлахъ противъ непрітеля, съ объясненіемъ, гдѣ именно: съ какого и по какое время; оказанныя отличія и полученныя въ сраженіяхъ раны или контузіи; особыя порученія, сверхъ прямыхъ обязанностей, по Высочайшимъ повѣленіямъ, или отъ начальства; посеудность, неподлежащая ввесеію въ штрафную XII графу.</p>	<p><i>Въ походѣ въ Севастополь особою порученіемъ сверхъ прямыхъ обязанностей исполнить</i></p>	<p>Годъ.</p>	<p>Мѣсяцъ</p>	<p>Число.</p>



წმინდა სტანისლავის ორდენი - დაარსდა 1765 წლის 7 მაისს, პოლონეთის მეფისა და დიდი ლიტვის თავადის სტანისლავ ავგუსტ პონიაპოვსკის მიერ პოლონეთის მფარველის წმინდა სტანისლავის სახმანსოვროდ.

ორდენს განეკუთვნება ნიშანი და დევიზი - „ჯილდოთი აღფრთოვანებული ვარ, (ლათ., „Premiando incita“). ორდენის ნიშანია რაინდთა ჯვარი, დაფარული წითელი ემალით, ოთხი თეთრი არწივით (პოლონეთის სიმბოლო) ჯვრის სხივებს შორის, ცენტრში წმინდა სტანისლავის ფიგურაიანი და ლათინური გუნწელებით SS-მის გვერდში. ჯვარი ჰკიდია ორდენის წითელ ლენტზე, თეთრი კანტებით გვერდებზე. თავიდან ერთი ხარისხისა იყო. ორდენს წლიურად 50-60 კაცი ღებულობდა.

1795 წლის შემდეგ „რეჩი პოსპოლიტა“-ს (პოლონეთი) გაუქმებასთან დაკავშირებით ორდენის მოქმედება შეწყდა.

1807 წელს რუსეთი და ავსტრია დამარცხდა ნაპოლეონთან ომში. დაიღო ტილზიტის ზავი რის მიხედვით პოლონეთის იმ მიწებიდან, რომლებიც პრუსიაში იყო, შეიქმნა ვარშავის საჰერცოგო. საქსონიის მეფის ეგიდით საქსონიის მეფემ და ვარშავის ჰერცოგმა ფრიდრიხ - ავგუსტე - 11-მ 1809 წელს აღადგინა წმინდა სტანისლავის ორდენი. მისი მმართველობის დროს (1809-1813) ორდენს დაეუფლა 18 კავალერი. სულ (1765-1813) წლებში წმინდა სტანისლავის ორდენის კავალერიი გახდა 1762 კაცი.

ნაპოლეონის დაცემის შემდეგ, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით ვარშავის საჰერცოგო შევიდა რუსეთის შემადგენლობაში.

1815 წლის მანიფესტით იმპერატორმა ალექსანდრე 1-მა შეინარჩუნა ორდენი პოლონელთა დასაჯილდოებლად, დაყო იგი 4 ხარისხად. პირველ და მეორე ხარისხისხისათვის გათვალისწინებული იყო ვერცხლის ვარსკვლავი.

პოლონეთის სამეფომ შეინარჩუნა ნაწილობრივი დამოუკიდებლობა. რუსეთის იმპერიაში ჰქონდა საკუთარი კონსტიტუცია და თავისი ორდენები, მაგრამ პოლონეთის აჯანყების (1830-1831 წწ.) ჩახშობის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი გახდა. აქედან წმინდა სტანისლავის ორდენი გადავიდა რუსეთის იმპერიის ჯილდოთა რიცხვში. 1832 წელს ორდენიდან ამოიღეს წმინდა სტანისლავის ფიგურა. ჩაანაცვლეს იგი SS გუნწელით და ერთთავიანი პოლონური არწივი შეცვალეს ორთავიანით.

1839 წ. ნიკოლოზ პირველმა გამოსცა ორდენის ახალი სტატუსი, ამის მიხედვით ორდენი გაიყო 3 ხარისხად. დაჯილდოება შეიძლებოდა ნებისმიერი რუსეთისა და პოლონეთის მოქალაქისა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირებისა ნებისმიერი დამსახურებისათვის. მაგალითად, საქველმოქმედო მოღვაწეობისათვის.

2-ე ხარისხის ორდენი გაიყო ორი სახის ჯილდოთ: - ჯვარი იმპერატორის გვირგვინით და ჯვარი გვირგვინის გარეშე (გაუქმდა 1874 წ.).

1884 წლიდან არა ქრისტიანთა დაჯილდოებისათვის იყენებდნენ ორდენს, რომელზეც წმინდა სტანისლავის მაგივრად შავი ორთავა არწივი იყო გამოსახული.

3-ე ხარისხის წმინდა სტანისლავის ორდენი იყო ყველაზე დაბალი ხარისხის და ყველაზე გაფრცვლელი ჯილდო. მას ღებულობდა პრაქტიკულად ყველა სამხედრო თუ სამოქალაქო პირი, რომლებმაც განვლეს თავისი სამსახურის ვადა.

დაარსებისას ორდენი - მის კავალერს აძლევდა უფლებას, გამხდარიყო თავადი. ამან გამოიწვია არისტოკრატიის უკმაყოფილება. ამიტომ 1845 წელს 2-ე და 3-ე ხარისხის ორდენებით დაჯილდოება შეწყდა და განაწილდა იგი 1855 წელს. ამიერიდან თავადის წოდება შეიძლება ჰქონოდა პირველი ხარისხის ორდენის მფლობელს.

1855 წლიდან სამხედრო საქმეში წარმოებისათვის ორდენის ნიშანს დაემატა ჯვარედინი მახვილები. თუ ამავე, ან უფრო მაღალი ხარისხის ორდენით აჯილდოებდნენ არა სამხედრო მიღწევებისათვის, მახვილები განლაგებული იყო ორდენისა და ვარსკვლავის ზედა ნაწილში. 1874 წლიდან ორდენის ნიშნიდან ამოიღეს გვირგვინი, მაგრამ გვირგვინიანი ორდენები ძალაში დატოვეს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მეც



წმინდა სტანისლავის ბრილიანტით  
გაწყობილი 1 ხარისხის ორდენი.

წმინდა სტანისლავის  
2-ე ხარისხის ორდენი.

წმინდა სტანისლავის  
3-ე ხარისხის ორდენი

წმ. ვლადიმერის ორდენი – ოთხი ხარისხით დაარსა 1782 წლის 22 სექტემბერს ეკატერინე მეორის მიერ, თავისი მეფობის 20 წლისთავზე საერო და სამხედრო პირთა დასაჯილდოებლად. კავალერთა რიცხვი არ იყო ლიმიტირებული. მიუხედავად იმისა, რომ ორდენის სტატუსი იძლეოდა დაჯილდოების საშუალებას დაწყებული დაბალი ჩინის პირებიდან, მისმა რეგითობამ გამოიწვია ის, რომ პირველი ხარისხის ორდენით ჯილდოვდებოდნენ პირები, რომლებიც რანგის ტაბელის მიხედვით იყვნენ არანაკლებ მესამე კლასისა (საიდუმლო მრჩეველი, გენერალ-ლეიტენანტი, ან ვიცე-ადმირალი).

მეორე რანგისა არა ნაკლებ მეოთხე კლასისა (ნამდვილი სტატსკი მრჩეველი, გენერალ-მაიორი, კონტრ-ადმირალი).

მესამე რანგისა არა ნაკლებ მეხუთე კლასისა (სტატსკი მრჩეველი, ბრიგადირი, კაპიტანი-კომანდორი) და მეხუთე რანგისა, არა ნაკლებ მეშვიდე კლასისა (კარის მრჩეველი, პოლკოვნიკი, მეორე რანგის კაპიტანი).

1787 წლიდან მე-4-ე რანგის ორდენით აჯილდოებდნენ 35 წლის უხადო სამსახურისათვის. ამ შემთხვევაში მარცხენა და მარჯვენა ბოლოში ჯვარზე ოქროს ასოებით და ციფრებით ეწერა (35 წელი).

მოგვიანებით ეკატერინე მეორემ 1789 წლის 26 ნოემბრის განსაკუთრებული ბრძანებულებით დაამატა მე-4-ე რანგის ნიშანს ორდენის ღენტის ბანტი (ბაფთა).

წმ. ვლადიმერის ორდენის კავალერი გახდა კაპიტან-ლეიტენანტი დ. ი. სენიაგინი, მომავალში ცნობილი სამხედრო მეზღვაური. ფილიპის ბრძოლისათვის აგრეთვე დაჯილდოვდა ფ. ფ. უშაკოვი.

ეს ორდენი განსაკუთრებით ფასობდა ოფიცრებში. ერთი საფეხურით დაბლა იდგა მხოლოდ წმინდა გიორგის მე-4-ე ხარისხის ორდენთან შედარებით.

1845 წლის 22 ივლისს დამტკიცებული ახალი სტატუსით დადგინდა სპეციალური ორდენის ნიშნები მე-4-ე ხარისხისათვის, რომლითაც აჯილდოებდნენ: იმ კლასის სამოქალაქო ჩინოსნებს, რომლებმაც იმსახურეს 35 წელი, ჯვარი წარწერით „35 წელი“, ჯვრის ჰორიზონტალურ სხივზე, სამხედრო-სახმელეთო მოსამსახურეთათვის ოფიცრის წოდებით 25 წლის სამსახურისათვის - ჯვარი ბაფთით და წარწერა - „25 წელი“.

საზღვაო მოსამსახურეთათვის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 18 საზღვაო სამხედრო კომპანიაში ჯვარი წარწერით „18 კომპანია“ და ბაფთით.

იმ პირობათვის, რომლებმაც 20-ჯერ მიიღეს ასეთ კომპანიაში მონაწილეობა, არ იყო საგაღდეგო ბრძოლაში მონაწილეობა, ჯვარი ბაფთით და წარწერა - „20 კომპანია“.


1855 წლიდან სამხედრო დამსახურებისათვის აჯილდოებდნენ ორდენით, რომელზეც გადაჯვარედინებული მახვილებია. ამის შემდეგ ორი წლის განმავლობაში წმ. ვლადიმერის მე-4-ე ხარისხის ორდენით არ აჯილდოებდნენ.

1857 წლიდან ოფიცრები სამხედრო მიღწევებისათვის ჯილდოვდებოდნენ ორდენის ნიშნით მახვილებითა და ბანტით, განსხვავებული ჩინოვნიკების ორდენის ნიშნისაგან, რომელზეც გამოსახული იყო მხოლოდ მახვილები. თუ პირი ჯილდოვდებოდა უფრო მაღალი ხარისხის ჯილდოთი საერთო დამსახურებისათვის, მახვილები ნიშანზე განლაგებული იყო ცენტრის ოდნავ მაღლა, ასეთი ჯილდოთი აჯილდოვდნენ 1870 წლის ბოლოდან როცა კავალერებს ნება დართეს უფრო მაღალი ორდენით დაჯილდოების შემთხვევაში არ მოეხსნათ სამხედრო მიღწევებში მიღებული ჯილდო.

1845 წლიდან მხოლოდ წმ. ვლადიმერის და წმ. გიორგის ნებისმიერი ხარისხის ორდენით დაჯილდოვებული პირები ღებულობდნენ თავადის წოდებას, ხოლო ამისათვის სხვა ორდენი უნდა ყოფილიყო უმაღლესი, პირველი ხარისხის.

1900 წლის ბრძანებულებით მეოთხე ხარისხის ორდენით დაჯილდოებული შეიძლება გამხდარიყო პირადი თავადი (ლიხნი დგორიანინ). ეს იმითომ, რომ ამ ხარისხის ორდენით საკმაოდ მრავლად ჯილდოვდებოდნენ ქველმოქმედი პირები, ვაჭრები და მეწარმეები.

1860 წელს ზოგიერთი ჯვარი იმ დროს, მოდის მიხედვით იფარებოდა შავი ემალით.



წმინდა ანას ორდენი - რუსეთის იმპერიაში პირველად შემოვიდა XV111 საუკუნეში საზღვარგარეთიდან.

1735 წელს ჰერცოგმა ჰოლლშტეინ-პოტტორსკი კარლ ფრიდრიხმა, თავისი მეუღლის, პეტრე პირველის გარდაცვლი ქალიშვილის ანნა პეტროვნას სამახსოვროდ დაარსა წმინდა ანას ორდენი.

ორდენის დევიზი იყო: „Amantibusjustitiam, Pietateret Fidem” – სიამართლის სიყვარული, კეთილსინდისიერება და ერთგულება.


დევიზი ლათინური პირველი ასოები „A.J.P.F.” - ნიშნავს „ანნა იმპერატორ პეტრეს ქალიშვილი”.

კარლ ფრიდრიხის გარდაცვალების შემდეგ 1742 წელს მისი ვაჟიშვილი კარლი პეტრე ულრიხი გაცხადდა რუსული ტახტის მემკვიდრედ, დიდი კნიაზის პეტრე თევდორეს ძის სახელით. ის ჩამოვიდა რუსეთში და ჩამოიტანა წმ. ანას ორდენი. ამავე წლის თებერვალში ორდენის ორ კავალერს (კარლ ფრიდრიხი და კარლ პეტრე ულრიხი) მიემატა კიდევ ოთხი კავალერი კამერგერები: მ. ი. ვორონცოვი; ა. გ. რაზუმოვსკი; ძმები - ა. ი. და პ. ი. შუვალოვები.

იმ დროისათვის, როცა პეტრე თევდორეს ძე აკურთხეს პეტრე-3-ედ, რუსეთში უკვე ათობით ამ ორდენის კავალერი იყო. მას ატარებდნენ მარცხენა მხარეს ლენტზე დაკიდებულს მხრის მხრიდან, რომელიც იყო წითელი, ყვითელი კიდევით. წითელი ოქროს მისართაგებით, კუთხეებში ჯვართი.

ცენტრალურ მედალიონში, რომელზეც გამოსახულია წმინდა ანა, ორდენის ვერცხლის ვარსკვლავი მაგრდებოდა მკერდის მარცხენა მხარეს.

1762 წელს პეტრე მესამე გადააყენეს. გამეფდა ეკატერინე მეორე. მაგრამ ორდენი დარჩა რუსეთში. იგი დაიყო რანგებათ. მხოლოდ ეკატერინე მეორეს გარდაცვალების შემდეგ, როცა პავლე - მისი შვილი გახდა რუსეთის იმპერატორი, მიიღო სამივე ხანის ორდენი.



პირველი ხარისხის - უმაღლესი ხარისხის ორდენს შექმონია „გოლშტეინის“, ლენტი და ვერცხლის ვარსკვლავი, რომელსაც, ერთადერთს რუსულ ორდენებს შორის, ატარებდნენ მკერდის არა მარცხენა, არამედ მარჯვენა მხარეს. დევიზიც იგივე დარჩა. უმაღლესი პირველი ხარისხის ორდენს ატარებდნენ ფართო ლენტზე მარცხენა მხრიდან, ლენტის ფერი და ჯვრის ფორმა დარჩა უცვლელი.

მეორე ხარისხის ორდენი წარმოადგენდა ისეთივე წითელ ჯვარს, რომელსაც ატარებდნენ ყელზე ჩამოკიდებით უფრო ვიწრო ლენტზე. ვარსკვლავი ამ ხარისხის ჯილდოს არ მიჰყვებოდა 1797 წლიდან.

მესამე ხარისხის ორდენს ატარებდნენ „ინფანტერიის, ან კავალერიის დაშნის, ან ხმლის ვადაზე.


წმ. ანას ნიშანი იარაღზე წარმოადგენდა პატარა მრგვალ სიბრტყეს, იმპერატორის გვირგვინით წითელ ემალის ბეჭედზე და შიგ ჩატანებული წითელი ჯვარი, ისეთივე, როგორც იყო ცენტრალურ მედალიონზე წმ. ანას ორდენზე. იმპერატორ პავლეს დროს მის შემდეგ, ატარებდნენ დაშნის გარდაზე (დამცავით ასე) არა შიგა მხრიდან, როგორც ადრე, არამედ გარეთა მხრიდან, რადგან მისი დამალვა აღარ იყო საჭირო.

დაბალი წოდების პირებისათვის შემოიღეს განსაკუთრებული ჯილდო, რომელიც თავიდან წმ. ანას ფერებს წარმოადგენდა. მას ატარებდნენ ჯარისკაცის მუნდირზე (რომელიც გამოიხსნა ჯერ კიდევ 1796 წლიდან წარჩინებული სამსახურის სტაჟის მიხედვით). 1797 წელს მიღებული ლენტი შეცვალეს „მოქროვილი მედლით,, რომელზეც ერთ მხარეს იყო ასეთივე ჯვარი, როგორიც – დაშნაზე. მეორე მხრიდან კი ნომერი. ათვლის სიზუსტისათვის ატარებდნენ ისეთივე ლენტზე.

საარქივო დოკუმენტების მიხედვით №1 ჯილდო მიიღო იზმაილოვის გვარდიის პოლკის უნტერ-ოფიცერმა ვასილ გურიევმა; - „სერჟანტი ლენტი,, 1796 წელს, ხოლო 1797 წლის 1 ნოემბრიდან უკვე უნტერ ოფიცერი გახდა მოცემული ჯილდოს კავალერი. ჩვენ ვიცით ამ ჯილდოს შემდეგი კავალერები: იზმაილოვის პოლკის რიგითი ანტონ ტიტოვი იყო (№2), გვარდიელი - სემიონოვის პოლკის რიგითი ივანე სტეპანოვი (№3), პრეობრაჟენსკის პოლკის გრენადერი არსენ ფედოსეევი (№4). შემდეგში ანას მედალით, ასევე როგორც წმ. გიორგის ორდენით, ჯილდოვდებოდნენ სამხედრო საქმეში წარჩინებულები.

ამ ნიშნით 1805 წელს შეგზარბენეს ბრძოლისას სუკოროვის მხედრობის დროს ჯარისკაცები ჯილდოვდებოდნენ მასიურად, რადგან ნ ათასმა არიერგარდმა ჯარისკაცმა პეტრე ბაგრატიონის მეთაურობით წინააღმდეგობა გაუწია 30 ათასიან ფრანგულ არმიას და ამით საშუალება მისცა რუსთა ჯარს სამშვიდობოს გასულიყო.





1807 წელს დაარსდა სამხედრო ორდენის განსხვავების ნიშანი (ჯარისკაცთა გიორგის ჯვარი), რის შედეგადაც ჯარისკაცთა და მატროსთათვის ანას მედალი უმთავრესად 20 წლის სტაჟის აღმნიშვნელი ნიშანი გახდა. მოგვიანებით განსაკუთრებული დებულებით „ანას ორდენის განსხვავებული ნიშნის შესახებ“, (11 ივლისი 1864 წ.) ეს ჯილდო ეძლეოდა: „განსაკუთრებული არა სამხედრო დამსახურებისათვის, სამსახურში ან მის გარეთ, რომელნიც გამოდიან სხვა ჯილდოებით დაჯილდოებულების სფეროდან.

სხვა სიტყვებით, ეს ჯილდო ეძლეოდა გამბედაობისათვის, ვაჟკაცობისათვის და ერთგულებისათვის არა საბრძოლო სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღებისას, სიცოცხლის რისკის ფასად, რაც ემსახურებოდა მთავრობის და სახელმწიფოს კეთილდღეობას.

ამ მედალს კავალერი ატარებდა ლენტაზე ბაფთით. თუ მეორეჯერ დაჯილდოებულს უკვე გააჩნდა ასეთივე მედალი, უმატებდა ბაფთიან ლენტს და ღებულობდა ფულად ჯილდოს 10-დან 100 რუბლამდე.

1888 წლიდან ანას მედლით ისევ აჯილდოებდნენ უნტერ – ოფიცრებს სამსახურის სტაჟის 10-ზე მეტი წლის სამსახურისათვის, მაგრამ ბანტის გარეშე. წმ. ანას ორდენის გარსხვავების ნიშანი რჩებოდა კავალერს. თუ იგი ოფიცერი გახდებოდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ნებისმიერი ხარისხის იყო.

1916 წლიდან სამხედრო მდგომარეობის გამო ანას მედალის მოჭრა იაფფასიანი მეტალისაგან დაიწყო. 1917 წლიდან კი მედლიდან გაქრა იმპერატორის გვირგვინი და რიგითი ნომერი.

1829 წლიდან უცხოელებსაც უცნობი მედლებით აჯილდოებდნენ. დავუბრუნდეთ წმ. ანას ორდენს. XIX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთში უკვე ათობით მისი კავალერი იყო. ამათგან 1770 წელს მიიღო 40 წლის ა. გ. სუვოროვმა.

ეს იყო მისი პირველი ორდენი. 1797 წლიდან ორდენის ხარისხებად დაყოფის შემდეგ, უმაღლესი I ხარისხის ორდენი მხოლოდ გენერლებს და მათი ტოლი სამოქალაქო პირებისათვის იყო განკუთვნილი.

მაგრამ ერთხელ, პავლე I-ის მეფობის დროს, 1799 წელს, რუსეთის საზღვაო ფლოტის სადესანტო 600 კაციანი რაზმი კაპიტან-ლეიტენანტ გ. გ. ბელის მეთაურობით რუსეთ-საფრანგეთის ომის დროს იტალიაში შევიდა მარშით და აიღო ქ. ნეაპოლი. ამ დამსახურებისათვის ის მეფემ წმ. ანას I-ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

წმ. ანას I-ხარისხის ორდენის კავალერი გახლდათ 1812 წელს ნაპოლეონთან ომის მონაწილე, მომავალი დეკაბრისტი თავადი ს. გ. ვოლკონსკი.

11-ხარისხის ორდენის კავალერი გახლდათ 17 სახედრო პირი მომავალი დეკაბრისტებიდან. მათ შორის სამს - მ. ფ. ორლოვს, მ. ა. ფონვიზინს, მ. ფ. მიტკოვს წილად ხვდა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ორდენი.

111-ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ მომავალი მეამბოხეები: - ა. ზ. მურავიოვი, ნ. მ. მურავიოვი, მ. ი. მურავიოვ-აპოსტოლი, ი. დ. იაკუშინა და სხვა. ადრე ეს ორდენები მზადდებოდა ოქროსაგან.

1812 წლის ომში დაჯილდოებულთა რიცხვი შეადგენდა 664 ხმაღს ორდენით. ეს ნიშნები იმდენი მზადდებოდა, რომ იგი შეცვალეს იაფფასიანი მეტალით, რომლითაც შემდგომ რუსული „სამოვარები“ მზადდებოდა. 1813 წელს მიიღო 1094 კაცმა.

1815 წელს წმ. ანას ორდენი დაიყო ოთხ ხარისხად. ორდენის ნიშანი იარაღისათვის გახდა უმდაბლესი IV ხარისხის, რომლითაც დაჯილდოებული პირად ცივ იარაღზე ამაგრებდა.

111-ხარისხის ნიშანს ატარებდნენ სადილეში (პეტლიტაში). 11-ე ხარისხისა – ყელზე, 1-სას კი როგორც ძველად ლენტზე, ვარსკვალაგვით მკერდის მარჯვენა მხარეზე. ასე, რომ მოცემული სამხედრო ჯილდო უფრო ფასობდა ვიდრე იგივე სამოქალაქო პირობათვის.

1828 წელს წმ. ანას 111-ე ხარისხის ნიშანს მიღებულს საომარი მოქმედების დროს დაემატა ბანტი ორდენის ლენტით. ყველა რუსულ ორდენს სამხედრო დამსახურებისათვის დაემატა ჯვარედინი მახვილები, ბანტი ამ ორდენზე დარჩა ხელუხლებელი.

1828 წელს 1-ლი და 11-ე ხარისხის ნიშნის ორდენების დამზადება ბრილიანტის ქვებით შეწყვიტეს. ამის მაგივრად გამოვიდა განსაკუთრებული ხარისხის ჯილდო იმპერატორის გვირგვინით ორივე ხარისხისათვის. ბრილიანტით გაწყობილ ჯილდოს ანიჭებდნენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და მხოლოდ უცხოელებს.

1874 წლიდან იმპერატორის გვირგვინიანი ნიშნით დაჯილდოება შეწყდა.

1829 წლიდან ანას იარაღს მეტი თვალსაჩინოებისათვის იარაღის ხელსაკიდზე დაასვეს დამლა-„მამაცობისათვის“.

\*\*\*

თუფან ბეგმა იქორწინა ბეგის ასულზე – ფატმა ხანუმ ავალიანზე. შეეძინა ზექერია (1881-1938), რეშიტი (1892-1962), უნქერი (?), ყადირი (1887-1919), ქამილი (1891-1892), ზერა ( 1878-?), ულფეთი, ესმა, სალიე (1882-1958).

ქამილი და უნქარი 14 წლის ასაკში სახადით გარდაიცვალნენ.

მან 1890 წელს ბათუმში პუშკინის ქ.78 ააგო სახლი, რომელიც დღესაც დგას.

აქვეა საუკუნოვანი, უზარმაზარი წაბლის ხე, რომელიც გადაშლილი ტოტებით იქაურობას ფარავს.



წაბლის ხის ფოტო



რევაზ შერვაშიძე და რამაზ სურმანიძე - ბათუმი 2003 წ.



გიორგი, ახმათ, თენგიზ თაყვდგირაძე, ჯემალ, გია და რეზო.

ბათუმი - 10.5.2012 წ.



ბეგს პირველ სართულზე ჰყავდა დურგალი, მინის ჩამდგმელი, მრეცხავი და მსახურები, რომლებიც ამავე სახლში ცხოვრობდნენ. მის ჰუმანურობაზე და ქველმოქმედებაზე მრეცხავების ტაქტიც, რომელიც 1905 წელს პუშკინის ქუჩაზე თავისი სახლის წინ, სადაც იყო ყაზარმები, ხდებოდა მუშათა გამოსვლის შეტაკების დროს ერთ-ერთი დაჭრილი შეუფარებიათ მთელი კვირის განმავლობაში, შემდეგ სხვაგან გადაუყვანიათ. დაჭრილი აღმოჩნდა რევოლუციონერი – იოსებ ჯულაშვილი (ი. სტალინი), რომლისთვისაც შემდგომ თუფან – ბეგს სახლი დაუქირავებია პუშკინის ქუჩაზე, სადაც ესლა სტალინის სახლ – მუზეუმი.

თუფან – ბეგის ბიოგრაფიიდან ჩვენთვის ბევრი რამ ჯერ-ჯერობით უცნობია. ამას ხელი შეუწყო 70 წლის განმავლობაში გამეფებულმა ავტორიტარიზმმა, რომელმაც ყოველივე ძველს, მეფურს, თავადურს და ფეოდალურს შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა.

თუფან ბეგს ჰყავდა ნათლული მეგლეუდ დიასამიძე, რომელსაც ხშირად მფარველობდა, ვიანიდან ის ყაჩაღობით ირჩენდა თავს.

ჩემი ბაბუის ოსმან ბეგის გადმოცემით როცა თუფან ბეგი გაგზავნიდა რაზმს მის დასაჭერად სოფ. ზენდიდში, წინა დღით აგზავნიდა კაცს, რომ სოფელს გასცლოდა. ჩაფრები სოფელს გარს შემოატყამდნენ, მაგრამ ამოდ, იქ არავინ დახვდებოდა. ასე გრძელდებოდა 20 წელი. სწორედ ეს იყო მიზეზი მისი სამსახურიდან წასვლისა. 1898 წელს წერს განცხადებას და სამსახურიდან მიდის.

თუფან – ბეგის შემდგომ ქედის მაზრის პოლიციის უფროსი, მისი ძმა მამუდ – ბეგი უძღვებოდა (1903 – 1912 წწ.).

თუფან ბეგი გარდაიცვალა 1914 წელს.

\*\*\*

## ხუსეინ ბეგ შერვაშიძე

შერვაშიძეთა გვარიდან შედარებით ნაკლებად ცნობილია ხუსეინ – ბეგი. იგი ჰაჯი – ასლან – ბეგის შვილი და თუფან – ბეგის ძმა.


შ. მეგრელიძის ცნობით - ხუსეინ – ბეგი 18 წელი მაზრის უფროსად იყო ბათუმსა და ტრაპიზონში. ჰქონდა პოდპოლკოვნიკის წოდება და რუსული კურსით 100 მანეთი ხელფასი თვეში (იხ.: „აჭარის წარსულიდან“ თბილისი, 1964 წ. გვ. 37).

ისიც ვიცით, რომ 1906 წლის 7 იანვარს ხუსეინ – ბეგის თანხლებით ეტლით მიმავალ ბათუმის ოლქის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ა. ი. ივანოვს ტერორისტებმა სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს.

ხუსეინ – ბეგმა დიდ შეურაცხყოფად მიიღო მის გვერდით მყოფი გენერლის მკვლელობა, იძრო რევოლვერი და მკვლელებს დაედევნა. ტერორისტ გრიგოლ კინწურაშვილს სულაც არ ჰქონდა სურვილი მასთან შეტაკებისა, მაგრამ ხუსეინ – ბეგი მოსაკლავად მისდევდა და იძულებული გახდა, ესროლა.

ისტორიკოს ხარიტონ ახვლედიანის მოკვლევით შერვაშიძემ ძალით შეაკლა თავი, სრულებით არ ფიქრობდნენ მის მოკვლას, ტერორის ობიექტი მხოლოდ ივანოვი იყო.

ხულოდან ხიმშიაშვილებმა კაცი გამოუგზავნეს თუფან – ბეგ შერვაშიძეს, როცა გაიგეს ხუსეინ – ბეგის მკვლელობის ამბავი და აცნობეს: „გამოგიგზავნი ჩვენს ჯარს, ვებრძოლოთ გურულებსა,“-ო (ვინაიდან მკვლელი გურული იყო). მან პასუხად შეუთვალა „მადლობა - გურულებმა მოკლეს მეფის მსახური, მაგრამ შემთხვევით ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა ჩემი ძმა, რის გამოც შურისძიებას არ ვაპირებო“.



(1887-1919)

„დაუნატრი მათ, ვინც თვისისი ცოცხლე  
თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად,  
გრიგოლ ორბელიანი



პირველი აჭარელი ექიმი უმაღლესი განათლებით, საქართველოს ეროვნულ-განათლების უწყვეტი მემკვიდრე ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ყადორ თუფანის ძე შერვაშიძე დაიბადა 1887 წლის 20 ივლისს ქედაში. დაწყებული განათლება სახლში მიიღო. 1899 – 1905 წლებში სწავლობდა ბათუმის გიმნაზიაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მან ფარდა ახადა ძველი რეჟიმის მიერ ბურჟუაზიის მოცულ ბევრ საიდუმლოს და წარსულის მრავალი ფაქტი შეუღამაზებლად წარმოაჩინა, უსამართლოდ მივიწყებული არაერთი მოღვაწეც „ხალხს დაუბრუნა“, და გმირთა პანთეონს დაუგანა. მართლაც, ამ ოციოდე წლის წინათ ვინ წარმოიდგენდა (ან ვინ გაბედავდა) საუბარს, მაგალითად „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის“, საქმიანობაზე, მისი ხელმძღვანელობით თურქეთში ქართული ლეგიონის ფორმირებაზე, თამარ მეფის ორდენის დაწესებაზე, მისით დაჯილდოებულებზე (ყველა ისინი ხომ, საბჭოთა რეჟიმის დროს, მოღალატეებად და ხალხის მტრებად ითვლებოდნენ!). დღეს კი მათზე უკვე ნაშრომები დაიწერა (მომავალშიც კიდევ ბევრი დაიწერება). ყოველ შემთხვევაში, ჩამოთვლილი ფაქტები, ცალ-ცალკე თავისთავად ჭეშმარიტად თავმოსაწონებელი, უკვე ჩვენი წარსულის განუყოფელი ნაწილია – მათ სამუდამოდ დაიმკვიდრეს ერის მატთანეში და ამით გაცილებით სრულად გამოაბრწყინეს საქართველოს უახლოესი ისტორია.

თამარ მეფის ორდენი! ვერაფერს იტყვი, ამაყად ჟღერს. ძველი საქართველოდან ცნობილი იყო თამარის დროშა, სიმღერაცაა: „თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარით,, მაგრამ თუ ქართველთა სათაყვანო მეფის სახელზე ორდენი არსებობდა, უკანასკნელ დრომდე ბევრმა არც იცოდა. ძველი რეჟიმის პირობებში მისი არა თუ ტარება ან გამოჩენა, ხსენებაც აკრძალული იყო. მხოლოდ უცხოეთში იწონებდნენ თავს ამ ჯილდოთი გაბედნიერებული თანამემამულენი. ბათუმელმა მურად ნიჟარაძემ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) მსვლელობაში, 1942 წელს, ტყვედ ჩაუგარდა ფაშისტებს და შემდეგ იყო ორგანიზაცია „თეთრი გიორგის,, წევრი და გერმანიაში ჩამოყალიბებული „ქართული ლეგიონის,, ჯარისკაცი, ცნობილ ლეო კერესელიძესთან შეხვედრის ამბავი მოგვითხრო: „მკერდზე რაღაც ორდენი ეკეთა. მას დავუხანჯე პირველად და შემდეგ მისგანვე გავიგე, თურმე, თამარ მეფის ორდენი ყოფილა... სიამაყით გაიხსენა მისით დაჯილდოების ისტორია. ისიც თქვა, ჩვენი დიდი დედის ეს ორდენი ბევრს მავალებს და სანამ ვსუნთქავ, ვიბრძოლებ საქართველოს თავისუფლებისათვისო,,<sup>1</sup>. დიან, ქართველი ემიგრანტები არამარტო ამაცობდნენ ამ ორდენით, არამედ მასს უკავშირებდნენ ბრძოლას სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

მაინც როგორ შეიქმნა თამარის ორდენი? ვინ არიან მისით დაჯილდოებულნი?

ცნობილია, რომ ევროპაში ემიგრირებულმა ქართველ პატრიოტ-ნაციონალისტთა ჯგუფმა 1910 წელს შვეიცარიაში დააარსა „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი,,<sup>2</sup>, რომელიც ასრულებდა საქართველოს მთავრობის ფუნქციას უცხოეთში. მას ხელმძღვანელობდა პეტრე სურგულაძე, რომელიც თანამედროვეთა დახასიათებით იყო „ენერგიით აღსავსე, გამჭრიახი გონების მქონე და შორსმჭვრეტელი. მას ღრმა ინსტიქტით ჰქონდა განცდილი საქართველოს მთელი წარსული, აწმყო ვითარება და მომავალსაც წინასწარმეტყველურად ავლებდა თვალს. ამიტომ იგი მეგობრებს დისკუსულად ჰყავდათ ამორჩეული მეთაურად და ნდობით მიჰყვებოდნენ ბოლომდე,,<sup>3</sup>.

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) დაწყებისა და კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედების გაჩაღებასთან დაკავშირებით კომიტეტმა, გერმანიის (აგრეთვე თურქეთის) მორალური და მატერიალური მხარდაჭერა-დახმარებით, 1914 წელს, ჩამოაყალიბა თავისი საჯარისო შენაერთიც ქართული ლეგიონი (უფროსი ლეო კერესელიძე),<sup>4</sup> რომელსაც უნდა ეთმა ცარიზმის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის. მართლაც, იმავე წლის დეკემბერში, გერმანელი პოდპოლკოვნიკ შტანკეს ხელმძღვანელობით, თურქთა მე-7 და მე-8 ქვეით პოლკებთან ერთად, ქართულმა ლეგიონმა მიიღო საბრძოლო ნათლობა ერზურუმის ფრონტზე არტაანისათვის ბრძოლაში და საკმაო წარმატებითაც, რასაც შემდეგ ერთსულოვნად აღნიშნავდნენ გერმანელთა სარდლობა და დიპლომატიური სამსახური.



**ლეგიონერთა ჯგუფი, შუაში ღეო კერესელიძე**

სწორედ ლეგიონერთა საბრძოლო სულისკვეთების ამადლების მიზნით კომიტეტმა, 1915 წელს, დააწესა თამარ მეფის ორდენი. ესაა ბაფთით დამშვენებული რვაქიმიანი ვარსკვლავი, რომლის ცენტრში თამარ მეფის სურათია ამოტვიფრული წრეში წარწერით: „ქართული ლეგიონი, 1915 წელი,“. იგი ორი ხარისხისა იყო: ოქროსფერი, ორ წრედ ძვირფასი ქვებით მოოჭვილი – მაღალი ჩინის ოფიცერთათვის და ვერცხლისფერი, ერთ წრედ ძვირფასი ქვებით გაწყობილი ჯარისკაცებისათვის. ჩანს, გამოუშვიათ მესამე ხარისხის ორდენიც. ესაა ვარსკვლავის ქიმებზე გრძივი სხივებით და ვერცხლისფერი ემალით დამშვენებული ორდენი, რომლითაც, ჩვენი აზრით, სამოქალაქო პირებს აჯილდოებდნენ, უფრო ეროვნულ მოძრაობაში აქტიურობით გამორჩეულთ.



**თამარ მეფის ორდენი**



უნდა ითქვას, რომ ბოლო დრომდე ჩვენში უფრო ცნობილი იყო ამ მაღალი ორდენით დაჯილდოებულ უცხოელთა ვინაობა. მაგალითად, გერმანიის უკანასკნელი იმპერატორის ვილჰელმ მეორის ძეს (იოანის მომდევნოს) ვოლდემარ ჰოჰენცოლერს ეს ორდენი გადაეცა იმ დახმარებისათვის, რაც მან გაუწია ქართველ ლეგიონს 1917 წლის მაისში თურქეთიდან რუმინეთში გადაყვანისა და დაბინავების დროს. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში, ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობისა და ლეგიონისათვის გამორჩეული შემწეობისათვის. ამავე ორდენით დააჯილდოვეს, აგრეთვე, გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, შემდეგ ვაიმარის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბაულ ჰინდენბურგი (არსებული ცნობებით, თითქოს იგია სწორედ თამარის ორდენის „პირველი კავალერიი,“)<sup>6</sup>, გენერლები ლიუდენდორფი და ფონ ლოსოვი, კაპიტანი შულენბურგი (შემდეგ ელჩი საქართველოში, მოგვიანებით საბჭოთა კავშირში), I კლასის ლეიტენანტი გალენი, ლეიტენანტი შედე, დოქტორი ფიშკე და „რამდენიმე ავსტრიელი მოქალაქე“. გენ. სიმონ მდიანის 1918 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულებით „ყველა გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი, რომლებიც 1918 წლის 4 ნოემბრიდან იმყოფებოდნენ საქართველოში, ღებულობდნენ წმიდა თამარის ორდენის ტარების უფლებას.“<sup>7</sup>

ამ ფაქტების ფონზე, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, სიტყვიერი (თანაც დაუდასტურებელი) მინიშნებების გარდა, არ გვაქვს ზუსტი ცნობები იმ ბედნიერ თანამემამულეებზე, ვინც ამ მაღალი ეროვნული ორდენით იყვნენ დაჯილდოებულნი. ვიცოდით მხოლოდ, რომ ლეგიონის არსებობის განმავლობაში იგი გადაეცა 6 ქართველ მებრძოლს, რომ ამ ორდენით იყვნენ დაჯილდოებულნი ლეო კერესელიძე, დავით (დათა) ვაჩნაძე და შალვა ქარუმიძე, აგრეთვე, გიორგი მაღალაშვილი და მიხეილ წერეთლის მოგონებით სამეგრელოს მთავრის ყოფილი მოურავი მოხუცი ნიკო ხორავა.<sup>8</sup>

„საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულმა კომიტეტმა,“ 1918 წლის შემოდგომაზე თამარის ორდენით დააჯილდოვა, აჭარის მკვიდრნი, საქართველოს დამოუკიდებლობის და ეროვნული მთლიანობისათვის თავდადებული მებრძოლები მემედ აბაშიძე და ყადირ შერვაშიძე.

მემედ აბაშიძის ღვაწლი და დამსახურება ეროვნულ მოძრაობაში საყოველთაოდ ცნობილია. იგი ჯერ კიდევ 1908 წლიდან, სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად, აქტიურად იბრძოდა საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის, რის გამოც პირადად (აგრეთვე ოჯახი და გვარიც კი) არაერთხელ იყო რეპრესირებულ-დაპატიმრებული თუ გადასახლებული. 1918 წლიდან მემედ აბაშიძე „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის,“ თავმჯდომარეა, რედაქტორობდა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს,“ და დაუღალავად იღვწოდა მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისა და ბრესტის ხელშეკრულების საფუძველზე ოსმალთა მიერ ოკუპირებული აჭარის განთავისუფლებისათვის. ამიტომ უდავოდ სწორი იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი,“ როდესაც ამაგდარი მამულიშვილი თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა.<sup>9</sup>

უნდა ითქვას, ეს ფაქტი დიდხანს მიჩქმალული იყო და საზოგადოებას მასზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. ამის მიზეზი, უდავოდ, იყო ძველი რეჟიმი, რომელიც ეროვნულ მოძრაობასთან კავშირის ნებისმიერ გამოვლინებას დანაშაულად მიიჩნევდა. თამარის ორდენით მემედ აბაშიძის დაჯილდოების ამბავი ცნობილი გახდა უბრატესად გურამ შარაძის ვრცელი პუბლიკაციით „მემედ აბაშიძე – თამარ მეფის ორდენის კავალერი,“<sup>10</sup> მან დიდად დააინტერესა ჩვენი საზოგადოება. ჯერ ერთი, ავტორმა, ინგლისელი ქართველოლოგიის დევიდ ლენგის კვალდაკვალ, ოდონდ ქართულ პუბლიცისტიკაში პირველად, ვრცლად მოგვითხრო ორდენის არსებობის შესახებ (მის ზუსტ აღწერილობასთან ერთად); მეორეც, დოკუმენტურად დაგვიდგინა ვინაობა ერთ-ერთი იმ შესანიშნავი ქართველი ვაჟკაცისა, ვინც თავის დროზე ამ მაღალი ჯილდოს მფლობელი იყო; და მესამეც, გააძლიერა ინტერესი აღნიშნული ორდენით სხვა დაჯილდოებულ პირთა დასადგენად.

რაც შეეხება ყადირ შერვაშიძეს, მისი ვინაობა და, რაც მთავარია, ეროვნულ-პატრიოტული საქმიანობა თითქმის უცნობი იყო. ბატონ რამაზ სურმანიძეს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ამ სასახლო მამულიშვილის ღვაწლი არ შთანთქა დავიწყების ბურუსმა – მან უდროოდ დაღუპული ვაჟკაცის ცხოვრება-მოდგაწეობის შესწავლა-გამომწეურებას სპეციალური ნარკვევები უძღვნა.<sup>11</sup> მოგვიანებით პრესაში დაიბეჭდა კიდევ რამდენიმე სტატია,<sup>12</sup> რომელთა საფუძველზეც მთელი სისრულით წარმოჩნდა ყადირ შერვაშიძის ცხოვრებისა და საქმიანობის ძირითადი მომენტები (თუმცა, ბევრი რამ მისი ბიოგრაფიიდან ბურუსითაა მოცული).





1878 წელს აჭარა მშობლიურ კერას დაუბრუნდა. შერვაშიძეთაგან ზოგი ვერ აცდია შუშაჯირობის მწერ ნეედრს, მაგრამ ძირძველ სამკვიდრებელზე დარჩენილებმა დროულად დაიხურეს „რუსული შაჰკა“, ჩადეს „რუსის სამსახურში“, და ძალე გაიკეთეს კარიერა. ამ მხრივ გამორჩეული დარჩა თუფან ბეგ შერვაშიძე. მისი დაწინაურება მნიშვნელოვნად განაპირობა შექმნილმა სიტუაციამ. საქმე ისაა, რომ აჭარაში შემოსვლისას რუსთა ხელისუფლება ძალზე ფრთხილობდა. მას კარგად ახსოვდა ადრინდელი (XIX საუკუნის დამდეგი) უსიამოვნო მოგონებები (გესე, ოსტენ-საკენი) და ცდილობდა მაშინდელი გაკვეთილების მაქსიმალურად გათვალისწინებას, რისთვისაც ესწრაფვოდა აქაურ გავლენიან გვარებთან და ოჯახებთან დაახლოება-დაკავშირებას. ამ მხრივ დიდად გაუმართლა ქედაში, სადაც მოსახლეობა, მოლოდინის წინააღმდეგ, გამორჩეული პატივით შეხვდა რუსთა ჯარს, დაახვედრა რა სურსათი – მოლაშქრეებისათვის, თივა – ცხენებისათვის. საამისოდ კი თავი გამოიღვეს სწორედ თუფან ბეგ შერვაშიძემ და მისმა სახლიკაცებმა, რომლებიც უყოყმანოდ ამოუდგნენ მხარში ახალ ხელისუფლებას. ახალმა ხელისუფლებამ მაშინვე დააფასა მათი სამსახური. თუფან ბეგს ებოძა ოფიცრის ჩინი და ქედის ახალი ადმინისტრაციის უფროსადაც დაინიშნა (1878-1903).

საერთოდ, თუფან შერვაშიძე ცნობილი პიროვნება იყო აჭარაში. მას ხშირად სტუმრობდნენ ხულოსკენ მიმავალი (ან ახალციხიდან მომავალი) რუსი სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკები. მის სტუმართმოყვარე ოჯახში, სხვადასხვა დროს, შეჩერებულან აჭარის სიძველეთა შესწავლით დაინტერესებული ქართველი და უცხოელი მკვლევარებიც (დიმიტრი ბაქრაძე, პრასკოვია უვაროვა...), გაზეთების კორესპონდენტები და სხვა ოფიციალური თუ არაოფიციალური პირები.

აჭარაში მოგზაურობისას, 1897 წლის აგვისტოში, ქედას ეწვია და თუფან შერვაშიძეს პირადად გაეცნო თედოსახოკია. მასპინძელმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა ცნობილ მოგზაურ-ეთნოგრაფზე, რომელმაც კიდევ ჩაწერა თავის დღიურში: აქაურ ბეგებს შორის „პირველი შეძლებითა და მდგომარეობით არის ხანშიშესული, დარბაისელი თუფან-ბეგ შერვაშიძე, ქედის ნაწილის უფროსი, რომელიც ქედაში სამსახურის ასასრულებლად ჩამოდის, ცხოვრებით კი ქედის გარეთ, თავის სოფელში ცხოვრობს. თუფან-ბეგს ოფიცრის ხარისხი აქვს, სწავლა შინაური აქვს მიღებული. რუსულს, ცოტა არ იყოს, გაჭირვებით ლაპარაკობს (ქართული და თურქული ზედმიწევნით იცის), მაგრამ რუსის ადმინისტრატორობა ჩაუბარებიათ იმ დროს, როცა მთავრობას აქეთკენ გავლენიან პირთა საშუალებით უნდა შემოეღო თავისი წესწესობილება. თუფან-ბეგ შერვაშიძეზე უკეთეს, ბუნებისაგან ჭკუით დაჯილდოებულს და გავლენიანს ამ მხარეში ვერც იპოვნიდნენ. მთავრობასა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის ეს შუა კაცის მისია თვალსაჩინოთაც აასრულა თუფან-ბეგმა...“<sup>14</sup>

აი, სწორედ ამ თუფან ბეგ შერვაშიძის ოჯახში, ქედაში, 1887 წლის 20 ივლისს, დაიბადა ვაჟი ყადირი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება ებრძოლა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მშობლიური წერა-კითხვა ყადირმა ოჯახში ისწავლა. ჩანს, ამ დროს მიიღო სამშობლოს სიყვარულის ის პირველი გაკვეთილები, რაც მისთვის დაუფიქარი დარჩა და რამაც განსაზღვრა შემდგომი ცხოვრების გზა. 10 წლისა მამამ ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში მიაბარა. სხვათა შორის, ის და მისი ძმა (აგრეთვე ორი ნათესავი) თან დამგზავრებიან ბათუმისაკენ მომავალ თედო სახოკიას, რომელიც თავისი მაშინდელი შთაბეჭდილების შესახებ წერდა: „ოთხივე ბათუმში ახლად გახსნილ გიმნაზიაში უნდა მიებარებიათ. ორ მათგანს ბათუმის საქალაქო სასწავლებელში უსწავლიათ და ცდილობდნენ ჩემთან რუსული ენის ცოდნით თავი გამოეჩინათ, თუმცა მეტად უჭირდათ ამ ენაზე ლაპარაკი. სამაგიეროდ მათს ქართული ლაპარაკის სმენას არა სჯობდა-რა. მეტად საამო საყურებელნი იყვნენ. ეს თავისუფალი შვილნი აჭარის მშვენიერი ბუნებისა, აჭარულად კონტად გამოწყობილნი; თავზე სინძიანი ყაბალანი ჰქონდათ შემოსვეული. ოთხსავეს ცხენებზე ისე მაგრად ეჭირათ თავი, თითქო ზედ დაბადებულანო.“

ქედის ბოლოში შემოგვიერთდა ბათუმელი ახალგაზრდა ბეგი აბაშიძე<sup>15</sup> მეტად კონტა, აჭარულადვე სინძიან ტანისამოსით გამოწყობილი. ქართულს წმინდად ლაპარაკობდა, თურქულ სიტყვებს არც კი ურევდა ლაპარაკში. აღმოჩნდა, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, სკოლაში უსწავლია ბათუმში, განსვენებულ მოსე ნათაძის ხელში. სასიამოვნოდ იმსახურებდა თავის დაუფიქარ მასწავლებლის სახელს, მის გულკეთილობას და შეგონების სიყვარულს. რაც ვიცი სულ „ჩვენმა მოსემ“, მასწავლაო, მაჰმადიანი ქართველები განსაკუთრებით გუყვარდითო და მამასავით ზრუნავდა ჩვენთვისო. რომ უფრო ვესიამოვნებიეთ,



მოგვიყვება აკაკის, ქალადიდელის, მ. გურიელის ლექსებს, თანაც იმდენა „სამშობლო სეზურისა,, რომლისაც, როგორც კილო, ისე სიტყვები, მეტად მოსწონდა,,<sup>16</sup>

ორწლიანი მოსამზადებელი განყოფილების დასრულების შემდეგ ყადორ შერვაშიძე უშუალოდ გიმნაზიაში ჩაირიცხა. თუ 1899-1901 წლების დახასიათებებში მასწავლებლები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ეს ყადორზე წერდნენ როგორც „შრომისმოყვარე და ყურადღებიან ყმაწვილზე,, რომელიც ამავე დროს „ფრიადი ყოფაქცევით გამოირჩეოდა,, სამაგიეროდ 1901-1903 წლების მასალებში უკვე სერიოზული საყვედურებია: „სწავლობს დამაკმაყოფილებლად,, „ავლენს თავაშვებულობას,, ნაკლებ მონდომებულია,, და „მიატოვა გერმანულის გაკვეთილი,, ხოლო 1903-1904 წლების დახასიათებაში პირდაპირ ნათქვამია: „აცდენს გაკვეთილებს არასაპატიო მიზეზებითო,,.

სწავლასა და ყოფაქცევაში ასეთი მეტამორფოზის მიზეზად რამაზ სურმანიძე ასახელებს რევოლუციურ მოძრაობაში ყადორის მონაწილეობას. სავსებით სწორადაც, რადგანაც 1902 წლიდან რსდმპ (ბ) ბათუმის კომიტეტის პროპაგანდისტულმა მუშაობამ მოიცვა ქალაქის სასწავლებლები და ზოგადად თვითმპყრობელობის, კერძოდ სკოლებში არსებული ე. წ. „იუზუიტური რეჟიმის,, წინააღმდეგ ბრძოლის მიმზიდველმა იდეებმა გაიტაცა მოსწავლე-ახალგაზრდობა. ჩანს, მათ შორის აქტიურობდა მესუთე კლასელი ყადორ შერვაშიძეც. ამის დადასტურება უნდა იყოს მისი მონაწილეობა მეფე ნიკოლოზ მეორის სურათის „დახვრეტაში,, 1905 წლის 27 იანვარს, რითაც აშკარად გამოავლინა არსებული წყობილებისადმი ურჩობა და შეურიგებლობა. ამისათვის იგი ვარიცხეს სასწავლებლიდან. ე. წ. „მგლის ბილეით,, ვარიცხულისათვის კი, როგორც ცნობილია, დახურული იყო იმპერიის სკოლების კარები, მაგრამ მამის გაგვნიანის ნათესავ-მეგობრებისა და გიმნაზიის ყოფილი მასწავლებლის ნიკ. დერჟავინის (შემდგომში ცნობილი აკადემიკოსი) წყალობით ყადორმა მანაც გააგრძელა სწავლა თბილისის სათავადაზნაურო ვაჟთა გიმნაზიაში.<sup>17</sup>

თბილისში ყადორ შერვაშიძე სულ სხვა გარემოში აღმოჩნდა. მართალია აქაც იგრძნობოდა რეაქციის სუსხი რევოლუციის უკანდახვევისა და შემდეგ დამარცხების გამო, მაგრამ ამის მიუხედავად დედაქალაქი მანც რჩებოდა ეროვნული ცხოვრებისა და ცნობიერების ცენტრად და, ეჭვსგარეშეა, ამ მხრივ მან მნიშვნელოვნად გააფართოვა ყმაწვილის გონება და, რაც მთავრია, ეროვნულ-პოლიტიკური თვალსაწიერი.


თბილისში სწავლისას ყადორს, თურმე, ძალზე გაუჭირდა ეკონომიურად. მამა დიდი ხანია აღარ მსახურობდა. მართალია, იგი მაღალი სოციალური წრიდან (ბეგი) იყო, მაგრამ ოჯახს დიდი შემოსავალი არ ჰქონდა და შვილს საკმარის თანხას ვერ უგზავნიდა. საქველმოქმედო დახმარება კი მცირე იყო და ყველას ვერ წვდებოდა. მხოლოდ 1909 წლის 12 ივნისს მისცეს მას, ოთხ სხვა მოსწავლესთან ერთად, დახმარების სახით 30 მანეთი.<sup>18</sup>

ასეთი პირობების მიუხედავად ყადორ შერვაშიძემ 1909 წელს დაასრულა თბილისის ვაჟთა გიმნაზია და საბუთები გაგზავნა იურიევს (ტარტუ) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩასარიცხად. მალე მოვიდა პასუხიც – იგი სტუდენტად მიიღეს. ამან საბოლოოდ განსაზღვრა მისი ცხოვრების გზა, ოჯახური მდგომარეობაც...

ვარლამ მარკოსის ძე ბახტაძე წარმოშობით ხონიდან იყო, მაგრამ ქუთაისში ცხოვრობდა (ბაღის ქუჩაზე) და მუშაობდა. განათლებით იურისტს ქონდა „ტიტულიარნი სოვეტნიკის,, მაღალი ჩინი და საზოგადოებაშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ქუთაისში სასიძოდ შეღწერული არაერთი ახალგაზრდა ნატრობდა მისი ლამაზი ასულის გულის მონადირებას, მაგრამ ნადეჟდა (შინაურობაში ნადია) არავის იკარებდა – იგი უმაღლეს განათლებაზე ოცნებობდა. მართლაც, სასწავლებლის დამთავრებისთანავე მანაც, სხვათა შორის, იურიევს უნივერსიტეტში გაგზავნა საბუთები, ოღონდ სამედიცინო ფაკულტეტზე შესასვლელად.

და აი, 1909 წლის ზაფხულის მიწურულს, რამდენიმე ქუთაისელ თანატოლთან ერთად, ნადიამ რიონის სადგურიდან აიღო გეზი სანკტ-პეტერბურგისაკენ, იქედან - იურიევში გასამგზავრებლად. ამავე ვაგონში აღმოჩნდა იქეთ მიმავალი ყადორიც. გზაში ახალგაზრდები გაეცნენ და რამდენიმე დღის განმავლობაში კიდევაც დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ხანგრძლივი მგზავრობისას ნადიას, თურმე, ცნობისმოყვარეობა კლავდა – სად ენახა ეს მონდენილი ახალგაზრდა, ან საიდან იცნობდა მას.

ჩანს, ყადორსაც ამ მგზავრობისას შეუტოვდა გული და მომავადოვებელი თანამგზავრი თავისად დაიგულა. აბა, რას უნდა მივაწეროთ ის „შემთხვევითობა,, რომ იურიევში ჩასვლისას, ორივემ მანცდამანც ერთ სახლში დაიქირავა ოთახები (ყადორმა პირველ, ნადიამ - მეორე სართულზე). ალბათ, მაშინ იყო, რომ ყადორს სამედიცინოზე გაუწია გულმა და გადავიდა კიდეც. ამიერიდან ახალგაზრდები უნივერსიტეტშიც ერთად დადიოდნენ, ერთადაც მეცადინეობდნენ.



ოურივეს უნივერსიტეტი მაშინ სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა. იქ მაშინ 40-მდე ქართველი ცხოვრობდა და სწავლობდა. მათ ძლიერი სათვისტომოც ჰქონდათ, რომელიც ხშირად აწყობდა ქართულ საღამოებს. ნადია და ყადირი ამ სათვისტომოს წევრები გახდნენ და ხალხურად აღაშრებდნენ მის დონისძიებებს. მონაწილეთა განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც ნადია იმყოფებდა იმყოფითი გარეგნობით (ქართული საღამოს სილაშხის კონკურსშიც გაიმარჯვა და პრიზად მიიღო იმყოფითი „კამეა“, რომელსაც სიკვდილამდე ატარებდა). ყადირმა მაშინ საბოლოოდ გადაწყვიტა თავისი არჩევანი. ერთ საღამოს ნანდომს გაუმჟღავნა გულის ხვაშიადი. და რადგანაც არც ასული დარჩა გულგრილი, გადაწყვიტეს დაქორწინებულებიყვნენ.

თქვეს და აღასრულეს კიდევ 1914 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე. ჯვარი ქუთაისში დაიწერეს (ნადიას მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ მისი რჩეული საოცრად ჰგავდა ყმაწვილქალობის სიზმარში ნანას თავის მზეჭაბუკს), ქორწილი კი ბათუმში გადაინადეს. ოჯახში მისვლამდე, რძალმა შლაბა მოინადა და ქმრის ნახუქარი შალი შემოისვია თავზე. რაც არ უნდა იყოს, მაშმადიანურ გარემოში შედიოდა და ტრადიციისათვის უნდა გაეწია ანგარიში. დამხვდურებმაც მაშინვე დაუფასეს ტაქტი – დედამთილი თურმე კიბეზე შეეგება თავისი შვილის რჩეულს, იქვე მოხსნა შალი და ისევ შლაბა დაახურა, შენ ამით ხარ გაზრდილიო. დამხვდურებისა და მრავალრიცხოვანი მაყრიონის თანდასწრებით იმ დროისათვის ასეთი იმყოფითი ურთიერთ გულისხმიერება დამოყვრებული გვარების – შერვაშიძეებისა და ბახტაძეების სიყვარულის საფუძველი გახდა.<sup>19</sup>

ბათუმში ყადირმა ქალაქის საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა, მაგრამ მალე ჯარში გაწვევის უწყება მიიღო და მოქმედ არმიასი მოხვდა. მსახურობდა კავკასიის ფრონტზე, ყარსის ოლქის დაბა ყარაქლისის ლაზარეთში (ბ-ნმა რამაზ სურმანიძემ მოგვაწოდა კავიზმანიდან მეუღლისადმი გამოგზავნილი მისი ბარათის ფრაგმენტი (ფოტო-ასლი), რომლითაც ოჯახს აცნობებდა საშობაო დღესასწაულზე ფულის გამოგზავნის ამბავს). დემობილიზაციით დაბრუნდა ორი წლის შემდეგ და 1916-1917 წლებში თითქოს მუშაობდა „ავადმყოფ და დაჭრილ მებრძოლთა დახმარების სრულიად რუსეთის კავშირის“, რწმუნებულად ბათუმის კომიტეტში.

ჩვენ დავინტერესდით ამ კავშირის მოღვაწეობით, კერძოდ, ვცადეთ დადგენა იმ წვლილისა, რაც მის რწმუნებულს უნდა შეეტანა ბათუმის კომიტეტის საქმიანობაში ავადმყოფ და დაჭრილ მებრძოლთა დახმარება-მკურნალობის თვალსაზრისით. ცხადია, ამით ვრცლად წარმოინდებოდა ყადირ შერვაშიძის შრომითი ბიოგრაფია. ამ მიზნით გავეცანით აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ფონდი 8) დაცულ მასალას. მასში წავაწყდით ამ კავშირისა და ბათუმის კომიტეტის ურთიერთობასთან დაკავშირებით ჩვენს ქალაქში მაშინდელ მოღვაწეთა (ბათუმის ქალაქის თავი ე. კრინიციკი, ცნობილი ექიმი ა. შატლოვი და სხვ.) გვარებს, მაგრამ ყადირ შერვაშიძე, სამწუხაროდ, მოხსენიებული არაა. ამან ეჭვიც გავვიძინა: შეიძლება იგი, საერთოდ, არც კი მუშაობდა აღნიშნულ კომიტეტში, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ თავად საარქიფო მასალა ძალზე ნაკლები, სულ რამდენიმე საქმეა შემორჩენილი და ისიც უპირატესად ადრეული წლებისა.

მაშინ, იმედგაცრუებულს, არქივის მეცნიერ-მუშაკმა ნუნუ სკამპონაიშვილმა გვინია გავცნობოდით აქვე (ფონდი ი-66) დაცულ ავადმყოფ და დაჭრილ მებრძოლთა სრულიად რუსეთის ერობის კავშირის ბათუმის ჯგუფის ერთადერთ საქმესაც. მასში წავაწყდით ამ ჯგუფის იმ წევრთა სიას (ფურც. 107), რომლებიც ოსმალთა მიერ ქალაქის ოკუპაციისას დარჩნენ ბათუმში (დასახელებულია 27 თანამშრომელი, მათ შორის ქართველთაგან: სოლომონ ხომერიკი, დავით ნანიტაშვილი, იუსუფ აბულაძე, ალექსი ხანიკიძე, სულეიმან ზოიძე, გიორგი ჭანიშვილი, ლევან კირკიტაძე, დურსუნ ქიქავა, ვლადიმერ ბურბულა, ჯემალ გვარნიშვილი). ცხადია, ჩვენთვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა შემდგენელს ასვე ზუსტად აღერიცხა და დაეტოვებინა ევაკურებული ან ქალაქიდან გასული სამედიცინო პერსონალის სიაც, რაც უეჭველად დაადასტურებდა (ანდა უარყოფდა) ამ კავშირში ყადირ შერვაშიძის მოღვაწეობას.

ბარემ, აქვე ვიტყვი: გულდასაწყვეტია, რომ ბათუმში 1917-1918 წლებში მოღვაწე არც ერთმა ექიმმა, რომელთაგან ზოგმა მოგონებებიც დაწერა,<sup>20</sup> ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია თავისი კოლეგა, სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი აჭარელი ექიმი ყადირ შერვაშიძე.

1917 წლის ოქტომბერში პეტროგრადში ბოლშევიკური გადატრიალების შედეგად დაიწყო რუსეთის იმპერიის რღვევა. მოიშალა კავკასიის ფრონტიც. ამით ისარგებლა ოსმალეთმა, გააქტიურდა და 1918 წლის აპრილში დაიპყრო ბათუმი და აჭარა. აქაურ პატრიოტთა დიდი ჯგუფი იძულებული გახდა თბილისს გადასულიყო. მათ თან გაჰყვა ყადირიც, რადგან მკვეთრად გამოხატული ქართული ორიენტაციის გამო



უქვეყნო დაბატონება ელოდა. დეკრიტიკა თბილისში ჩამოაყალიბეს „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომლის წევრები გახდნენ: ჰაიდარ აბაშიძე, სულეიმან ბეგაშვილი, დიასამიძე, ზია აბაშიძე, ხასან თხილაიშვილი, ყადირ შერვაშიძე, ქეძაღ ნოღაიდელი, სულეიმან ბეგაშვილი, იუსუფ ქათამიძე და იუნუს წულუკიძე. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ზია აბაშიძე, მაგრამ იმ პირობით, რომ თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ ამ პოსტს დაუთმოდა მექედ აბაშიძეს<sup>20</sup>, მისი სახელისა და დიდი გავლენის გამო, რაც უპირველესად, თვით კომიტეტის ავტორიტეტისა და მომავალი საქმიანობის წარმატებისათვის იყო აუცილებელი.

თურქეთის ოფიციალური წრეებისათვის იმთავითვე გახდა ნათელი ახლადშექმნილი ორგანიზაციის მიზანდასახულობა. მე-9 არმიის სარდალი იუსუფ შევქი ფაშა მთავრობას აცნობებდა: „სანჯაყბეგზადე მეჰმედ ბეგის მეთაურობით, თურქი ოფიცრის სულეიმან ბეგის, ზოგიერთი ტრაპიზონელის, აჭარელის და ქობულეთელის მონაწილეობით შეიქმნა პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს ისლამური საქართველოს განთავისუფლების სახელით. საქართველოს მფარველობაში მყოფი ამ პარტიის მიზანია ქართველების მართვა-გამგეობაში გადასცეს ბათუმის სანჯაყი, ერზრუმის ვილაეთის ნაწილი და ტრაპიზონის სანჯაყის ლაზებით დასახლებული რაიონები. ეს პოლიტიკური ორგანიზაცია გამოიშველ საქმიანობას ეწევა მუსლიმანებს შორის პროპაგანდის, პროკლამაცია-მოწოდებების და ბეჭდვა-გავრცელების სახით... ფარულად აიარაღებს მოსახლეობას...“<sup>21</sup>

მართლაც, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ უპირველეს მიზნად დაისახა ბრძოლა ოსმალთა მიერ ოკუპირებული სამხრეთი საქართველოს განთავისუფლებისათვის. ამიტომაც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელიც 1917 წლის ნოემბერში შეიქმნა<sup>22</sup> და ახლა, ოსმალეთთან ამიერკავკასიის სეიმის მარცხიანი ომის პირობებში, ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის ემზადებოდა, მხურვალედ დაუჭირა მხარი „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ფორმირებას და თანამშრომლობის მიზნით მასთან მჭიდრო კონტაქტი დაამყარა. კოორდინატორის ფუნქციას ანსორციელებდა ცნობილი ჰაიდარ აბაშიძე, რომელიც ამავე დროს იყო ეროვნული საბჭოს წევრიც.<sup>23</sup> ამ საქმეში მას ყადირ შერვაშიძეც ეხმარებოდა. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ ჰაიდარ აბაშიძე და ყადირ შერვაშიძე, როგორც უადრესად გავლენიანი ორგანიზაციის წევრები, მონაწილეობდნენ 1918 წლის 26 მაისის ისტორიული სხდომის მუშაობაში. მაშინ ჰაიდარ აბაშიძე „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“, სახელით მოკლე სიტყვითაც გამოვიდა სხდომაზე და მიესალმა ქართული სახელმწიფოს შექმნას. შემდეგ კი მან და ყადირ შერვაშიძემ ხელი მოაწერეს უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს – დამოუკიდებლობის აქტს, რომლითაც, როგორც ცნობილია, გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადება. ეს იყო არა მარტო მათი ეროვნულ-პატრიოტული საქმიანობის აღიარება-დაფასება, არამედ სამუსლიმანო საქართველოს ვრცელი რეგიონის მრავალრიცხოვანი მოსახლეობისადმი ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი ყურადღების გამოსატყულებაც. ამით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ცნობდა, ქრისტიანულ ქართველებთან ერთად, მაჰმადიანი ქართველების თანაბარ უფლებებს ახალი სახელმწიფოს მშენებლობაში.<sup>24</sup>

1918 წლის ზაფხულიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, ყადირ შერვაშიძე დაინიშნა „განსაკუთრებულ რწმუნებულად“ ახალციხეში, ზემო აჭარისა და ფოცხოვის მოსახლეობაში სამუშაოდ.<sup>25</sup> მალე „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ აქ ჩამოაყალიბა თავისი განყოფილება, რომლის ხელმძღვანელობა შეუთავსა „კომიტეტის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ და მამაც წევრს ყადირ შერვაშიძეს... ასეთი ფართო რწმუნებით მისი აღჭურვა იმის შედეგი იყო, რომ ამ რეგიონში „ყველაზე მეტად იგრძნობოდა ოსმალეთილითა გავლენა...“<sup>26</sup> მართლაც, მაშინ მესხეთში ძალზე რთული ვითარება იყო. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალეთმა, მუდროსის ზავის (1918 წლის 30 ოქტომბერი) თანახმად, კი დატოვა ოკუპირებული ქართული ტერიტორიები, მაგრამ მისი ახალგაზრდა „მეკვიდრე“ თურქეთი მაინც არ ცხრებოდა და სამხრეთი საქართველოს დაუფლების მიზნით ახალციხე-ახალქალაქში დიდ ანტიქართულ აქციებს აწყობდა. ამავე დროს, სამცხე-ჯავახეთზე პრეტენზიას აცხადებდა დაშნაკური სომხეთი, რომელიც აქედან გვეგავდა გასვლას შავ ზღვაზე (ამ მიზნით მან, მოგვიანებით, ომიც კი წამოიწყო საქართველოსთან, თუმცა სასტიკად დამარცხდა). ამ რეგიონს ნდომის თვალთ შესცქეროდნენ აგრეთვე რუსეთიც, ინგლისიც.<sup>27</sup>





ანალოგიურია ყადირ შერვაშიძის სახელზე გაცემული ბრძანებულებაც: „მოსაგონებლად იმ ძვირფასი სამსახურისა, რომელიც თქვენ მიგიძღვით ჩვენს საქმეში, გვაქვს პატივი მოგაწოდოთ სამახსოვრო ნიშანი ქართველთა ლეგიონისა. ნიშანი უნდა იტარებოდეს მკერდის მარცხენა მხარეზე ქვეშოდან“.

ორივე დოკუმენტს ხელს აწერენ: გიორგი კერესელიძე, მხიელ წერეთელი, ალექსანდრე გონალიშვილი და აბაშიძე.<sup>29</sup> აქვეა სათანადო ბეჭედი წარწერით: „საქართველოს დამოუკიდებლობის პარტია, უცხოეთში მოქმედი კომიტეტი, თარიღი – 1918 წლის 10 სექტემბერი, მითითებულია დაჯილდოების ადგილიც – ბერლინი.

ჩანს, კომიტეტმა ისარგებლა გერმანიის დედაქალაქში ყადირ შერვაშიძის ყოფნით და საზეიმოდ გადასცა მაღალი ეროვნული ჯილდო (მემედისათვის გადასაცემად ორდენი, ალბათ, ზია აბაშიძეს გამოატანეს). ეს იყო საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში მამულიშვილთა დიდი ღვაწლის აღიარება. ამიტომ სრულიად არ იყო შემთხვევითი (არც გასაკვირი), რომ მოგვიანებით, 1919 წლის დამდეგს, ახალციხის ოკუპირებისას მოღალატე სერვერ-ბეგ ათაბაგის ჯარისკაცები „განსაკუთრებული მონღომებით“ დასაჭერად „უმთავრესად დაეძებდნენ... სამ პირს: ჭაიდარ აბაშიძეს, ლეო რუხაძეს, ყადირ შერვაშიძეს...“<sup>30</sup>

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სერვერ ბეგის ლაშქრის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა ეროვნული არმიის ნაწილები გენერალ გიორგი კვინიტაძის მეთაურობით. მასში ცალკე დანაყოფის სახით ერთიანდებოდა თურქეთიდან რუმინეთზე გავლით საქართველოში გადმოყვანილი ლეგიონის მებრძოლთა ჯგუფი გენერალ<sup>31</sup> ლეო კერესელიძის ხელმძღვანელობით. ახალციხეში ყადირ შერვაშიძე დაუახლოვდა ლეო კერესელიძეს, შევიდა ლეგიონში და თავის რაზმთან ერთად მონაწილეობდა ოკუპანტთა განდევნაში.<sup>32</sup> აქვე მან მოსალოდნელი დაღუპვისაგან იხსნა ასობით უმწეო მშვიდობიანი მოქალაქე (მონუცი, ქალი და ბავშვი), რომლებიც ბრძოლის ველს გაარიდა და უშიშარ ადგილას ბორჯომს გაიხსნა.<sup>33</sup>

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის,“ სახელით ყადირ შერვაშიძემ განთავისუფლებული მესხეთის მოსახლეობას მიმართა სპეციალური მოწოდებით. აი ისიც:

„ძმებო მუსლიმანო ქართველებო! ოსმალთა უღელი ექვსი თვის მონობაში ყოფნის შემდეგ მოგხსნათ კისრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებმა. ოსმალთაგან დატანჯულმა ხალხმა ძლივს ამოისუნთქა თავისუფლად. ხალხის მტრები, ოსმალეთის მოსყიდული აგენტები თქვენ გაქეზებდნენ ქართველების წინააღმდეგ, გაგონებდნენ, თითქოს საქართველოს ჯარები მოდიოდნენ თქვენს გასანადგურებლად და ასაონრებლად. მაგრამ დღეს თქვენ თვითონ დაინახეთ, რომ მთელი საქრისტიანო საქართველო ჩვენ გვეპყრობა როგორც თანასწორუფლებიან ძმებს. ამყარებს წესრიგს და მომაგალში ჩვენსა და მოკიდებული, თუ როგორ მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას...“

დღეს ახალციხის მუსლიმან ქართველების სიხარული და ზეიმი, მაგრამ, ძმებო ახალციხელებო, თქვენი ძმები აჭარლები ისევ მონობაში არიან, ოსმალთა აფიცრები და ასკერები დევნიან ჩვენს მეზობლებს... გზააბნეული ოსმალეთი, რომელიც დამარცხდა ბრძოლაში, ჩვენში ცდილობს ეხლა მომხრეების შოვნას და აბრიყვებს ხალხს, მარა განა თქვენ არ დაგებოცეს როზგებით ძმები? განა თქვენ არ გართმევდნენ პურს, კარტოფილს და უფასოდ არ მიყავდით ბეგარაზე? დღეს თქვენ, ახალციხის მუსლიმანები, თავისუფალი ხართ, მარა თქვენი ვალია დაეხმარათ უბედურ აჭარა-ქობულეთის მონობის უღელის მოხსნის საქმეში. მთელი სამუსლიმანო საქართველო თავის ძმა ქართველ ქრისტიანებთან ერთად უნდა იყრიდნენ ერთ ოჯახში თავს.

გაუმარჯოს თავისუფალ სამუსლიმანო საქართველოს დამოუკიდებელ საქართველოში!

გაუმარჯოს ახალციხის მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა ძმობას!

გაუმარჯოს „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს!“<sup>34</sup>

ყადირ შერვაშიძემ ჭაიდარ აბაშიძესთან ერთად დიდი როლი შეასრულა ახალციხის მაზრის გლეხთა ყრილობის მოწვევასა და მუშაობაში. ყრილობა გაიხსნა 1919 წლის 1 იანვარს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რწმუნებულის ჰ. აბაშიძის პატრიოტული გამოსვლის პასუხად მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება – საქართველოს შემადგენლობაში „სამუსლიმანო საქართველოს,“ დარჩენის აუცილებლობის შესახებ. ყრილობის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი გაგზავნილ მისაღებაში ნათქვამი იყო: „ახლა, როდესაც საქართველოს გაუერთიანდა მუსლიმანური საქართველოს ერთი ნაწილი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სახით, დგება საკითხი დანარჩენი მუსლიმანური საქართველოს: აჭარის, ქობულეთის, არდაგანის და შავშეთის განთავისუფლების შესახებ... მხოლოდ ერთი მუშაობით, მუსლიმანური და ქრისტიანული საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ ერთ ოჯახში გაერთიანებული ძალებით, მთელი საქართველოს მცხოვრებნი მოიბოვებენ ბედნიერებას“<sup>35</sup>.

ერთგულ საქმიანობასთან ერთად ყადირ შერვაშიძე მესხეთში არც თავის პროფესიას იგნორებდა. საქმე ისაა, რომ ამ დროს ახალციხის მაზრაში პარტახტიანი ტიფის ეპიდემიამ იფეთქა. აღნიშნული სენის წინააღმდეგ საბრძოლველად მთავრობამ შესაბამისი სამსახურის მობილიზაცია გამოაცხადა. ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული ყადირ შერვაშიძე უყოყმანოდ დადგა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე. სამწუხაროდ, პარტახტიანი ტიფით თავად დაავადდა და 32 წლის ასაკში, 1919 წლის 8 მაისს (ძვ. სტ.), დაიღუპა კიდევ<sup>36</sup>.



ყადორ შერგაშიძე ქართულ ჯარში



ქლანდელი მემედ აბაშიძის გამზირი - ბათუმი - მარიისკის პრ. 1914 წ.

ყადირ შერვაშიძის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო, რაც მაშინვე დაეტყო ახალციხის განყოფილების მუშაობას. ეს მით უფრო საგრძნობი გახდა რომ ბათუმში 1919 წლის აგვისტოსათვის ნაგარაუდევი მუსლიმან ქართველთა ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით დასაქმებულ ჰაიდარ აბაშიძეს სულ უფრო და უფრო უჭირდა ახალციხესთან აღრინდელი კავშირის შენარჩუნება. ასეთ ვითარებაში „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ შეაჩერა თავისი განყოფილების საქმიანობა ახალციხეში. და მაინც, ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, ამ განყოფილებამ „დიდი როლი შესრულა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის პოლიტიკური გათვითცნობიერებისათვის. ანტიქართული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში მტკიცედ და შეურყეველად დაიცვა საშრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან ერთიანობის იდეა“.<sup>37</sup>

საქართველომ დიდი ტკივილით დაიტირა სასიქადულო შვილი. დამფუძნებელი კრების 9 მაისის სხდომაზე თავმჯდომარემ სიმონ მდივანმა თავის სიტყვაში შეკრებილთ აუწყა მომხდარი ტრაგიკული ფაქტი და „დაახასიათა დამფუძნებელი კრების წევრი ყადირ შერვაშიძე“. დებუტატებმა „ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას“.<sup>38</sup> უკვე მეორე დღესვე ცენტრალურმა გაზეთმა „ერთობამ“, თავის ფურცლებზე ვრცელი ადგილი დაუთმო ყადირ შერვაშიძისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მასალებს (იხ. №№ 101, 102, 1919).

მთავრობის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამი იყო: „საქართველოს დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ფრაქციის წევრის ყადირ თუფანისძე შერვაშიძის გარდაცვალებას“.

აქვე გამოქვეყნებულია ოჯახის სამგლოვიარო განცხადებაც: „ფატმა-ხანუმ, ნადეჟდა, გულიკო და ნელი, ესმე-ხანუმ, ბექირი და რეშიტ, მაშიკო, ვარლამი და გრიგოლი, მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ: პირველის შვილის, მეორის მეუღლის, მესამეთა მამის, მეოთხე, მეხუთე და მეექვსეთა ძმის და უკანასკნელთა სიძის, დამფუძნებელი კრების წევრის ქართველ მუსლიმანთა დივიზიის უფროსის პოლკოვნიკ ყადირ თუფანის-ძე შერვაშიძის უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს 10 მაისს, საღამოს 5 საათზე სუდებნის ქუჩიდან № 16 (დღეს ზუბალაშვილის ქ. – რ.შ.). აქედან ცხედარს წაასვენებენ სადგურზე სამშობლო აჭარაში დასაკრძალავათ...“





1918 წლის სექტემბერში საქართველოს სამთავრობო დელეგაცია აკაკი ჩხენკელის მეთაურობით გერმანიაში წავიდა. დელეგაციაში შედიოდა ყადირ შერვაშიძეც.

ყადირ შერვაშიძის გარდაცვალების გამო დიდი მწუხარება გამოთქვეს თანამებრძოლებმა. „ერთობაში“ გამოქვეყნებულია მათი ოფიციალური განცხადებებიც: აი ისინიც: „ქართველ მუსლიმანთა ცხენოსანი დივიზიის მხედრობა აუწყებენ ნაცნობთ მათი უფროსის პოლკოვნიკ ყადირ თუფანისძე შერვაშიძის გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს 10 მაისს, საღამოს 5 საათზე სუდების ქუჩიდან № 16. აქედან სადგურზე. სამშობლო აჭარაში დასაკრძალავად...“

ან: „ქართველ მუსულმანთა ცხენოსანი დივიზიის ოფიცრობა აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ მათი უფროსის პოლკოვნიკ ყადირ თუფანისძე შერვაშიძის გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს 10 მაისს, საღამოს 5 სთ. სუდების ქუჩიდან № 16. აქედან ცხედარს წაასვენებენ სადგურზე აჭარაში დასაკრძალავად...“

ან კიდევ: „ქართველ მუსულმანთა ცხენოსანი დივიზიის შტაბი აუწყებს ნაცნობთ და ნათესავთ მათი უფროსის და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის პოლკოვნიკ ყადირ თუფანისძე შერვაშიძის უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს 10 მაისს საღამოს 5 სთ სუდების ქუჩა № 16. აქედან სადგურზე სამშობლო აჭარაში დასაკრძალავათ... და ბოლოს, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს კომიტეტის და დამფუძნებელი კრების წევრის და ქართველ მუსულმანთა ცხენოსანი დივიზიონის წინამძღოლის პოლკოვნიკ ყადირ თუფანისძე შერვაშიძის უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 10 მაისს, საღამოს 5 საათზე, საიდანაც წაასვენებენ აჭარაში...“



საქართველოს  
ზიგლოტიკა

ადსანიშნავია, რომ ყველა ეს მასალა დაბეჭდილია მთავრობის ოფიციალური პირველ გვერდზე ანალოგიური განცხადებები დაიბეჭდა, აგრეთვე, „სახალხო გაზეთში“ (№ № 522-523, 1919) და სხვა გაზეთებში.


თბილისის სადგურზე ყადირის ცხედარი ზღვა ხალხმა გამოაცხილა. ოჯახის წევრთა გადმოცემით, ეს გამოსამშვიდობებელი მიტინგიც გაიმართა. ცხედარს მოჰყვებოდნენ ოჯახის წევრები – გაუბედურებული დედა, უდროოდ დაქვრივებული მეუღლე, დამწუხრებული და-ძმები და სხვა ახლობლები. პროცესიას რიონის სადგურზე ქუთათურთა საკმაოდ დიდი წრე დახვდა. ბანტაძეებმა ძვირფასი სიძის ნეშტი თავისთან წაასვენეს და რამდენიმე დღის განმავლობაში მათი სახლიდან სამგლოვიარო საგალობლების ხმა მოისმოდა... შემდეგ იყო ბათუმი. ქუთაისიდან მოყვრების მრავალრიცხოვან მოტირალთა გუნდი ჩამოვიდა. ოჯახს ყადირის ნეშტის დაკრძალვა აქვე აზიზიეს სასაფლაოზე (დღეს თავისუფლების მოედანი) სურდა, მაგრამ ამას წინ აღუდგნენ ინგლისელები და აზიზიეს ჯამეს მესვეურები. ამ უკანასკნელებმა, „ზემდგომი ორგანოების“ მითითების შესაბამისად, მოიმიზეხეს: გარდაცვლილი „გიაური“, იყო და მართლმორწმუნეთა „წმიდა მიწა“ მას არ მიიღებსო. სინამდვილეში კი ამ ძალებს აშინებდათ პატრიოტი მოღვაწის დაკრძალვა არ გამოეყენებინათ ნაციონალისტ ქართველებს. ასეთი შიშისათვის კი მათ ჰქონდათ საფუძველი. მექედ აბაშიძისა და სხვა პროგრესისტების ხელმძღვანელობით მზადდებოდა მაშპადიან ქართველთა ყრილობა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა დედასამშობლოსთან აჭარის დამოკიდებულების საკითხი, ამიტომ მტრები და მოსყიდული აგენტურა ყველა ღონისძიებით ცდილობდნენ მის ჩაშლას. ასეთ ვითარებაში ახლობლებმა ძვირფასი ადამიანის ნეშტი ქედაში წაასვენეს და საგვარეულო საფანეს მიაბარეს.

\* \* \*

არსებული მწირი დოკუმენტური მასალით ასეთია თამარ მეფის საპატრიო ორდენით დაჯილდოებული კიდევ ერთი ქართველი ვაჟკაცის ყადირ შერვაშიძის ვინაობა და განვლილი ცხოვრების გზა. ეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში აჭარის შვილთა დიდი წვლილის ამჟამად მანვე ნახავს.

\* ზოგიერთი მასალის მოძიებისათვის მადლობას მოვასხენებთ ნრამაზ სურმანიძეს.

- 1 აბ. სურგულაძე, სად წაიყვან სადაურსა, ბათ., 1996, გვ. 18-19
- 2 რ. გრძელიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი, თბ., 1995.
- 3 გ. შარაძე, მექედ აბაშიძე, ბათ., 1995, გვ. 91
- 4 აბ. სურგულაძე, კ. სურგულაძე, ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათ., 1994.
- 5 ნ. ჯავახიშვილი, ქართული ფალერისტიკა, თბ., 1995.
- 6 იქვე, გვ. 32
- 7 ჟურნალისტი ივ. ჯავახიშვილი იგონებდა: „რას ვიფიქრებდი, თუ შიტლერელებთან გამძვინვარებული ბრძოლის ჟამს მოულოდნელად ვნახავდი გერმანულ უნიფორმაში ჩაცმულ ჯარისკაცს, რომლის მკერდს 1915 წელს... დამზადებული თამარ მეფის ორდენი ეკეთა. ფრთხილ განვცვიფრდით, როცა ოკუპანტებს ერთი ხნიერი მებადრავე გამოეყო, ქართველ ტყვეთა მცირე ჯგუფთან მოვიდა და საქართველოს ქება-დიდება დაიწყო მონდომებით და ალაღად გვაგრძობინა: ქართველებს სიმპატიითა და პატივისცემით ვგებყრობიო. ალბათ ამიტომაც მონდომა ამ ჯილდოს ჩვენება,, (მისი, გერმანელები თამარის ორდენს ატარებდნენ. გაზ. „ქართველი ერი“ №15, 1993).
- 8 ნ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32
- 9 გ. შარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85-108
- 10 იბ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ №2, 1994.
- 11 რ. სურმანიძე, დაუფიქრარი სახეები, ბათ., 1969, გვ. 96-105; აგრეთვე, მისივე წერილები: გაზ. „ლიტერატურული საქართველო,, №27, 1989; გაზ. „საბჭოთა აჭარა,, №100, 1990.
- 12 აბ. სურგულაძე, თამარ მეფის ორდენის კიდევ ერთი კავალერი. გაზ. „აჭარა,, №85, 1994; მისივე, სად წაიყვან სადაურსა, ბათ., 1995; თ. კომახიძე, ყადირ შერვაშიძე, გაზ. „აჭარა,, №234-235, 1996.
- 13 АКТЫ, т. 2, с. 344
- 14 თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათ., 1985, გვ. 308-310.



თედო სახოკიას სიტყვით, თუფან ბეგ შერვაშიძის ქვითკირის ორსართულიანი სახლი იდგა აჭარის წყლის მარცხენა მხარეს გორაკზე და „მოელ ქედას ზედ გადასცქერის (იქვე, გვ. 308). 1916 წელს ეს შენობა ყადირ შერვაშიძემ „უსასყიდლოდ დაუთმო საავადმყოფოს, (რ. სურმახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 104).

15 იგი მემედ აბაშიძეა (თ. კომახიძე, ყადირ შერვაშიძე, გაზ. „აჭარა,, №234-235, 1996). სხვათა შორის, ამავავე წერილში ავტორი ვრცლად საუბრობს აბაშიძეებისა და შერვაშიძეების ოჯახების ურთიერთობა-მეგობრობაზეც. ამიტომ ამ საკითხზე ყურადღებას არ ვამახვილებთ.

16 თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 310-314.

17 რ. სურმახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97-98.

18 იქვე, გვ. 98.

19 ახალდაქორწინებულთ ორი შვილი შეეძინათ, გულნარა და ნელი. ქ-ნი გულნარა შემდეგში იყო ცნობილი მკვლევარისა და შესანიშნავი ორატორის ნიკოლოზ კანდელაკის (1907-1965) მეუღლე. ამჟამად ცხოვრობს თბილისში. მათი შვილია რამაზ კანდელაკი, –რომელიც დიდხანს მუშაობდა პოლიგრაფიისა და ბეჭდვითი სიტყვის დებარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. რაც შეეხება ქ-ნ ნელის, მან გარდაცვალებამდე (1997 წლის ზაფხული) არ უღალატა მამისეულ კერას (ბათუმი, ზუშკინის ქ. №78). სწორედ მისი შვილია თამაზ ძიძიშვილი, რომელიც მოსკოვში ფირმა „ძველი არბატის ზღაპრების“ გენერალური დირექტორია და დიდი საქველმოქმედო საქმიანობითაა ცნობილი (იხ. გ. სახვაძე, მოსკოველი ქართველი ქველმოქმედი... გაზ. „ქველმოქმედი“ ქუთაისი, №6-7, 1995). გარდაიცვალა 2009 წელს მოსკოვში.

სახელოვანი მამის დაღუპვისას, შვილები მცირეწლოვანნი იყვნენ: გულნარა – 2 წლის, ნელი – 2 თვისა, მაგრამ ობლობა არ უგრძობნათ. ქ-ნი ნელი უკანასკნელ დრომდე დრმა მადლიერებით იხსენებდა ბიძის, ყადირის ძმის, ზეჟერიას დიდ მშობლიურ ამავს.

სხვათა შორის, ზაქარია შერვაშიძე საინტერესო პიროვნებაა. საკმარისია ითქვას, რომ იგი იყო „სამაჰმადიანო საქართველოს“ იმ 20 კაციან დელეგაციაში, რომელიც 1916 წლის 3 მარტს თბილისში წარუდგა მეფისნაცვალ რომანოვს და მოთხოვა „სახელმწიფო დაღატის,, ბრალდებით უსამართლოდ დასჯილ მაჰმადიან ქართველთა შეწყალება. 4 მარტს დელეგაცია, როგორც ცნობილია, შეხვდა ქართველთა საზოგადოებას და 200 კაციან ბანკეტზე (თამადაობდა გიორგი ყაზბეგი) მხურვალე მადლობა მოახსენა განსაცდელის ჟამს გაწეული დიდი მატერიალური დახმარებისა და მორალური მხარდაჭერისათვის (დაწვრილებით იხ. ი. არიმათიელი, ჩატენილ ხიდზე. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება,, №11, 1916).

20 დაწვრილებით იხ. რ. სურმახიძე, ჯანმრთელობის დაცვის სათავეებთან, ბათუმი, 1972.

21 ა. სილაგაძე, ვ. გურული. საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვეთი 1 (მამედ-ბეგ აბაშიძე), თბ., 1996, გვ. 54.

21 ს. ესინ დაი, ნაციონალური ორგანიზაციები ელვიე სელასეში (თურქულ ენაზე), ერზრუმი, 1991, გვ. 172.

სხვათა შორის, თავად თურქი ავტორიც აღნიშნავს, ახლადშექმნილ ორგანიზაციას „სურდა ბათუმის შეერთება საქართველოსთან“.

22 მასში სამაჰმადიანო საქართველოდან შევიდნენ წევრებად: მემედ აბაშიძე, ჯემალ ხიმშიაშვილი და რეჯებ ნიჟარაძე; კანდიდატებად: ჰასან ლორთქიფანიძე, ისაკ ხალვაში, სულეიმან ტაბახიძე. 26 ნოემბერს ეროვნული საბჭოს სხდომაზე აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით. მის 15 წევრს შორის იყო მემედ აბაშიძე. მოგვიანებით ეროვნულ საბჭოში შეიყვანეს ჰაიდარ აბაშიძეც (სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია). რამდენადაც ეროვნული საბჭო საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადებამდე, 1918 წლის 26 მაისამდე, ასრულებდა პარლამენტის, ხოლო აღმასრულებელი კომიტეტი – მთავრობის ფუნქციას, ამდენად მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები ერთდროულად იყვნენ მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს უმადლეხი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოს წევრები.

საინტერესოა, რომ 1917 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნა „სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა სექციაც,, რომლის წევრებად (სხვებთან ერთად) დაამტკიცეს: მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, ჯემალ ხიმშიაშვილი და რეჯებ ნიჟარაძე, კანდიდატად იუნუს წულუკიძე.

23 აბ. სურგულაძე, ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა. ბათ., 1994.

24 იქვე, გვ. 54.

25 ა. სილაგაძე, ვ. გურული, დასახ. ნაშრომი, გვ. 55



- 26 ე. მესხია, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ისტორიიდან, ბათ., 1995, გვ. 10.
- 27 დაწვრილებით იხ. ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.
- 28 თავის საინტერესო წიგნში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან“ ე. მესხია შეეხო ქართველ მუსლიმანთა ცნენოსანი ესკადრონის (მოგვიანებით დივიზიის) შექმნის საკითხსაც. სამწუხაროდ, მისი მსჯელობა აქ რამდენადმე ბუნდოვანია, რაც გარკვეულად მასალების სიმწიფრითაც აიხსნება. მაინც, ვერ დავეთანხმებით ავტორის ესკადრონის მეთაურის ვინაობის საკითხში. ე. მესხიას სიტყვით მის პირველ ხელმძღვანელად მიწვეული ყოფილა მაიორი ბახჩი ბეგ მანაბელი,, (გვ. 37). საქმე ისაა, რომ ბახჩი მანაბელი, როგორც ვერმანტის ყოფილი გენერლის შალვა მაღლაკელიძის მოგონებებიდან და სხვა მასალებიდან ირკვევა, ძალზე ორჭოფივლად მოქმედებდა და მესხეთ-ჯაგაფეთის სომხებისადმი მტრული დამოკიდებულებით რეგიონში კიდევ უფრო ძაბავდა პოლიტიკურ სიტუაციას, რითაც არსებითად თურქთა წისქვილზე ასხამდა წყალს. საეჭვოა, საქართველოს მთავრობას ის შეერჩია ესკადრონის (დივიზიის) უფროსად. ჩვენი აზრით, მისი დამფუძნებელი და ღირსეული წინამძღოლი გარდაცვალებამდე იყო სწორედ ყადირ შერვაშიძე. ქვემოთ გამოქვეყნებული სამგლოვიარო განცხადებებიც ამის მჭევრმეტყველი დადასტურებაა.
- 29 საფიქრებელია, მაშინ ამ ორდენით დააჯილდოვეს, აგრეთვე, ზია აბაშიძეც, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა თურქეთში ქართული ლეგიონის ფორმირებაში, აგრეთვე, მშობლიურ კერაზე აჭარის დაბრუნებისათვის ბრძოლაში.
- 30 გაზ. „ერთობა“, №63, 1919.
- ოსმალებით სწორედ სერვერ ბეგის ხელმძღვანელობით შექმნილი ე. წ. ყარსის რესპუბლიკის მეშვეობით ცდილობდა ახალციხის შენარჩუნებას და აქ პროოსმაღური რეჟიმის დამყარებას რენეგატ ბახჩი ბეგ მანაბლის გენერალ-გუბერნატორობით (იხ. მ. სიორიძე, ყარსის რესპუბლიკა. „საისტორიო მაცნე“ № 1, 1995, გვ. 26).
- 31 ეს მაღალი ჩინი ლეო კერესელიძეს უბოძა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ქართული ლეგიონის ფორმირებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში უდიდესი დამსახურების გამო, თუმცა შალვა მაღლაკელიძის სიტყვით, გენერლობა მან მისიაკუთრა (იხ. მისი, ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეთრე მსოფლიო ომში, გამოსცა ვიქ. რცხილაძემ, თბ., 1994, გვ.).
- 32 გ. სახგაძის ცნობით ყადირს ამ დროს თითქოს პოლკოვნიკის წოდება,, ჰქონდა (მისი, მოსკოველი ქართველი ქველმოქმედი... გაზ. „ქველმოქმედი,, № 6-7, 1995). ჩანს ამ ჩინში (თუ წოდებაში) იგი აამაღლა საქართველოს მთავრობამ მესხეთში ქართული სახელმწიფოს ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო ღვაწლის გამოც. მან ჩამოაყალიბა ქართული ცნენოსანი დივიზია და იყო მისი მეთაური მან მიიღო პოლკოვნიკის წოდება და რომ დასცალოდა, რამდენიმე თვეში, გენერალიც გახდებოდა.
- 33 ე. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.
- 34 აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე 462, ფურც. 3.
- 35 ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გარშემო, თბ., 1989, გვ. 51; აბ. სურგულაძე, ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა, გვ. 57-58.
- 36 რამაზ სურმანიძემ ეჭვი გამოთქვა ყადირის შესაძლო მოწამვლის თაობაზე. ვარაუდად დაასახელა კიდევ შემსრულებელი ე. წ. ქვაბლიანის მაჰმადიანთა რაზმის მეთაური, პროოსმაღური ორიენტაციის რენეგატი მაჰმადიანი ქართველი ბახჩი ბეგ მანაბელი. ამის სასარგებლოდ უნდა მიგვითითებდეს 1918-1919 წლებში მესხეთის პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ყადირ შერვაშიძის აქტიურობა, რაც ოსმალოფილთა გააფთრებას იწვევდა. ოჯახის წევრთა მოგონებით (აგრეთვე სხვა არაპირდაპირი მონაცემებით) ეს არ დასტურდება.
- 37 ე. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.
- 38 მისივე განცხადებით ყადირ შერვაშიძის და კიდევ გარდაცვლილი ორი სხვა სოციალ-დემოკრატი დეპუტატის ადგილს დამფუძნებელ კრებაში ამიერიდან დაიკავებდნენ: იოსებ ირემაშვილი, ს. ვადაჭკორია და გრ. სირბილაძე (იხ. გაზ. „ერთობა“ № 102, 1919).



ქედის ხიდის მშენებლობა 1921 წ.

მამის ნაცნობობითა და გიმნაზიის მასწავლებლის ნიკოლოზ დერუაზის (შემდგომ აკადემიკოსი) მეშვეობით სწავლა განაგრძო თბილისის გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1909 წელს და საბუთები გააგზავნა ქ. იურევის (ტარტუ) უნივერსიტეტში (ესტონეთი).

1914 წელს დაამთავრა სამედიცინო ფაკულტეტი და დაქორწინდა თანაკურსულ ნადეჟდა ბახტაძეზე, რომელმაც იქვე კბილის ექიმის სპეციალობა მიიღო. პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ყადირ შერვაშიძე გაიწვიეს სამხედრო ექიმად მოქმედ არმიაში, რომელიც განლაგებული იყო ყარსის ოლქში. სამხედრო სამსახურში ყადირმა მიიღო არმიული წვრთნა, რაც მოგვიანებით გამოადგა მას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

1916 წელს ყადირ – ბეგი ბრუნდება ქ. ბათუმში და მუშაობა დაიწყო „აგადმეოფ და დაჭრილ მებრძოლების სრულიად რუსეთის ერთობის კავშირის“ რწმუნებულად, სადაც იმუშავა 1917 წლის აპრილამდე.

აღნიშნულ პერიოდში ყ. შერვაშიძე კიდევ უფრო უახლოვდებოდა მემედ – ბეგ აბაშიძეს და ხდება მისი ერთგული მეგობარი, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ასაკობრივი სხვაობა 14 წელი იყო.

1918 წლის 1 აპრილს ოსმალეთის ჯარები ბათუმისა და ართვინის ოლქებს იკავებენ.

ქართველი მუსლიმანების მცირერიცხოვანი ჯგუფი ჭაიდარ აბაშიძის, სულეიმან დიასამიძის, ახმედ ბეჟანიძის, ქემალ ნოღაიდელის, ხასან თხილაიშვილის, ყადირ შერვაშიძისა და ოუნუს წულუკიძის შემადგენლობით იძულებული შეიქმნა სამოღვაწეოდ წასულიყო თბილისში, სადაც დააარსეს „სამუსლიმანო საქართველოს გამანთავისუფლებელი კომიტეტი“. კომიტეტის თავმჯდომარედ დაუსწრებლად აირჩიეს მემედ აბაშიძე, რომელიც მაშინ ტრაპიზონის ციხეში იჯდა.

კომიტეტის მიზანს შეადგენდა ბათუმისა და ართვინის ოლქების და ახალციხის მაზრის განთავისუფლება დამპყრობლებისაგან და მისი შემოერთება საქართველოსთან.

ახალციხეში სამხედრო სამსახურში მყოფი ყადირ შერვაშიძე განმანთავისუფლებელი კომიტეტის დაგალებით ასრულებდა ამ კომიტეტის რწმუნებულის მოვალეობას. ის იყო მის მიერვე შექმნილი ქართველ მუსლიმანთა ცხენოსანთა დივიზიის მეთაური, პოლკოვნიკი. წარადგინეს გენერლის წოდებაზე, მაგრამ აღარ დასცაღდა.



(მარცხნიდან: მე-4 - ნიკო ნიკოლაძე, მე-5 - ყადირ შერვაშიძე, მე-6 - მიხაკო წერეთელი მეუღლით, მარჯნიდან 1-ი - დაცვის უფროსი ხასან ბეჟანიძე)

*ქ.ბერლინი, 1918 წ. ქართველ დიპლომატთა დელეგაცია*

გერმანიის დედაქალაქში ქართველი პატრიოტები ამადელვებელი ფაქტის მომსწრენი გახდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულმა კომიტეტმა,, ქვეყნის თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის და დიდი დამსახურებისათვის, 1918 წლის 10 სექტემბერს „წმინდა თამარ მეფის ორდენით,, დაჯილდოვდნენ მემედ აბაშიძე და ყადირ შერვაშიძე.

1918 წლის 26 მაისს ჰაიდარ აბაშიძესთან ერთად ყადირ შერვაშიძეს პატივი ერგოთ ხელი მოეწერათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების აქტზე, რაც გარანტი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა.

ყადირ შერვაშიძეს მიუხედავად იმისა, რომ სისხლნორციელად ემსახურებოდა სამუსლიმანო საქართველოს დამპყრობლებისაგან განთავისუფლების საქმეს, თავისი პროფესიის – ექიმობისათვის არასოდეს უღალატნია.

1916 წელს ყადირ შერვაშიძემ თავისი კუთვნილი ორსართულიანი სახლი უსასყიდლოდ გადასცა საავადმყოფოს, სადაც 1918 წელს განლაგდა ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილის სამხედრო შტაბი, მაგრამ სულ მალე აღნიშნულ შენობაში ისევ გაიხსნა საავადმყოფო. ამ სახლში რაიონულმა საავადმყოფომ იმუშავა 1972 წლამდე.

1919 წლის დასაწყისში იგი უბრუნდება ახალციხეს, სადაც ხელმძღვანელობს პარტახტიანი ტიფის ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს.

აღნიშნული სენით თვით ყადირიც დაავადდა და სრულიად ახალგაზრდა, 32 წლის ასაკში 1919 წლის 8 მაისს გარდაიცვალა.

ყადირ შერვაშიძის გადაცვალების სხვა ვერსიაცაა, ქუთაისში სიმაძრის სახლში ღონის დროს იქნა მოწამლული მოსყიდული პირის მიერ (ათაბაგმა მოაწამლვინა მახაბელს), ესეც რა თქმა უნდა ვერსაა, მარამ უახლოვდება ქეშმარიტებას. დარჩა მეუღლე და ორი ქალიშვილი: გულიკო და ნელი.



ყადირ შერვაშიძის მემორიალური დაფის გახსნა ბათუმში, ზუსკინის ქ. 78.

შერვაშიძეთა გვარმა მრავალი სასახელო შვილი აღუზარდა საქართველოს.

სამწუხაროდ, თავადურ გვარს სასტიკად გაუსწორდა ბოლშევიკური რეჟიმი. დიდი ნაწილი 1921 - 1924 წლებში განადგურდა, ხოლო დარჩენილთაგან მრავალი 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა. ამ საშინელი ტერორისა და განუკითხაობის დროს მარტო ქედის რაიონიდან ბათუმში 6 შერვაშიძე დახვრიტეს, რომელთაც დანაშაული არც კი წაუყენეს. ამჟამად ყველა მათგანი რეაბილიტირებულია.

შერვაშიძე შაქირ მამუდისძე ძე, 39 წლის, ქედა.

შერვაშიძე თემურ მამუდის ძე, 53წლის, ქედა – ალიქოღლები

შერვაშიძე ახმედ მიდადის ძე, 76 წლის, ქედა

შერვაშიძე ნური ასლანის ძე, 58 წლის, ქედა – ალიქოღლები

შერვაშიძე მემედ ასლანის ძე, 70 წლის, ქედა – ალიქოღლები

შერვაშიძე ხუსეინ დურსუნის ძე, 68 წლი, ქედა – ვაიო.

ამ გვარს არც მეორე მსოფლიო ომმა დააკლო ხელი. მარტო აჭარიდან 1941 – 1945 წლებში დაიდუბა ან უგზოუკვლოდ დაიკარგა შერვაშიძეთა გვარის 5 წარმომადგენელი.

1. შერვაშიძე ნიაზ ოსმანის ძე. ბათუმი. 1914წ.-?
2. შერვაშიძე ნაილ ოსმანის ძე. 1921 წ. დაბ. ქედა – ორცვა.
3. შერვაშიძე იბრაიმ ნურის ძე. 1916 წ. დაბ. ქედა – ოქტომბერი
4. შერვაშიძე ხასან ნურის ძე. 1920 წ. დაბ. ქედა – ოქტომბერი.
5. შერვაშიძე ხალით ნურის ძე. 1922 წ. დაბ. ქედა – ოქტომბერი.

სამართლიანობა მოითხოვს, გაგისწინოთ ის ბუმბერაზი პიროვნებები, რომლებმაც გულმხურვალე წველილი შეიტანეს გვარის ისტორიის შესწავლისა და მისი გაერთიანების საქმეში. ისინი მთელს საქართველოში, მის ყველა კუთხეში გულდასმით ეძებდნენ შერვაშიძეთა გვარის წარმომადგენლებს ეფერებოდნენ და თავის გულის სითბოს უნაწილებდნენ. ასეთები იყვნენ: აწგანსვენებული მამაჩემი – კარლო ოსმანის ძე შერვაშიძე და სერგო მისხვილის ძე შერვაშიძე.

თავს ვაღივებულად ვოვლი, მამის დაწყებული საქმე შერვაშიძეთა გვარის გენეალოგიურ კვლევა – მოძიებაში, ბოლომდე მივიყვანო.

\*\*\*\*\*



### ლეონიდე (ლეო) შერვაშიძე


საპატიო მოვალეობად მიმანია, მოვიგონო 2003 წლის ივლისში გარდაცვლილი აკადემიკოსი **ლეონიდე (ლეო) შერვაშიძე**. ცოცხალი ლეგენდა, გვარის მოამაგე და მემატიანე.

2011 წლის 25 ნოემბერს „აჭარის თავად შერვაშიძეთა საგვარეულო“ და ჩოხოსანთა ქართულ - აფხაზურმა საზოგადოება „მობა“მ აღნიშნა ლეონიდეს დაბადების 100 წლისთავი.



(1911-2003)





ეროვნული  
ბიბლიოთეკა







ქართული  
წიგნიერთა  
სამართლები





ეროვნული  
ბიბლიოთეკა















ლევან და თენგიზ თავდგირიძეები



დავით შერვაშიძე და თენგიზ თავდგარიძე



მამა - შვილი - დავით და რევაზ შერვაშიძეები



აფხაზეთის მთავართა პირდაპირი შთამომავალი, თვალსაჩინო მეცნიერი და მკვლევარი, ძრავალი წოდებისა და ხარისხის მფლობელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი არჩეული იყო აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად; იყო საქართველოსა და აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ერთაშორისი სათავადაზნაურო საკრებულოს ჰერალდ- მაისტერი, საგერბო მატრიკულის კანცლერი. ჭეშმარიტი ინტელიგენტი და აფხაზთა ადათ-წესების უბადლო მცოდნე.

თუ თვალს მივადევნებთ ლეო შერვაშიძის გენეალოგიას, რომელიც შორეული საუკუნეების სიღრმიდან მოდის, დაფინანსავთ, რომ მასში შეჯერებულია ქართველი და აფხაზი ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა სისხლი, ალბათ ამიტომაც იყო თითქმის საუკუნეს მიტანებულ აკადემიკოსს ერთნაირად უყვარდა ორივე ხალხი; იღვწოდა მათ საკეთილდღეოდ. მისი ოცნება იყო ამ ორი ხალხის საუკუნეობრივი მეგობრობისა და ურთიერთობის აღდგენა.

ლეო შერვაშიძის მამას - **ალექსი შერვაშიძეს**, ვორონეჟში სამხედრო განათლების მიღების შემდეგ სორბონის (საფრანგეთის) უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი დაუმთავრებია.

დედა - ტერეზა ლაკერბაია – აფხაზეთის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ფეოდალის, გენერალ კაც მარდანიას შვილიშვილი გახლდათ და მემკვიდრეობით წილად ხვდა ეშერას მამულები.

ბატონი ლეო 1911 წლის 16 ნოემბერს დაბადებულია პარიზში.

იგი ჯოტო შერვაშიძის მოუნათლავს „წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძარში“.

აღსანიშნავია, რომ ბატონა ლეოს ხატვას ასწავლიდა გამოჩენილი ფერმწერი, გრაფიკოსი და სცენოგრაფი ალექსანდრე შერვაშიძე (ალექსანდრე შერვაშიძე ბოლო წლებში საფრანგეთში ცხოვრობდა. იმ პერიოდში მხატვრის სამშობლოში დაბრუნება შეუძლებელი იყო. ის მონაკოში გარდაიცვალა 101 წლის ასაკში. მხოლოდ 1955 წელს მოხერხდა მისი ნეშტის გადმოსვენება სოხუმში).

პირველი მსოფლიო ომის დროს ლეოს ოჯახი კიევში გადმოსულა, რადგან ლეოს მამა თადარიგის ოფიცერი გახლდათ, ომში გაიწვიეს - „ველურ დივიზიაში“, რომელშიც მხოლოდ თავადთა შვილები შედიოდნენ. მამა ასმეთაური, ანუ როტმისტრი ყოფილა.

ამ პერიოდში კიევში ცხოვრობდა რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ 11-ის დედა - ქვრივი დედოფალი მარია ფიოდოროვნა, რომელიც მორგანატულ (სამეფო გვარის წარმომადგენლის ქორწინება არა სამეფო გვარის წარმომადგენელთან) ქორწინებაში იყო გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძესთან (სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პოეტი, დრამატურგი, აფხაზეთის მთავართა საგვარეულო შტოს ერთ-ერთი წარმომადგენელი), რომელიც დუმის წევრი გახლდათ და დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა იმპერატორის კარზე. მისი მშობლები მეგობრობდნენ იმპერატრიცასთან - ხშირად სადილობდნენ ერთად, საუბრობდნენ და ერთობოდნენ. შემდგომ ოჯახი გადმოსულა სოხუმში.

თავდაპირველად ბატონმა ლეომ სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი დაამთავრა, შემდგომ - თბილისის მაშინდელი ტრანსპორტის ინსტიტუტი.

მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, მაგრამ ბრძოლებში დაიჭრა და დემობილიზირებულ იქნა.

1948 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი გახდა.

მისი ხელმძღვანელი ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი *გიორგი ჩუბინიშვილი* იყო, რომელიც შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების, კერძოდ, მინიატურული და მონუმენტური ფერწერის ნიუანსებს ასწავლიდა.

ლეო 1951 წელს მუშაობას იწყებს ქართული ხელოვნების ინსტიტუტში. პარალელურად მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულისას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგედ.

1965 წლიდან ლეო შერვაშიძე სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიას ასწავლის. ამავე პერიოდში ბრწყინვალედ იცავს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს.

ლეო შერვაშიძე მრავალ ექსპედიციაში მონაწილეობდა. გულდასმით იკვლევდა, როგორც აფხაზეთის მიწისზედა, ისე წყალქვეშეთის არქეოლოგიას. მან შეადგინა დიოსკურიის და სებასტოპოლის პერიოდის ნაგებობათა ნაშთების განლაგების რუქა.



ბატონი ლეო, როგორც აფხაზთა სამთავრო გვარის უხუცესი წარმომადგენელი, მრავალწინავე განათლებული აფხაზი მეცნიერი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, თავდაუზოგავი მოამბე და სასოფლო-მთევარე ჰერალდიკი აღრიდანვე დაინტერესდა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში.

შალვა ინალიფას მითითებითა და დახმარებით მან დაიწყო აფხაზი თავადებისა და აზნაურების გენეალოგიის შესწავლა, შემდგომ კი საგვარეულო გერბებსე მუშაობდა.

მან დიდი სიყვარულით უძღვნა აფხაზ ხალხს ნაშრომი ჰერალდიკის თემაზე.

აქვე აღნიშნავთ, რომ ჰერალდიკა ერთ-ერთ ჩვეულებასთან დაკავშირებით აღმოცენდა, რომელიც ტურნირის წინ რაინდების გერბების წარდგენაში მდგომარეობდა, რაც მათ ტურნირში მონაწილეობის მიღების უფლებას ანიჭებდა. თუმცა, გერბების ჩანასახები შეინიშნება ძველი მსოფლიოს ხალხთა მრავალ სიმბოლიკურ გამოსახულებაში.

საქართველოში წარჩინებულ გვარებში გავრცელებული იყო საგვარეულო დროშები, კალმები, ბეჭდები, ხელრთვანი. ჰერალდიკის ევროპული ფორმა რუსეთიდან გავრცელდა ძირითადად 1801 წლის შემდეგ.

ქათველ თავად-აზნაურების გვარებში მოხდა ძველი საგვარეულო ნიშნებისა და ევროპული ჰერალდიკის კანონების შერწყმა.

ცნობილია, რომ აფხაზებს, უძველესი გვარების წარმომომადგენლებს გააჩნდათ, როგორც უძველესი სიმბოლიკის მატარებელი ნიშნები, ასევე მოგვიანებით, ევროპული წესების დაცვით შექმნილი და დამტკიცებული გერბები.

აფხაზ თავადთა მხოლოდ რამოდენიმე უძველეს გვარს (შარვაშიძეს, ანჩაბაძეს, ინალიფას, ჩხოტუას) გააჩნდა საგვარეულო გერბები და მისი სარგებლობის უფლება ჰქონდა.

აკადემიკოს ლეო შერვაშიძის ხელშეწყობით შეიქმნა სათავადაზნაურო საკრებულოს საგერბო მატრიკული. მასში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დამტკიცებულ გერბებთან ერთად შევიდა ლეო შერვაშიძის მიერ შექმნილი გერბები. საზგაასმელია ის გარემოება, რომ ეს გერბები განიხილება როგორც ხელოვნების ნიმუშები და მათ აქვთ კულტურული ლოგიური მნიშვნელობა. ვინაიდან არსებული აღწერილობისა და გამოსახულების გერბის მინიჭებისა და მისი სარგებლობის ისტორიული უფლების დამტკიცება მხოლოდ მეფის პრეროგატივა იყო.

ჩემი სახლის ერთ-ერთ კედელს ამშვენებს ბატონი ლეოს ხელით შესრულებული და მის მიერ ნაჩუქარი „თავად შერვაშიძეების დერბი,, წარწერით - „ДОРОГОМУ ДРУГУ И БРАТУ РЕЗО ОТ ЛЕО И АЛЬДОНИ“.

მისი ოჯახი აფხაზეთის ცნობილი მოვლენების გამო იძულებით იყო გამოძევებული და სიკვდილის ბოლო დღემდე თბილისში, აღმაშენებლის 106-ში მეორე სართულზე პატარა იტალიური ეზოს, პაწაწინა ბინაში ცხოვრობდა.

აქ ხშირად მასპინძლობდა 100-წელს მიტანებული ლეოს სიდედრი, ქალბატონი იულია ნადარეიშვილი.

ლეოს არასდროს დასცდენია საყვედური ყოფით სიდუხჭირეზე ლტოლვილობის გამო. მან დიდ ტრაგედიას - წინაპართა სამკვიდროს დაკარგვას ღირსეულად გაუძლო. იგი ბოლომდე შეუდრეკელ, სულით ძლიერ, ჭეშმარიტ არისტოკრატად დარჩა.

16 ნოემბერს, მის დაბადების დღეს ვესტუმრებოდი ხოლმე ბატონ ლეოს, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ შესაძლებლობა მქონდა, მეც მემასპინძლა ლეო შერვაშიძის ოჯახისათვის. ის მეუღლესთან ერთად ხშირად ჩამოდიოდა ბათუმში ქ-ნ გულიკო შერვაშიძის მოპატივებით.

დიდი სიამოვნებით გაგუწიე მათ მეგზურობა, როცა დაბა ქედაში - აჭარის შერვაშიძეთა სამკვიდროში - გახლდით და ბატონ შოთა შერვაშიძის ოჯახში მოვილხინეთ.

ლეო შერვაშიძეს დარჩა ერთადერთი ვაჟი ალექსი, დაბადებული 1959 წელს სოხუმში. სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თეატრალურ ინსტიტუტში, შემდეგ სამხატვრო აკადემიაში. 1970-1980 წლებში ცხოვრობდა სოხუმში. ცნობილი მოვლენების შემდეგ მანაც იძულებით დატოვა სოხუმი.

1992 წლიდან მოსკოვის ექსპერიმენტალური თეატრის მთავარი მხატვარია. არის სარეკლამო სადისაინერო ბიუროს მფლობელი მოსკოვში. ჰყავს მეუღლე დიანა ბლუაშვილი, რომელიც განლაგთ ი. სტალინის პირადი დაცვის უფროსის პოლკოვნიკ ბლუაშვილის შვილიშვილი. ჰყავთ ორი შვილი - მერი და ნინო.

თბილი და ლამაზი მოსაგონარია 2001 წლის 16 ნოემბერს თბილისში შერვაშიძეთა საგვარეულო შეკრება, რომლის მთავარი ორგანიზატორები სერგი შერვაშიძის შვილები - გიორგი და მისი დები - ასმათი და თამარი იყვნენ.



ამ დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და შერვაშიძეთა გვარი ლეო შერვაშიძის 90 წლისთავის  
 იუბილეს აღნიშნავდა, სადაც აჭარის წარმომადგენლებიც ვესწრებოდით. შეხვედრა მცხეთაში რესტორან  
 „სარაჯიშვილში“ საზეიმო ბანკეტით დასრულდა. ესწრებოდა უინსტონ ჩერჩილის შვილიშვილი და სენსია  
 უმცროსი უინსტონი, დადიანების საგვარეულოს სახელოვანი სიძის – მიურატების შთამომავლები, სხვა მრავალი  
 უცხოელი და ქართველი სტუმარი.

2003 წლის 19 ივლისს პირადად მოვინახულე ლოგინად ჩაგარდნილი ლეო, შინაგანი ჯარების ჰოსპიტალის  
 კლინიკაში. მის სასთუმალს არ მოსცილებია მეუღლე, ბაღბატონი აღდონა გაბუნია, ნახევარსაუკუნოვანი  
 ურთიერთობა რომ აკავშირებდათ.

გამოთხოვებისას მოკითხვა დამაბარა ყველა შერვაშიძესთან და ლეომ ანდერძად მოხოვა გარდაცვალების  
 შემდეგ მისი ცხედარი მშობლიური სოხუმის მიწისათვის მიგვებარებინა. მისი დანაბარები გენერალ გიორგი  
 სერგოსძეს, მის დებს ასმათსა და თამარს პირნათლად შეუხსრულებიათ.

ნეშტი თბილისის მთაწმინდის ლურჯი მონასტრიდან სოხუმს გადაასვენეს და მის ტანჯულ სხეულს საკუთარი  
 წინაპრების გვერდით, მისივე მამულში, ეშერაში მიუჩინეს ადგილი. მსცოვან მეცნიერს გამოეთხოვა და მისი სული  
 უფალს შეავედრა საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია 11-მ.

ისღა დაგვჩენია, ჩვენი ლოცვა შევეუერთოთ და ვისურვოთ გაცხადდეს ბატონი ლეოს ოცნება - აღდგენილ იქნას  
 აფხაზთა და ქართველთა ისტორიული ერთობა.

ისეთი ყოფილიყოს ქართულ – აფხაზური ურთიერთობები, როგორც ბატონ ლეოს წარმოედგინა, ერთად  
 გაგვეგრძელებინოს ღირსეულ წინაპართა ტრადიციები და ღირსეულადვე მიგვეგოს პატივი მათი ხსოვნისათვის.



ლეო და აღდონა რეზოს ოჯახში. ბათუმი. 1999 წ.



შერვაშიძეთა გვარმა მრავალი სასახელო შვილი მისცა საქართველოს.

სამწუნაროდ თავადურ გვარს სასტიკად გაუსწორდა ბოლშევიკური რევოლუციის წინააღმდეგობისთვის 1924 წლებში განადგურდა, ხოლო დარჩენილთაგან მრავალი 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა. ეს საშინელი ტერორისა და განუკითხაობის დროს მარტო ქედის რაიონიდან ბათუმში 10 შერვაშიძე დახვრიტეს, რომელთაც დანაშაული არც კი წაუყენეს.

ასევე განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს შერვაშიძეების მიმართ, რომლებიც ქედის რაიონის სოფლებში: ქედაში, ოქტომბერსა და ორცვაში ცხოვრობდნენ. მათ აბრალებდნენ შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მცდელობასა და შშიონაჟს. სულ რეპრესირებული იყო ამ გვარის 6 მოქალაქე, რომელთა უმრავლესობა ფიზიკურად მოსპეს. მათ შორის ყურადღებას იმსახურებს შაქირ მამუდის ძე შერვაშიძის ბედი. მას დამთავრებული ჰქონდა ბათუმის გიმნაზია, შემდეგ სწავლობდა ტარტუს უმაღლეს სასწავლებელში. ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. დაბატონების წინ ქედის სკოლაში ასწავლიდა რუსულ და გერმანულ ენებს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1937 წლის 19 სექტემბრის განაჩენით შ. შერვაშიძე დახვრიტეს (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ცნობა, № 4 H 955/58, გაცემული 1958 წლის 30 აპრილს).

მეტნაკლებად ანალოგიური მდგომარეობა იყო აჭარის დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში. ეჭვს არ იწვევს, რომ საბჭოთა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უდიდესი დანაშაული ჩაიდინა საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ. შემზარავი კიდევ ის იყო, რომ კატორღამონდილი რეპრესირებულები, ვინც შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს და თითო-ორიოლა დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს, მეორედ (1949 წელს) იმავე ციხისა და შორეული აღმოსავლეთის ჯოჯოხეთურ ჯურღმულებში გაასახლეს. რეპრესირებულთა ოჯახების წევრები, რომლებიც დაბატონებას გადაურჩნენ, დიდხანს ატარებდნენ „მაგნებლის“ „ხალხის მტრის“ და ა. შ. ზნეობრივად და სულიერად დამამცირებელ იარაღებს.

ი. ბ. სტალინის გარდაცვალების (1953 წლის 5 მარტი) შემდეგ სსრ კავშირში შეიცვალა პოლიტიკურ რეპრესირებულთა მიმართ დამოკიდებულება. სკკპ XX ყრილობის (1956 წლის თებერვალი) გადაწყვეტილების შედეგად პრაქტიკულად იწყება მათი რეაბილიტაცია. აჭარაში პოლიტიკურ რეპრესირებულთა რეაბილიტაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა დავით მამულაძემ.

1960 წლიდან 1980 წლამდე რეპრესირებულთა რეაბილიტაცია შეფერხდა. ამის მიზეზი იყო მაშინდელი უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის პოზიცია. იგი განახლდა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან.

1989 წლის 16 იანვრის სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით რეაბილიტირებულია ყველა მოქალაქე, რომლებიც რეპრესირებულნი იყვნენ „სამეულთა“ „განსაკუთრებული თათბირების“ სხვა არაკონსტიტუციური ორგანოების დადგენილებით (საბჭოთა აჭარა, 18 იანვარი, 1989).

ცხადია, რეპრესირებულთა რეაბილიტაცია ძალზე მნიშვნელოვანია. მათ შთამომავლობას მოეხსნათ „მაგნებლის“ „ხალხის მტრის“ იარაღები, რომლებსაც ისინი წლების განმავლობაში ატარებდნენ.

საქართველოს პარლამენტმა დიდი დაგვიანებით, მაგრამ 1997 წლის 11 დეკემბერს მაინც მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“.

ამ კანონით 2001-2002 წლებში რეპრესირებულთა ოჯახის წევრებს ენიშნებათ პენსია და გათვალისწინებულია სხვა სოციალური შეღავათები.

რეპრესიების შედეგად მიღებული ფიზიკური და სულიერი ჭრილობები კიდევ დიდხანს არ მოშუშდება. იგი დარჩება ჩვენი საზოგადოების მწარე გაკვეთილად ახლაც და მომავალშიც.

ამ გვარს არც მეორე მსოფლიო ომმა დააკლო ხელი. მარტო აჭარიდან 1941-1945 წლებში დაიღუპა ან უგზოუკვალოდ დაიკარგა შერვაშიძეთა გვარის 7 წარმომადგენელი.

მომდევნო წლებში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით მრავალმა შერვაშიძემ ისახელა თავი. მათ შესვდებით პოლიტიკურ ასპარეზზე, აგრეთვე მეცნიერების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ბიზნესისა და ქველმოქმედების სფეროებში.



ნაწილ ბეგ ხასანისძის მიერ მოცემული გენეალოგიური სქემა მოიცავდა ბრწყინვალე მეთოდურ ხათვლით აჭარის თავად შერვაშიძეებს. ამ პაწაწინა ისტორიულ ნარკვევში ასახულია ჩემს მიერ 1977 წლიდან დღემდე - 38 წლის განმავლობაში სირბილით და მცირეოდენი ოფლით, საკუთარი სახსრებით მოკვლევი-მოძიებული, 1790-2015 წლებში შერვაშიძეთა მოღვაწეობის პერიოდი მეათე თაობის ჩათვლით, რომელიც წარმოდგენილია 14 გენეალოგიური ტაბულით. თითოეულ ტაბულაზე მითითებულია მათი განსახლების ადგილი და შემდგომ განხილულია ბიოგრაფიული მონაცემები.

### ტაბულა № 1- დან ცნობილია:

- 1/1 – თავადი ალექსანდრე – (1759 – 1822)
- 1/2 – მემედ ბეგი ალექსანდრეს ძე – (1790-?)
- 1/3 – ახმედ ალა ალექსანდრეს ძე – (1792 – ?)
- 1/4 – ჰაჯი ასლან ბეგი მემედის ძე (1810 -1897)

თავად ალექსანდრეს შეურთავს ლორთქიფანიძის ასული, რომელიც ცხოვრობდა ყუელი-კარს (ალიქოდლები) დღევანდელი სოფელი ოქტომბერი.

ფემბე ხანუმი და ნაწილ ხასანის ძე შერვაშიძეების ნაამბობის მიხედვით მოგონება ადადგინა შოთა შერვაშიძემ.

ჰაჯი ასლან - ბეგ შერვაშიძე იყო ოსმალეთის არმიის ოფიცერი, მრავალი ორდენის კავალერი.

საბუთი ორდენის ფლობის შესახებ ინახებოდა მისი შვილის ნური ბეგის სახლში, რომელიც მისმა შვილიშვილმა ხემიდ შერვაშიძემ აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩასაბარებლად გადასცა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს იოსებ ბეჭინიშვილს, რომელიც შემდგომში იქ აღარ აღმოჩნდა და მისი ბედი დღესაც გაურკვეველია.

ნაამბობის მიხედვით ჰაჯი ასლან ბეგი მთავრობის დაგალებით 1861 წელს გაიგზავნა სირიაში ხარკის ასაკრებად. იგი წაბრძანებულია 50 მსლელებით, დაბანაკებულია ერთი ვილაეთის მახლობლად. მსლელებისათვის უბრძანებია, რომ მოსახლეობას შიშის ზარი თუ არ დავეცი, ისე ხარკს ვერ ავიღებთო. ამიტომ საჭიროა სოფელში დავიჭიროთ ძაღლები და კატებით, დაკალით და გაატყავითო, ხმა რომ გავა ძაღლის ხორცის მჭამელები მოსულანო, დაშინდებიან, ხარკს აქვე მოიტანონო, ჩვენთვის კი ქვაბებში ძროხის ხორცი ჩაყარეთო.

ეს ხმა სწრაფად გაფრცვლდა ქვეყანაში. ბანაკს ვილაეთის გამგებელი წვევია და ხელმძღვანელი მოუკითხავს. სტუმარს წარსდგენია ახოვანი ვაჟკაცი, იარაღით, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული, რომელიც საუცხოოდ ლაპარაკობდა არაბულ ენაზე. გვერდზე კი ედგა 15 წლამდე ასაკის ტან-პირ მშვენიერი ჭაბუკი, მისი შვილი - თოფანი.

გაცნობისა და საუბრის შემდეგ მამა-შვილი სახლში მიუწვევია. ეს მიწვევა რამდენიმე დღეს მეორდებოდა. ისინი დამეგობრდნენ. ერთ დღეს მასპინძელს უთქვამს: ასლან ბეგ შენ რომ უცოლო იყო ერთ ჩემს ქალიშვილს ცოლად გაგატანდიო. იგი არ დაბნეულა და დაუფიცია ქვრივი ვარო. სინამდვილეში მას მანამდე ორი ცოლი ჰყოლია: - ერთი აგალიანის, მეორე სურმანიძის. პირველი ცოცხალი არ ყოფილა, ხოლო მეორე ავადმყოფი, კუჭი ყოფილა, სიარული არ შეეძლო და სავარძლით დააგორებდნენ.

მასპინძელმა თავისი ნათქვამი შეასრულა და გამომგზავრებისას ბეგს გამოაყოლა მშვენიერი გოგონა – ჰასანი-ჟანი, 12 აქლემით, მხითევით დატვირთული და 50 კაციანი მყარი. სანამ სირიიდან





ჩამოაღწევდნენ ქედაში (სირია – თურქეთი – მაჭახელა – დიდგაკე – მეძიბნა – ოქტომბერი), აქლემებით ჩამოსულან, იქედან ორი მსლებელი მახრობლად დაწინაურებულა. დღით ადრე ჩამოსულან.

ყულლი-კარს ჰაჯი ასლან ბეგის სამსართულიანი სასახლე იდგა ორი მდინარის აკაფრეთასა და მეძიბნა დელის შესაყრის შემადღებაზე, წინ დიდი ველი იყო გაშლილი. სწორედ იქ შეიკრიბნენ ნათესავები და ახლო სოფლების მცხოვრებნი. გამოჩნდა აქლემების ქარავანი მაყრიონით. პირველი აქლემის კუხზე დადებულ სპეციალურ მოწყობილობაზე იჯდა 16 წლის შაფგრემანი ქალი ოქროს სამკაულებით შემკული. საყურადღებო დამხვდურთათვის ის იყო, რომ ცხვირზეც ოქროს რგოლი ეკეთათ.

სახლის მესამე სართულის აივანზე საგარძელში იჯდა ბეგის ავადმყოფი მეუღლე, ხედავდა ამ უცნაურ ცხოველებსა და საზოგადოებას. კითხულობდა, რა ხდებოდა. პასუხობდნენ, რომ ბეგი დაბრუნდა სირიიდან და თან სირიელი სტუმრები ჩამოჰყვნო. რამდენიმე დღის შემდეგ ეზოში გამოდის ეს ახალგაზრდა ქალი, დგას ჭასთან და ათვალიერებს ეზო-გარემოს, აინედავს მესამე სართულის აივანზე და დაინახავს საგარძელში მჯდომიარე ქალს, იკითხავს ვინ არისო, ეტყვიან სიმართლეს – ბეგის ავადმყოფი ცოლიაო, მაშინ მომეცით უფლება ვნახო.

ადმოჩნდა, რომ სირიელი ახალგაზრდა ქალი მკურნალთა ოჯახიდან ყოფილა და საკმაოდ დაოსტატებული. დაუწყია მკურნალობა და რამდენიმე თვეში კუტი (დაფარდნილი) ქალი ფეხზე დაუყენებია.

ჰაჯი ასლან ბეგის განკურნებულ მეუღლეს მოუწვევია ქმარი და მასლები, შვილები და დაულოცია ახალგაზრდა ქალი. დღეიდან მე ვიქნები ოჯახის უფროსი, ხოლო ჩემი ქმარი ასლან ბეგი „ფეშქაშ“, - ჰასნი-ჟანსო – და სახელი „ხენიფე“- ხანუმი დაურქმევია. შემდგომ შეხმატკბილებულად ერთ სახლში ცხოვრობდნენ.

- გვარში აქედან დამკვიდრდა სახალხო მედიცინა. ტრადიცია დღესაც გრძელდება.
- ახალი ცოლისაგან შეეძინა: ნური ბეგი, მემედ ბეგი, ხასან ბეგი, ფემზე ხანუმი და ხატიჯე ხანუმი.
- პირველი მეუღლისაგან - სურმანიდისაგან შეეძინა: შირინ ბეგი, მამუდ ბეგი, ხუსეინ ბეგი, ალი ბეგი.
- მეორე მეუღლისაგან – ბეჟანიდისაგან: - თუფან ბეგი, აიშე ხანუმი, ემინ ბეგი, ესედ ბეგი.
- სულ სამი ცოლისაგან ჰყავდა 13 შვილი: ათი ვაჟი და სამი ქალიშვილი.

თან ერთვის საარქივო დოკუმენტი № 699, გაცემული 1900 წლის 31 მარტს ქუთაისის გუბერნიის სამხედრო – სახალხო სამმართველოს მიერ, რომელშიც მკაფიოდ აღნიშნულია, რომ ყოფილი ბათუმის საოლქო სასამართლოს დებუტატის ჰაჯი ასლან ბეგის ქვრივს „ხენიფე“, - ხანუმს ნება ეძლეოდა თავისუფალი გადაადგილებისა რუსეთის იმპერიის ნებისმიერ ქალაქსა თუ სოფელში.

იმ ისტორიულ ადგილს „ყულლი – კარს“, ეძახდნენ, რაც ნიშნავდა ციხის ეზოს. დღესაც შემორჩენილია 22 მეტრიანი ჭა. ციხეს მიწისქვეშა გასასვლელი ჰქონია მდინარე აკაფრეთას სანაპიროზე. ციხის ნანგრევების ნაწილზე დაშენებულია გურამ ხუსეინის ძე შერვაშიდის სახლი, ხოლო ნაწილი, როგორც ისტორიული ძეგლი, შემონახულია.






ეროვნული  
ბიბლიოთეკა



Учреждение

Танко вв. Казеннаго Пензенскаго Округа -  
наша правленіемъ Пензенскаго  
Ассамблеи Казеннаго Округа  
взоба Казеннаго Пензенскаго  
Казеннаго Управления, въ томъ, что  
въ правленіи Писаревъ проделаны  
и производятся во все время в Пензенскомъ  
Казенномъ Управленіи, что надлежитъ и  
прислуживающаго Казеннаго Управления  
Учрежденія. Дана въ 21 мая 1905 года.

№ 110



В. С. Смирновъ  
Пензенскаго Округа

1/8 - თუფან ბეგ შაჯი ასლანის ძე - (1846-1914)  
მეუღლე - ფატმა ხანუმ ავალიანი

1/9 - ემინ ბეგი შაჯი ასლანის - (1843-?)

1/10 - ხუსეინ ბეგი შაჯი ასლანის ძე - (? - 1906)

1/11 - მამუდ ბეგი შაჯი ასლანის ძე - (1849 - 1913)  
ქედის მაზრის უფროსი 1903 - 1913 წლებში.  
მეუღლე - შორეთ ხანუმ ბეჟანბე

1/13 - ხასან ბეგი შაჯი ასლანის ძე - (1863 - 1944)  
საოჯახო განათლებით. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა ქედის მაზრის  
სატყეოს უფროსად.  
მეუღლე - თუთიე ხანუმ სურმანბე

1/14 - ნური ბეგი შაჯი ასლანის ძე - (1874-?)  
მეუღლე - ქერეძე ხანუმ ავალიანი

1/15 - შირინ ბეგი შაჯი ასლანის ძე - (1860-1942)  
საოჯახო განათლებით. იყო სახალხო მკურნალი (მკურნალობდა მოტყენილობებს).  
პირველი მეუღლის დიასამიძის ქედის გარდაცვალების შემდეგ, შეურთავს სულთან  
ხანუმ ავალიანი

1/16 - ესედ ბეგი შაჯი ასლანის ძე  
მეუღლე - შაჰენ ხანუმ ბასილაძე

- 1/17 – მეხედ ბეგი ჰაჯი ასლანის ძე – (1872 – 1937)  
მუშაობდა ბათუმის პორტში. რეპრესირებულია 1937 წ.  
მეუღლე – ფადიმე ხანუმ ბასილაძე
- 1/18 – ნატიჯე ხანუმ ჰაჯი ასლანის ასული – (1883-1937)  
დიასახლისი. გათხოვილი იყო ისმაილ ხასანის ძე ლორთქიფანიძეზე (1856 - ?), რომელიც უადრესად განათლებული, ნასწავლი კაცი ყოფილა. მას ქემალ ათათურქისაგან მედალი ჰქონდა მიღებული, საბუთით თანდართული. 1920-იან წლებში ისმაილი ბათუმის პორტის საბაჟოს უფროსი იყო. ისმაილის მამა ხასანი თავისი დროის დიდი განათლებული პიროვნება იყო აჭარაში - „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ (1918 წლის 15 მაისი) და მეჯლისის (1919 წ. 31 აგვისტო) წევრი. გამონენილი იურისტი ხასან ლორთქიფანიძე 1921 წლის 6 ივნისს აირჩიეს აჭარის მეჯლისის თავმჯდომარედ, მამა ისმაილი კი მეჯლისის წევრად.
- 1/19 – აიშე ხანუმ ჰაჯი ასლანის ასული.  
საოჯახო განათლებით, დიასახლისი. გათხოვილი იყო სოფელ კვაშტაში ნური ბეგ ჯაყელზე, რომელიც რეპრესირებული იქნა 1937 წელს.
- 1/20 – ფემბე ხანუმ ჰაჯი ასლანის ასული – (1883 - 1951).  
მიღებული ჰქონდა საოჯახო განათლება, დაამთავრა გიმნაზია.  
მეუღლე – ისა ბეგ ნაკაშიძე – სამხედრო პირი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, თეთრი ლეგიონის არმიის ოფიცერი, რეპრესირებული 1937წ.
- 1/21 – გუნემ ხანუმი სეფერის ასული  
გათხოვილი იყო -ალი ბეგ შერვაშიძეზე .  
შეეძინა ორი ქალიშვილი: ასიე (1900 – 1985), ელმასი (?)  
ელმას ხანუმი გათხოვილი იყო ქაზიმ ბერიძეზე, რომელიც გახლდათ პროფესორ ჯემალ ბერიძის დედა.  
მეორე ქალიშვილი - ელმასი გათხოვილი იყო იბრაიმ მენტერბაშვილზე მარნეულში.
- 1/22 – ფემბე სეფერის ასული – (1826 – 1896)  
გათხოვილი იყო ქედის რაიონის სოფელ ძენწმანში გულა ბეგ ხუსეინის ძე სურმანიძეზე (1826 – 1898). 1844 წელს გულა ბეგის ოჯახი ახლანდელ შუახევის რაიონ სოფელ ჭალაში დედისეულ მამულში გადასახლებულა და დაფუძნებულა. შერვაშიძეთა ოჯახიდან ფემბეს მზითვად მოყოლილი კარაბადინიც თან წაუღია.  
ფემბესეულ კარაბადინში დასახლებული ბევრი სამკურნალო საშუალება ხშირად გვხვდება ქართულ კლასიკურ სამკურნალო ძეგლებში და დღესაც გამოყენებულია როგორც ხალხურ, ისე მეცნიერულ მედიცინაში.  
აკადემიკოს კ. ერისთავის და თანაავტორების მიერ მოწოდებულ „ძველ ქართულ მედიცინაში გამოყენებულ მცენარეთა მიხსნაობით სიაში“ შეტანილია 208 მცენარე, რომელთაგან 96 მოხსენებულია ფემბესეულ ხელნაწერეში (რ. სურმანიძე. „მცირე კარაბადინი“, II ნაწ. 1991 წ.)
- 1/28 - საიმე ხანუმ ემინ ბეგის ასული - (1899-1985). დიასახლისი.  
გათხოვილი იყო ფადაგა მეხედზე. უადრესად განათლებული პიროვნება ყოფილა. დამთავრებული ჰქონდა გიმნაზია. რეპრესირებული იყო 1937 წელში.  
საიმე ხანუმის ოჯახი ქმრის დახვრეტამდე გასასახლებელ სიებში იყო გამწვადებული. ქმრის დახვრეტის შემდეგ ოჯახი გადაურჩა გადასახლებას.

1/31- გულიკო შვექეთის ასული-(1924-1997).მედდა.

1/33 - კუკური შვექეთისძე – (1930-2000)

დამთავრებული ჰქონდა სავაჭრო ტექნიკუმი. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებაში. დაჯილდოებულ იყო წარჩინებულის სამკერდე ნიშნით.

მეუღლე – ლამარა დუმბაძე. №10 საბავშვო ბაღის მასწავლებელი. ამჟამად პენსიონერი.

1/34 - მერაბ კუკურის ძე - (1959-2005)

დაამთავრა როსტოვის საინჟინრო – სამშენებლო ინსტიტუტი. ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით. წლების განმავლობაში საქენერგო კომპანიაში მუშაობდა ინჟინრად. მეუღლე - ქეთევან თეთრაძე – ეკონომისტი.

1/35 - მარინე კუკურის ასული - დაბადებული 1962წელს.

დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა საზღვაო აკადემიაში. პედაგოგია რუსული ენის სპეციალობით.

მეუღლე - შალვა მაწინაშვილი - ინჟინერ მშენებელი. ბიზნესმენი.

## ტაბულა №2 - დან ცნობილია:

8/2 – ზექერია თუფანის ძე – (1879 – 1959).

საოჯახო განათლებით. დაამთავრა გიმნაზია ეკონომიკური განხრით. ერთ-ერთმა პირველმა დაარსა დაბა მახინჯაურში გენერალ ფისენკოს აგარაკზე თბილისის ბავშვთა პანსიონი. მასვე ეკუთვნის ბათუმში პირველი საბუნებისმეტყველების ტექნიკუმის დაარსება რომლის დირექტორიც იყო დიდხანს. ის შედიოდა სამუსლიმანო საქართველოს 20 კაციან დელეგაციაში, რომელიც 1916 წლის მარტში ეწვია კავკასიის მეფისნაცვალს და მოითხოვა სახელმწიფო დახმარებით დაბატონებული აჭარლების განთავისუფლება. 4 მარტს დელეგაცია შეხვდა მოწინავე ქართველ მოღვაწეებს. ბანკეტზე, რომელსაც ორასი კაცი ესწრებოდა, გიორგი ყაზბეგი თამადაობდა. აქ შთამბეჭდავი სიტყვები წარმოთქმევს ისკანდერ ციციანამ და შემდეგ ბეგ აბაშიძემ („თეატრი და ცხოვრება“ № 11, 1916 წ.). ზექერია ბეგს საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია. იგი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ყადირის ოჯახისადმი, მთელ თავის სიყვარულს თბილისად დარჩენილ ძმისწილებს უნაწილებდა.

ქალბატონი გული და ნელი დიდი მადლიერებით იხსენებდნენ უფროსი ბიძის მამობრივ მზრუნველობას.

მას დიდი წვლილი მიუძღვის იმდროინდელი სამუსლიმანო საქართველოს ზოგიერთი პროცესის მოწესრიგებაში. 1917 წლის თებერვალში აქტიურად მონაწილეობდა მოსახლეობის წარმომადგენელთა კრების მოწესრიგებაში, რომელმაც აირჩია „ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი“. ზექერია ამ კომიტეტის წევრად დაამტკიცეს. კომიტეტის მიზანი იყო მოსახლეობაში თვითშეგნების შეტანა, საქართველოს ისტორიული წარსულის გაშუქება და ხალხში საქართველოს ერთიანობის იდეების განმტკიცება (ერმილე მესხია, სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. ბათუმი, 1997 წ., გვ. 9).

იმავლე წლის შემოდგომაზე მონაწილეობდა ბათუმის ოლქის მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოების დაფუძნებაში, რომელიც დაუბნისპირდა თურქოფილთა ანალოგიურ ორგანიზაციას (იქვე, გვ.10). ზ. შერვაშიძე ამ საზოგადოების გამგეობის წევრი იყო.



8/3 – რეზიდ თუფანის ძე – (1899 – 1964). დამთავრებული ჰქონდა გიმნაზია.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა ექსპედიტორად „აჭარკოთბეკაშორსი“ მეუღლე – ნარიე ხანუმი შაშიკაშვილი.

8/5 – ყადირ თუფანისძე – (1887 – 1919) წ.

დაწყებითი განათლება მიიღო სახლში და ბათუმის გიმნაზიის მოსამზადებელ ორწლედში.

1899 – 1905 წლებში ის წავლობდა ბათუმის გიმნაზიაში.

1909 წელს ჩარიცხა ქ. იურევის (ტარტუს) უნივერსიტეტში. 1914 წელს დაამთავრა ზემოაღნიშნული უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი.

1918 წელს ბათუმის თურქებისაგან განთავისუფლების შემდეგ აქტიურად მონაწილეობს ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში.

პირველი ექიმია ქარაში უმაღლესი განათლებით. თამარ მეფის ორდენის კავალერი.

მეუღლე – ნადეჟდა ბახტაძე, ექიმი.

8/11 – სალიე თუფანის ასული – (1882 – 1958)

საოჯახო განათლებით, დიასახლისი.

მეუღლე – დევრიშ ბეგ ბეჟანიძე – (1870 – 1915).

დამთავრებული ჰქონდა სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი იურისტის სპეციალობით. იყო საგლეხო ბანკის რწმუნებული ქვემო აჭარის მაზრაში.

აქტიურად მონაწილეობასღებულობდა აჭარიდან თურქეთში მუჰაჯირად წასული მოსახლეობის უკან დაბრუნებაში. გარდაიცვალა 1915 წელს რუსეთ-თურქეთის ფრონტზე, სადაც მუშაობდა თარჯიმნად.

8/12 – სუსანა რეზიტის ასული – (1923 -2011). 1940 წელს დაამთავრა ბათუმის №1

საშუალო სკოლა. 1944 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი ექიმ-მეანგინეკოლოგის სპეციალობით. 1945 – 1952 წლებში იყო ექიმ-ორდინატორი სამშობიარო სახლში, შემდგომ მთავარი ექიმის მოადგილე. 1965-1986 წლებში სამშობიაროს მთავარი ექიმი, პირველი კატეგორიის მეანგინეკოლოგია.

1957 წელს მიენიჭა აჭარის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება.

1960-1965 წლებში ქ. ბათუმის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე და ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატი. არის მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, შრომის ვეტერანი. შემდგომ პენსიონერი.

მეუღლე – მიხეილ ყადირის ძე ლორთქიფანიძე (1909 – 1973). აჭარის, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი. დამთავრებული ჰქონდა კუბიშევის სახელობის საინჟინრო აკადემია.

8/13 – ბიჭიკო რეზიდის ძე – (1925 – 1997).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ინჟინერ-მშენებელი.

დიდხანს მუშაობდა ქ. ბათუმის გათბობის მეურნეობის სამმართველოს უფროსად, ბათუმის საქალაქო საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილების უფროსად.

იყო საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, „საპატიო ნიშნის“ ორდენის კავალერი. დაჯილდოებული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით.

მეუღლე – ფატი ჩანჩიბაძე, ექიმ-ბაქტერიოლოგი.

8/14 – გული ყადირის ასული – დაბადებული 1915 წ. ქ. ქუთაისში.

1943 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. ექიმ-თერაპევტი.

მეუღლე – ნიკოლოზ ილიას ძე კანდელაკი (190 – 1965), თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, მჭევრმეტყველი, ფილოლოგი.



8/15 – ნელი ყადირის ასული – (1918 -1997).

დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი პროფიზორის სპეციალობით. წლების განმავლობაში მუშაობდა აფთიაქის გეგმვით მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული პროფიზორის წოდება.  
მეუღლე – რაფიელ ძიძიშვილი.

8/26 – სოსო ბიჭიკოს ძე – დაბადებული 1953 წ.

1982 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი ექიმ-მკურნალის სპეციალობით. მუშაობს აჭარის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მთავრ ენდოსკოპისტად.  
მეუღლე – ქეთევან დიასამიძე, ინჟინერ-ტექნოლოგი. შპს „დელტა-ლუქსის“ მენეჯერი.

8/27 – მარინა ბიჭიკოს ასული – დაბადებული 1952 წ.

1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიო-ქიმიკოსის სპეციალობით.  
არის აჭარის ონკოლოგიური ცენტრის ექიმ-უნტოლოგი.  
მეუღლე – ნოდარ გოგოლიშვილი, (1950-1996) ინჟინერი.

8/34 – ფატმა სოსოს ასული – დაბადებული 1986 წ.

2010 წელს დაამთავრა თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი. ექიმ - გენეკოლოგია.  
მეუღლე – გიორგი კერესელიძე - ექიმი.

8/35 - თარაშ სოსოს ძე – დაბადებული 1988 წ. დაამთავრა ბათუმის №1 საშუალო სკოლა, შემდეგ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი. ეკონომისტია.

### ტაბულა № 3 - დან ცნობილია:

11/1 – მამუდ ბეგი ჰაჯი ასლანის ძე – (1849 – 1917).

საოჯახო განათლებით. ქედის მაზრის პოლიციის უფროსი 1903 – 1912წ.  
მეუღლე – შორეთ ხანუმ ბეჟანიძე.

11/2 – სულეიმან ბეგი მამუდის ძე – (1894 – 1920).

26 წლის ასაკში გარდაიცვალა განუკურნებელი სენით.

11/3 – თემურ ბეგი მამუდის ძე – (1884 – 1937).

დამთავრებული ჰქონდა ბათუმის გიმნაზია, შემდგომ – ბეტერბურგში იურიდიული ფაკულტეტი. რეპრესირებული იყო 1937 წელს. დარჩა სამი შვილი: მურადი, ნური, რუსუდანი.  
მეუღლე – მენფუღე ხანუმ ხალვაში, დიასახლისი.

11/4 – აიშე ხანუმ მამუდის ასული – (1900 – 1982).

საოჯახო განათლებით. ჰყავს ქალიშვილი ეთერი.  
მეუღლე – ახმედ შავიშვილი (1895-?), დამთავრებული ჰქონდა გიმნაზია.  
თავისუფლად ფლობდა აღმოსავლურ ენებს.

11/5 – ელმას ხანუმი მამუდის ასული – (1902 – 1967).

საოჯახო განათლებით.  
მეუღლე – შადიმან მესტერბაშვილი, ეკონომისტი.



- 11/6 – შადიე ხანუმი მამუდის ასული - (1901-1918). დიასახლისი.  
გათხოვილ იყო სოფელ ქერწმანში. მედლე ერთ-ერთი თურქეთში გადასვლის დროს თავის ქვისდ ახმედ შავიშვილთან ერთად უკან აღარ დაბრუნებულან. მარტო დარჩენილი ჩვილ ბავშვთან დაჩენილი შადიე ხანუმი ნერვოულობისგან სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა.  
მეუღლე - ფეიზულა ბეგ სურმანიძე (1898-?), ჰყავდათ ეთი ქალიშვილი ნაზი.
- 11/7 – შაქირ ბეგი მამუდის ძე – (1898 -1937).  
საოჯახო განათლებით. დამთავრებული ჰქონდა ბათუმის გიმნაზია, ფლობდა რამდენიმე ენას. იყო რეპრესირებული 1937 წელს. რეაბილიტირებულია 1953 წელს.  
მეუღლე – ნაჯიე ხანუმ ნაკაშიძე, დიასახლისი.
- 11/8 – ოსმან ბეგი მამუდის ძე – (1882 – 1966).  
საოჯახო განათლებით. დაუმთავრებელი გიმნაზია.  
მეუღლე – აიშე ხანუმ ჩიკვაიძე-(1901-1962), დიასახლისი.
- 11/9 – მურად თემურის ძე – (1931-1947).  
გარდაიცვალა ტუბერკულოზით. უცოლშვილო.
- 11/10 – ნური თემურის ძე – (1936-2007). საშუალო განათლებით. ბიზნესმენი.  
მეუღლე – სურიე ბაკურიძე, რუსული ენის მასწავლებელი, მრავალი სიგელისა და ჯილდოს მფლობელი. საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.
- 11/11 – რუსუდან თემურის ასული - (1931-1998). დაამთავრა ორთაბათუმის საშუალო სკოლა, შემდგომ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. წლების განმავლობაში იყო დაწყებითი კლასების მასწავლებელი ორთაბათუმის საშუალო სკოლაში.  
ჰყავდა 4 შვილი: - ნუნუ, შაქირი, ლია, ეთერი.  
გახლდათ პურ-მარილიანი, სტუმართმოყვარე დიასახლისი.  
მეუღლე - იხეთ ქიქავა – (1922-1980). დამთავრებული ჰქონდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობით. საქართველოს დამსახურებული პედაგოგი. წლების განმავლობაში მუშაობდა სოფელ ორთაბათუმის, შემდგომ სალიბაურის საშუალო სკოლების დირექტორად. დაჯილდოებული იყო აჭარის ა.რ. პრეზიდიუმის საპატიო სიგელებითა და ფულადი პრემიებით.
- 11/16 – არჩილ შაქირის ძე – (1938 – 2001).  
დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი  
ფიზიკა – მათემატიკის სპეციალობით, შემდეგ კუიბიშევის სამშენებლო ინსტიტუტი, სადაც მიენიჭა ინჟინერ - მშენებლის სპეციალობა. მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე: ქედის კოლმშენის უფროსად, სარემონტო კანტორის უფროსად, შემდეგ აჭარის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მთავარ სპეციალისტად. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება. დაჯილდოებული იყო მრავალი სიგელითა და მედლით.  
მეუღლე – დოდო შაქირის ასული თურმანიძე - (1950 -2011). ექიმ-თერაპევტი.
- 11/17 – ნუნუ შაქირის ასული – (1930 - 2005).  
1950 წელს დაამთავრა ქედის პედსასწავლებელი, 1960 წელს - ქუთაისის პედაგოგიური ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1950 – 1965 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის ორცვის სკოლაში მასწავლებლად, 1965 – 1975 წლებში მახუნცეთის საშუალო სკოლაში. დაჯილდოებულ იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.  
მეუღლე – ბოლქვაძე თემურ ხასანის ძე, ავტომექანიკოსი.





11/18 – ლამარა შაქირის ასული – დაბადებული 1937 წ.

1956 წელს დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე რუსული ენა-ლიტერატურისა და უცხო ენის (გერმანული) სპეციალობით. 1961 წლიდან დღემდე ქედის საშუალო სკოლის რუსული ენა-ლიტერატურისა და გერმანული ენის მასწავლებელია, აგრძელებს მამის პროფესიას. 25 წელია ხელმძღვანელობს ქედის საშუალო სკოლაში რუსული ენა - ლიტერატურის სასკოლათაშორისი მეთოდგაერთიანებას. მიღებული აქვს საპატიო სიგელები, დიპლომები და მრავალი მადლობა. დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშანით. მეუღლე – კაკაბაძე იოსებ ყვირილის ძე, ეკონომისტი.

11/19 – შოთა შაქირის ძე - დაბადებული 1935 წელს.

1953 წელს დაამთავრა ქედის პედაგოგიური სასწავლებელი. 1954-1959 წლებში ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი. წარჩინებითამთავრებს ინსტიტუტის ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის ფაკულტეტს. 1959 წლიდან ქედის საშუალო სკოლის ბიოლოგია-ქიმიის მასწავლებელია, 1961 წლიდან ამავე სკოლის დირექტორის მოადგილეა, შედგომ დირექტორი. 1972 წლიდან გადაჭყავთ განათლების განყოფილებაში სასკოლო ინსპექტორად. 1975 წლიდან სკოლის დირექტორია. 1985 წლიდან 2004 წლამდე რაიონის განათლების განყოფილების გამგე. 2004 წლის ივნისიდან ამავე განყოფილების მეთოდისტი და აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას ქედის საშუალო სკოლაში. ამჟამად პენსიონერი. სახალხო განათლებისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ნაყოფიერი მუშაობისათვის სხვადასხვა დროს დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მრავალი სიგელითა და მედლით. 1977 წელს დააჯილდოვეს სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით, 1982 წელს – სსრკ-ს განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით, 1984 წელს – აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, 1985 წელს – ვეტერანის მედლით. 1990 წელს მიენიჭა აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. 1997 წლიდან ღირსების ორდენის კავალერია. მეუღლე – ნეგრესტან (მერი) ოსმანის ასული მიქელაძე (1940-2008). მუშაობდა ქედის რაიონული საავადმყოფოს მედდად.

11/20 – იზოლდა შაქირის ასული – დაბადებული 1936 წ.

დაამთავრა ქედის პედსასწავლებელი, შემდგომ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი დაწყებითის სპეციალობით. დღემდე ბზუბზუს დაწყებითი სკოლის დირექტორია. დაჯილდოებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. არის აჭარის დამსახურებული პედაგოგი. მეუღლე – თამაზ ღოდობერიძე - (1937- 2003). აგრონომი. დიდხანს მუშაობდა ქედის რაიონის სოფელ ბზუბზუს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. უძღვებოდა რაიონის კოოპერატიულ გაერთიანებას.

11/21 – გულიკო ნურის ასული - დაბადებული 1960 წ.

1983 წელს დაამთავრა ბათუმის უნივერსიტეტი. ფილოლოგია. მეუღლე - მურად ბოლქვაძე – პედაგოგი - ბიზნესმენი.

11/22 – თემური ნურის ძე-დაბადებული 1958წ.

1969 წელს დაამთავრა ჩაისუბნის საშუალო სკოლა. 1989 წელს ნოვანერკასკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მეურნე.

- 11/23 – ზურაბ ნურის ძე-(1961-2008).  
1977 წელს დაამთავრა ჩაისუბნის საშუალო სკოლა. 1980 წელს ბათუმის საჯარო  
ტექნიკუმი.  
დაიდუბა ტრაგიკულად.
- 11/24 – შაქრო არჩილისძე - დაბადებული 1973 წ. დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა.  
ეწევა საოჯახო მეურნეობას სოფელ ორცვაში.  
მეუღლე – იამზე დავითაძე. დიასახლისი.
- 11/25 – ირაკლი არჩილის ძე – დაბადებული 1979 წ.  
1978 წ. დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა წარჩინებით –2001 წელს ბათუმის  
სახელმწიფო საზღვაო აკადემია: ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის კვალიფიკაციით.  
ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში, მესამე კურსის სტუდენტმა საზღვაოგარეთ  
ყოფნისას თავი გამოიჩინა, როგორც გამოცდილმა და კვალიფიცირებულმა ელექტრო-  
მექანიკოსმა, შეაკეთა დაზიანებული საკომპიუტერო ელექტრო სქემა და  
მნიშვნელოვანი თანხა დაუწოვა გემთფლობელ კომპანიას. ირაკლიმ, ჯერ კიდევ  
18-19 წლის ახალგაზრდამ კაპიტანს თხოვა, რომ მისთვის მიენდოთ ეს საქმე და  
მართლაც 15 წუთში მოაგვარა ყველაფერი.  
2005 წელს ამთავრებს აკადემიას გემთწამყვანის კვალიფიკაციით.  
2002 წლიდან მუშაობს გერმანულ სანაოსნო კომპანიაში ინჟინერ - ელექტრო-  
მექანიკოსად . მიღებული აქვს მრავალი სიგელი და ფულადი პრემია. შეყვანილია  
ინტერნეტში მსოფლიოს საუკეთესო ელექტრო-მექანიკოსების სიაში.
- 11/26 – გიორგი შოთას ძე – დაბადებული 1963 წელს.  
დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის ზოო-ვეტერინარული  
ინსტიტუტი ექიმ-ვეტერინარის სპეციალობით. არის აჭარის ა.რ. „აგროსერვისის“  
ცენტრის მემცენარეობა – მეცხოველეობის განყოფილების უფროსი.  
მეუღლე – იზოლდა ფაღავა, დაწყებითი განათლების პედაგოგი.
- 11/27 – სოსლან შოთას ძე – დაბადებული 1961 წელს.  
დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა, თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი  
ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით. არის დაბა ქედაში შპს „აგროსერვისი“-ს  
დირექტორი.  
მეუღლე - მედეა ბასილაძე, პედაგოგი.
- 11/28 – როსტომ შოთას ძე – დაბადებული 1961 წელს.  
დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა, ბათუმის უნივერსიტეტის იურიდიული  
ფაკულტეტი. მუშაობს ქედის „წყალ-კანალში“, მთავარ სპეციალისტად.  
მეუღლე – ხათუნა ბოლქვაძე, მედიცინის მუშაკი.
- 11/29 – ირმა შოთას ასული – დაბადებული 1966 წელს.  
დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა, ბათუმის პედინსტიტუტი. დაწყებითი  
განათლების პედაგოგია. დიასახლისი.  
მეუღლე – ომარ თურმანიძე, ინჟინერ-მექანიკოსი. ბიზნესმენი.
- 11/30 – ბეგლარ თემურის ძე- დაბადებული 1988 წ. დაამთავრა ჩაქვის საშუალოსკოლა.  
2011 წელს ბათუმის საზღვაო აკადემია გემთწამყვანის სპეციალობით.
- 11/31 – დიანა ზურაბისა სული - დაბადებული 1990 წ. დაამთავრა ქ. ხარკოვში საშუალო  
სკოლა, შემდეგ კიევის უნივერსიტეტი ტურიზის მენეჯერის სპეციალობით.

- 11/34 – მარიამ გიორგის ასული - დაბადებული 1991 წ. დაამთავრა ბათუმის №16 საშუალო სკოლა, შემდგომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი - სტომატოლოგია.  
მუუღლე - ლაშა ხოზრევანიძე მუშაობს სახელმწიფო უშიშროების ორგანოში.
- 11/35 – გულნარა გიორგის ასული - დაბადებული 1993 წ. დაამთავრა ბათუმის №16-ე საშუალო სკოლა. 2011 წელს ჩაირიცხა ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხო ენების ფაკულტეტზე. არის მესხეთე კურსის სტუდენტი.  
მუუღლე – მამუკა ვერძაძე – ეკონომისტი – ბიზნესმენი.
- 11/36 – რეზო გიორგის ძე - დაბადებული 1997 წ. ბათუმის ელიტარული სკოლა „გორდას“ მეცხრე კლასის მოსწავლე, 2011 წლიდან გადაყვანილია თბილისის №102 სკოლის 12-ე კლასში. წარჩინებული მოსწავლეა. ამავდროულად წარჩინებული სპორტსმენია - ფეხბურთელი. საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ ერთ-ერთი წამყვანი თავდამსხმელია.  
2012 წლის იარგარში გუნდი იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ანტალიაში ორ კვირიან ამხანაგურ წვრთნა-შეკრებაზე, გუნდმა საპრიზო ადგილი მოიპოვა.
დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა, შემდგომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი. 2009 წელს იყო მონაწილე საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით ქ. ვარშავაში გამართულ ევროპის თავად-აზნაურთა ახალგაზრდულ საგვარეულო შეკრებისა, წარმოაჩინა აჭარის თავად შერვაშიძეთა საგვარეულოს.

მეუღლე - ირაკლი არჯევანიძე – ეკონომისტი, -მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიო“-ს უფროსი მენეჯერი.

- 24/1 – აბდულ მისდადის ძე – გადაიხვეწა თურქეთში. ადრე ცხოვრობდა ქ. ფაცაში, შემდეგ ქ. სტამბოლში. ყოფილა სამხედრო პირი. ამჟამად მისი შთამომავლები გვარად იწერებიან „ხენგინოღლი“-ს.
- 24/2 – ახმედ – ეფენდი მისდადის ძე – (1861 – 1937).  
დამთავრებული ჰქონდა სტამბოლის სამუსლიმანო სასწავლებელი. 25 წელწადს მუშაობდა ხოჯად სოფელ ყოროლისთავში. უადრესად ნასწავლი, განათლებული ადამიანი. 80 წელს მიტანებული დააბატიმრეს, ჩასვეს ციხეში, შემდგომ უგზოუკვლოდ დაიკარგა. რეპრესირებული იყო 1937 წ.
- 24/7 – ისმაილ ახმედ-ეფენდის ძე – (1906 – 1960).  
დაამთავრა ქედის სასოფლო – სამეურნეო ტექნიკუმი აგროტექნიკოსის სპეციალობით. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ანგისის აგროტექნიკოსად. მთავრობისაგან მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და მადლობა.  
მეუღლე – უმიან კილაძე, დიასახლისი.
- 24/8 – ზორბეგ ყედირის ძე – დაბადებული 1948 წ.  
დაამთავრა ბათუმის პროფტექნასწავლებელი. სპეციალობით მღებავი.  
მეუღლე – ნათელა ნაკაშიძე, დიასახლისი.
- 24/9 – ნიაზ ყედირის ძე – (1930 – 1989).  
დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა. 1950 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. დაამთავრა 1954 წელს ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი, მიენიჭა ქიმიკ-ბიოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაცია. მუშაობდა ქედის საშუალო სკოლაში. 1959 წლიდან მახუნცეთის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე აღმწრდელობით დარგში და ქიმიის მასწავლებელია. 1975 – 1977 წლებში იყო პირველი მაისის სკოლის დირექტორი. 1977- 1987 წლებში იყო ხელვაჩაურის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორი, 1987 წლიდან ხელვაჩაურის რაიონის განათლების განყოფილების პროფკავშირის თავმჯდომარეა.  
დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით, განათლების მუშაკის წარჩინებულის სამკერდე ნიშნით. მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული პედაგოგის წოდება.  
მეუღლე – თამარ ოსმანის ასული დევაძე, დაწყებითი კლასის პედაგოგ-აღმწრდელი.
- 24/10 – ალი ყედირის ძე - (1932-1989).  
საშუალო ტექნიკური განათლებით. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ბათუმის სახლსაშენ კომბინატში მექანიზატორად.  
მეუღლე - ზოია შერვაშიძე-ბულაღტერი.
- 24/11 – სულიკო ყედირის ძე – (1941-1988).  
დაამთავრა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიული ფაკულტეტი. მუშაობდა ქედაში კინოფიკაციის უფროსად, შემდგომ – გაზკანტორის უფროსად. „ცოდნის“ რაიონული ორგანიზაციის

თავმჯდომარედ, დაბა ქედის კოლმეურნეობის პარტიზონის მდივნად, შემდგომ პურკომბინატის დირექტორად.

დაჯილდოებულია მრეწველობის დამსახურებული მუშაკის მედლით და სხვა ჯილდოებით.

მეუღლე – ნაზი დიასამიძე – პედაგოგი. დიდხანს მუშაობდა ქედის რაიადმასკომში წამყვან სპეციალისტად.

24/12 – საადეთ ყედირის ასული – (1930-2004).

საშუალო განათლებით. დიასახლისი.

მეუღლე - ვახტანგ ბერიძე, პედაგოგი, ავტოსაქმისა და გეოგრაფიის სპეციალისტი.

24/13 – აკაკი ყედირის ძე – დაბადებული 1945 წ.

საშუალო განათლებით. სპეციალობით მძღოლი.

მეუღლე – გულიკო ბერიძე, ვაჭრობის მუშაკი.

24/14 – გულვარდი ისმაილის ასული - დაბადებული 1934 წ.

საშუალო განათლებით. დიასახლისი.

მეუღლე – ილია ბოლქვაძე – საშუალო განათლებით. დურგალი.

24/15 – დავით ისმაილის ძე – დაბადებული 1936 წ.

დაამთავრა ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი აგრონომის სპეციალობით.

წლების განმავლობაში მუშაობდა ხელვაჩაურის სახელმწიფო დაწესებულების სამმართველოში. ამჟამად პენსიონერი. დაჯილდოებულია აჭარის ა. რ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელითა და მედლით.

მეუღლე – ვენერა დიასამიძე, მედია.

24/16 – შორეთ ისმაილის ასული - (1931- 2009).

საშუალო განათლებით. დიასახლისი.

მეუღლე – თავდგირიძე ბიჭიკო - (1931-1960). მძღოლი.

24/17 – ნანული ისმაილის ასული- დაბადებული 1948წ.

საშუალო განათლებით. დიასახლისი.

მეუღლე - დუმბაძე ტარიელი. ავტოზეინკალი.

24/18 – გივი ისმაილის ძე – (1939 – 1993).

დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი ქიმიკოსის სპეციალობით.

მუშაობდა ანგისის მეცხოველეობის მეურნეობაში მთავარ სპეციალისტად.

დაჯილდოებულია აჭარის ა. რ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებითა და სხვადასხვა მედლით.

მეუღლე – ნანული ბაკურიძე, მედმუშაკი.

24/19 – მურად ისმაილის ძე – დაბადებული 1940 წ.

დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკაში დირექტორის მოადგილედ. ბიზნესმენი.

მეუღლე – რაისა ფოთელიძე, პედაგოგი.

24/20 – რასიმ ისმაილის ძე- (1938-1976).

საშუალო განათლებით. მეურნე.

მეუღლე - ვარდო შუშანიძე – დიასახლისი.



24/21 – ნოდარ ისმაილის ძე – (1941-1999) წ.

დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი. იყო ანგისის მეურნეობის მთავარი ინჟინერი. მეუღლე – გუგული ნაჯიშვილი, დიასახლისი.

24/25 – ჯემალ ნიაზის ძე – დაბადებული 1960 წელს.

1978 წელს დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა. 1980 – 1982 წლებში იყო სამხედრო სამსახურში ქ. მოსკოვში. 1983 – 1987 წლებში დაამთავრა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, მიენიჭა ზოგადი აგრონომის სპეციალობა. 1989 – 1990 წლებში ხელვაჩაურის სასათბურე მეურნეობის აგრონომია. 1990 – 1992 წლებში იყო საქენერგოს ბათუმის ფილიალის ელექტრიკოსი. 1992 – 1994 წლებში ბათუმის საბაჟოს დაცვის მუშაკი სარფის ქვეგანყოფილებაში. 1994 წლიდან საქენერგოს ტექნიკური მუშაკია. მეუღლე – მადონა ბალაძე, დაწყებითი განათლების პედაგოგი.

24/41 – გურამ დავითის ძე – დაბადებული 1962 წ.

დაამთავრა ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ - მექანიკოსის სპეციალობით. ამჟამად ბიზნესმენი. მეუღლე – ლია ბეჟანიძე, ეკონომისტი.

24/42 – ზურაბ დავითის ძე – დაბადებული 1964 წ.

დაამთავრა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი სამშენებლო სპეციალობით. ამჟამად ბიზნესმენი. მეუღლე – მაია სურმანიძე, პედაგოგი.

24/46 – ტარიელ გიგის ძე – დაბადებული 1971 წ.

დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტი. მუშაობდა საფეხბურთო კლუბ „ანგისის“, - და „ლაზისის“ მწვრთნელად. ამჟამად ბათუმის მერიის აერობორტის დასახლების მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტია. სწორედ მისი დიდი დაუღალავი შრომითა და მცდელობით მიენიჭა აერობორტის დასახლების ქუჩებს ღვაწლმოსილი პიროვნების, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის გიორგი შარვაშიძის და კოსტა აფხაზის (შარვაშიძის) სახელები. უაღრესად თბილი, ვაჟკაცური ნებისყოფის, კაცთმოყვარე, გვარის მოსიყვარულე, პურმარდიანი, თბილი ოჯახის პატრონია. მეუღლე – მაიკო გრიგოლია, პედაგოგი.

24/47 – ჯეირან გიგის ასული – დაბადებული 1972 წ.

1996 წ. დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. ისტორიკოსია. მუშაობდა ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტში პედაგოგად. ამჟამად შპს „რონიკო“-ს მენეჯერია.

24/48 – ნინო მურადის ასული – დაბადებული-1971 წ.

დაამთავრა ადღის საშუალო სკოლა. ინდუსტრიული ტექნიკუმი და ჰუმანიტარული ინსტიტუტი მუსიკათმცოდნის სპეციალობით. მეუღლე-გენადი აბულაძე. საშუალო-ტექნიკური განათლებით. ავტოწმისკალი

24/49 – მანანა მურადის ასული - დაბადებული 1968 წ.

დაამთავრა ადღის საშუალო სკოლა, შემდეგ სამედიცინო ტექნიკუმი. მუშაობს ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში – სამეურნეო ნაწილში.

- 24/50 – ნუგზარ მურადაძის ძე - დაბადებული 1969 წ.  
დაამთავრა ადგილის საშუალო სკოლა, შემდეგ ავტოსკოლა. მძღოლ-ექსპედიტორი,  
მეუღლე - ლეილა ცეცხლაძე - ეკონომისტი.
- 24/52 – გენადი ნოდარის ძე – დაბადებული 1974 წ.  
1994 წელს დაამთავრა ბათუმის უნივერსიტეტი. სპეციალობით ეკონომისტია.
- 24/53 – ხათუნა ნოდარის ასული - დაბადებული 1975 წ.  
დაამთავრა ადგილის საშუალო სკოლა, შემდეგ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი.  
1998 წელს მუშაობა დაიწყო აჭარის ა. რ. ცენტრალურ არქივში. 2005 წლიდან  
დანიშნეს ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორად. ამჟამად არქივის  
განყოფილებაში გამგეა.  
მეუღლე – კახა სურგულაძე – ბათუმის რუსთაველის უნივერსიტეტის ისტორიის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

#### ტაბულა № 11-დან ცნობილია:

-----

- 3/1 – ოსმან ბეგი მიხდაძის ძე – (1875 -1970).  
საშუალო განათლებით. დიდხანს მუშაობდა ვაჭრობის სისტემაში. ვაჭრობის  
დამსახურებული მუშაკი.  
მეუღლე – გუგული შერვაშიძე, დიასახლისი.
- 3/2 – ზია ოსმანის ძე – (1918 – 1986).  
დამთავრებული ჰქონდა ინდუსტრიული ტექნიკუმი ინჟინერ-ტექნიკოსის სპეციალობით.  
მუშაობდა ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში საამქროს უფროსად.  
მეუღლე – ზინა სიმონის ასული შერვაშიძე, პედაგოგი.
- 3/3 – აბდულ ოსმანის ძე – დაბადებული 1936 წ.  
საშუალო განათლებით. სპეციალობით მძღოლ-ექსპედიტორი. მუშაობს ხელგანაურის  
პურის ქარხანაში.  
მეუღლე – ულფეთ კახიძე, დიასახლისი.
- 3/4 – ნუნუ ოსმანის ასული – (1930 – 2003).  
საშუალო განათლებით. დიასახლისი.  
მეუღლე – სულიკო ხუსეინის ძე მიქელაძე, მძღოლი.
- 3/5 – ჯემალ ოსმანის ძე – (1907 – 1991).  
დამთავრებული ჰქონდა გიმნაზია, შემდგომ – საგაჭრო ტექნიკუმი. ვაჭრობის  
სისტემაში ხანგრძლივი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო აჭარის ა. რ. უმაღლესი  
საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. იყო ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი.  
მეუღლე – ფიქრიე ბოლქვაძე, დიასახლისი.
- 3/6 – მელექი ოსმანის ასული – (1901 – 1996).  
დიასახლისი.  
მეუღლე – ხუსეინ გორგოშაძე, დურგალი.



- 3/7– ნაზიმ (ნოე) ოსმანის ძე – (1912 – 1996).  
დაამთავრა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკური ინჟინერ-ტექნიკოსის სპეციალობით დიდხანს მუშაობდა ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკურში, შემდგომ სოფელ მახოს ჰიდროელექტროსადგურის დირექტორად. წლების განმავლობაში იყო თხილნარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე. დაჯილდოებული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებითა და სხვადასხვა ჯილდოთი.  
მეუღლე – შადიე ისმაილის ასული მალაყმაძე, დიასახლისი.
- 3/8 – ენვერ ოსმანის ძე – (1921 – 1990).  
საშუალო განათლებით. შემდგომ დაამთავრა ვაჭრობის ტექნიკური. მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის ვაჭრობის გაერთიანების სამმართველოს უფროსად.  
მეუღლე - სალიე ხუსეინის ასული თიკანაძე, დიასახლისი.
- 3/10 – თორი ზიას ძე – 1949 წ.  
დაამთავრა ლენინგრადის საზღვაო აკადემია მექანიკოსის სპეციალობით. ცურავს შორეული ნაოსნობის კომპანიების გემებზე მთავარ მექანიკოსად.  
მეუღლე – ტატიანა შერვაშიძე, კოსმეტოლოგი.
- 3/22 – თემურ ჯემალის ძე – ( 1958- 2006).  
დაამთავრა ბათუმის საზღვაო აკადემია გემთწამყვანის სპეციალობით. ცურავდა შორეული ნაოსნობის კაპიტანად. ტრაგიკულად დაიღუპა მოზამბიკში.  
მეუღლე – ნესტანი ნინიძე, დიასახლისი.
- 3/23 – დურსუნი ჯემალის ძე – დაბადებული 1950 წ.  
საშუალო განათლებით. ბიზნესმენი.  
მეუღლე – ტანია შერვაშიძე, ხელვაჩაურის აგრობანკის ეკონომისტი.
- 3/24 – ჟუჟუნა ჯემალის ასული – დაბადებული 1950 წ.  
დაამთავრა საგაჭრო ტექნიკური. არის ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი.  
მეუღლე – თენგიზ ნაგერვაძე, მძღოლი.
- 3/25 – ასმათ ჯემალის ასული – დაბადებული 1952 წ.  
დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. მუშაობდა სამკერვალო ფაბრიკის საბავშვო ბაღის აღმწრდელად.  
მეუღლე – შაქრო ვარშანიძე, მშენებელი.
- 3/26 – ეთერი ჯემალის ასული – დაბადებული 1954 წ.  
დაამთავრა საგაჭრო ტექნიკური, დიასახლისი.  
მეუღლე – მერაბ დოლიძე, საზღვაო აკადემიის ლექტორი.
- 3/37 – იაშა ნაზიმის ძე – დაბადებული 1942 წ.  
1959 წელს დაამთავრა თხილნარის საშუალო სკოლა. 1965 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიისა და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი. მიენიჭა ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია. 1965 წელს იწყებს შრომით საქმიანობას გაერთიანება „აჭარბურში“, ჯერ ლაბორანტად, შემდეგ - ცვლის უფროსად.  
1974 წლიდან დღემდეა რის ხელვაჩაურის ბურკომბინატის დირექტორი.  
1996 წლიდან აჭარკოოპკავშირის გამგეობისა და საბჭოს წევრი. 1996 წელს აირჩიეს აჭარის ა. რ. უზენაესი საბჭოს დეპუტატად. 2000 წლის მასში მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. გახლავთ საპატიო ნიშნის ორდენის კავლერი და მრავალი საიუბილეო მედლის მფლობელი.



გვარზე უსაზღვროდ შეყვარებული, სულითა და ბუნებით მდიდარი ადამიანი. ჭირისა და ღვინის გამწიარებელი სულიერად, ეკონომიურად. ქართველი ერის შეჭირვება მისი წუხილია და ეს არ ასვენებს, გულსა სტკუნს და რითაც შეუძლია ენმარება თავის თანამემამულეებს. ჩუმად, უხმაუროდ ნერგავს სიკეთეს, ქველმოქმედების აფიშირებას გაურბის, მაგრამ ზოგჯერ სიკეთე თავისით იწენს სოლმე თავს და საცნაური ხდება. გაჭირვებაში მყოფთათვის დანმარება, თანადგომა, დიდხანია შინაგან მოთხოვნად ექცა, ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებიდან უკანასკნელს გაიღებდა, და ყველას გაუმართავდა ხელს.

-სიყვარული, ნაბიჯის გადადგმა და ახლობლებისათვის გონიერება და მოთმენა-აი რა უნდა დაეხმაროს, მისი აზრით მოპირისპირებს ურთიერთგაგებაში. ყველაზე დიდ პოლიტიკად სიყვარულია – მიაჩნია იაშა შერვაშიძეს და თვითონაც ამ მრწამსის მომხრეა ყოველთვის.

„ვისაც მუშაობა არ უყვარს, არაფერი ექნება, ოცნების კოშკის შენებითა და უმოქმედობით, ოფლის დაუღვრელად ფულის შოვნის იმედად ყოფნით ვერაფერს მივაღწევთ, -ამბობს იგი- ფული შრომის შედეგად მოდის, ადამიანი თავისი საქმის, თავისი ხელობის პროფესიონალი უნდა იყოს და ყველაფერი რიგზე იქნება“. სწორედ ბატონების: იაშას, ავთანდილ მაჭუტაძის, იოსებ ჯინჭარაძის და იური უნგიაძის დიდი დამსახურებაა, რომ დღეს ჩემი შვილები მირანდა და თამარ შერვაშიძეები, ექიმები არიან. მათ შორის მირანდა მედიცინის დოქტორია. ვინ ჩამოთვლის, რამდენი შერვაშიძისა და სხვა გვარის - სტუდენტებისათვის გაუწევია სპონსორობა ბატონ იაშას, რამდენი ოჯახი გაუნარება თავისი კეთილი საქმით. მეცნატობა? ესეც მისი თანამდევი სახასიათო თვისებაა. ვინ მოთვლის რამდენ თანამედროვე მწერალსა და შემოქმედს გაუმართა ხელი, რამდენი წიგნი თუ სასიკეთო წამოწყება დაუფინანსებია და ხალხის საკუთრებად უქცევია. მეუღლე – საოცრად სათნო მარიეტა თავბერიძე, მედმუშაკი. უაღრესად სტუმართმოყვარე, გულთბილი, პურმარილიანი, დიასახლისი დედა და ბებია.

- *დაე უძრავლოს საქართველოს ასეთი ღირსეული შვილები!*  
*ღმერთი იყოს მათი ოჯახების მფარველი!*

3/38 – აიშე (მერი) ნაზიმის ასული – დაბადებული 1937 წელს.  
დაამთავრა თხილნარის საშუალო სკოლა, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1971 წლიდან ქ. ბათუმის № 6 საბავშვო ბაღის სამეურნეო ნაწილის გამგეა. დაჯილდოებულია განათლების სამინისტროს წარჩინებულის სამკურდევ ნიშნითა და აჭარის ა. რ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. უაღრესად თბილი, ნათესავთმოყვარე, პურმარილიანი დიასახლისი, გულთბილი დედა და ბებია.  
მეუღლე – ქემალ ბილალის ძე შარაბიძე, მოსამსახურე.

3/39 – ზურაბ ნაზიმის ძე – დაბადებული 1952 წ.  
დაამთავრა ბათუმის საზღვაო აკადემია. შორეული ნაოსნობის კაპიტნის თანამემშეა. აქვს მრავალი ჯილდო და მადლობა. ცურავს საზღვარგარეთის გემებზე.  
მეუღლე – ასმათ იუსუფის ასული შერვაშიძე, დიასახლისი.

3/40 – მურმან ნაზიმის ძე – (1936 – 1996)წ.  
დაამთავრა ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. აგროტექნიკოს - აგრონომი. მუშაობდა მახუნცეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. სოფელ თხილნარის მეურნეობის ბრიგადირად, აგრონომად.  
მეუღლე – ნათელა ნევესეთის ასული შერვაშიძე.



3/41 – ემზარ ნაზიმის ძე – დაბადებული 1974 წ.

საშუალო განათლებით. მუშაობს ხელვაჩაურის პურკომბინატში ცვლის უფროსის მოადგილედ.  
მეუღლე – ნონა ტეტემაძე, დიასახლისი.

3/42 – რომან იურის ძე – დაბადებული – 1972 წ.

1988 წ. დაამთავრა ქალაქ სანკტ-პეტერბურგში 23-ე საშუალო სკოლა.  
1993 წ. დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ტექნიკური კიბერნეტიკის ფაკულტეტი, სპეციალობით პროგრამისტია. მუშაობს შპს „ვერონიკა“-ს კომპიუტერული სალონის ქსელების მენეჯერ-პროგრამისტად.  
მეუღლე - ლარისა შერვაშიძე - ეკონომისტია.

3/43 – საშა იურის ძე - დაბადებული 1976 წ.

1992 წ. დაამთავრა ქალაქ სანკტ - პეტერბურგში 23-ე საშუალო სკოლა,  
1997 წ. „ბრომ-ბრუევისის“ კავშირგაბმულობის ინსტიტუტი სისტემური ინჟინრის სპეციალობით.  
მეუღლე - ტატიანა შერვაშიძე - არქიტექტორი.

3/53 – გონა იაშას ძე – დაბადებული 1967 წ.

დაამთავრა ქ. ბათუმის № 23 საშუალო სკოლა, შემდეგ – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ -მშენებლის სპეციალობით. მუშაობდა ხელვაჩაურის პურკომბინატში ცვლის უფროსად. ამჟამად შპს „ოქროს თავთავი-XXX1“-ს დირექტორია.  
მეუღლე – მზია ნაგერვაძე, მედდა.

3/54 – ზვიად იაშას ძე – დაბადებული 1977 წ.

დაამთავრა ქ. ბათუმის № 23 საშუალო სკოლა, ბათუმის საზღვაო აკადემია გემთწამყვანის სპეციალობით. შპს „ხელვაჩაურის პურბრდუქტების“ საკონდიტრო საამქროს უფროსია.  
მეუღლე – მირანდა კარანაძე, ეკონომისტი.

3/55 – ჯუმბერ იაშას ძე – დაბადებული 1970 წ.

დაამთავრა ქ. ბათუმის № 23 საშუალო სკოლა, შემდეგ – ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი. ინჟინერ - ტექნოლოგია. მუშაობს ხელვაჩაურის პურკომბინატში დირექტორის მოადგილედ კომერციულ დარგში.  
მეუღლე – ზეინაბ ბერიძე, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების ექიმ - გინეკოლოგი.

3/57 – ვახტანგ ზურაბის ძე – დაბადებული 1984 წ.

დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი – იურისტია. მუშაობს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში განყოფილების უფროსად.

3/58 – ავთო (ავთანდილ) ზურაბის ძე - დაბადებული 1987 წ.

ბათუმის საზღვაო აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტი.

3/59 – ედიშერ ზურაბის ძე - დაბადებული 1983 წ.

დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურისტ-ეკონომისტის სპეციალობით. მუშაობს აჭარის სტატისტიკის დეპარტამენტში.

4/64 – იაკობ გონას ძე - დაბადებული 1994 წ.

№1 საჯარო სკოლის 12-ე კლასის წარჩინებული მოსწავლე.

4/65 – ნიაზ გონას ძე - დაბადებული -1998 წ.

№1 საჯარო სკოლის მერვე კლასის წარჩინებული მოსწავლე.

5/66 – მარიამ ზვიადის ასული - დაბადებული 1998 წ.

№1 საჯარო სკოლის მერვე კლასის წარჩინებული მოსწავლე.

5/67 – თარაშ ზვიადის ძე-დაბადებული -1998 წ.

№1 საჯარო სკოლის მეოთხე კლასის წარჩინებული მოსწავლე.

5/68 – თორნიკე ჯუმბერის ძე -დაბადებული -2005 წ.

წმინდა ანდრეას სახელობის სასულიერო გიმნაზიის პირველი კლასის წარჩინებული მოსწავლე.

### ტაბულა № 12-დან ცნობილია:

8/2 – ლეილა ენგერის ასული - დაბადებული 1948 წ.

საშუალო განათლებით.

მეუღლე – ვეისი უქერის ძე ზაქარაძე, თბილისის საშუალო სკოლის პედაგოგი.

8/3 – ციური ენგერის ასული – დაბადებული 1953 წ.

საშუალო განათლებით. დიასახლისი.

მეუღლე – ენვერ კონცელიძე, აგროტექნიკოსი.

8/4 – რეზო ენგერის ძე – დაბადებული 1949 წ.

საშუალო განათლებით. მძღოლი. ბიზნესმენი.

მეუღლე – ნანული კონცელიძე, ბუღალტერი.

9/1 – რასიმ ოსმანის ძე – (1928 – 1989).

დაამთავრა თბილისის საშუალო სკოლა, – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აგროტექნიკოსის სპეციალობით. მუშაობდა ახალსოფლის კოლმეურნეობის ფერმის გამგედ. შემდგომ საცხოვრებლად გადავიდა წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირში.

მეუღლე: – 1. რესმიე მექედის ასული ზაქარაძე - დიასახლისი.

2. მარგალიტა შერვაშიძე, დიასახლისი.

9/2 – ნოდარ რასიმის ძე – დაბადებული 1946 წელს.

საშუალო განათლებით. მექანიზატორი. მუშაობს თბილისის მეურნეობაში

მექანიზატორად.

მეუღლე – ეთერ შაქროს ასული ცინცაძე, თბილისის ამბულატორიის ექთანი.

9/3 – მერი რასიმის ასული – დაბადებული 1948 წ.

საშუალო განათლებით. დიასახლისი.

9/4 – გულნარა რასიმის ასული – დაბადებული 1949 წ. დაამთავრა ბათუმის

სამედიცინო სასწავლებელი. მედა. მუშაობს ხელვაჩაურის საავადმყოფოში.

მეუღლე – ანზორი გვიანიძე, ხელვაჩაურის ენერგოკომპანის ეკონომისტი.

- 9/5 – მაყვალა რასიმის ასული – დაბადებული 1950 წ.  
დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი დაწვევითების სპეციალობით. მუშაობს თბილისის საშუალო სკოლაში პედაგოგად.  
მეუღლე – ნუგზარ ვარშალომიძე, მექანიკოსი. ბიზნესმენი.
- 9/6 – შაქრო რასიმის ძე – დაბადებული 1954 წ.  
დაამთავრა ქუთაისის საგაქრო ტექნიკური კულინარიის სპეციალობით. მუშაობს ქ. თბილისში ერთ-ერთი რესტორნის სამკურნეო ნაწილის უფროსად.  
მეუღლე - მარიამ შალამბერიძე, დიასახლისი.
- 9/7 – ამირან რასიმის ძე – დაბადებული 1955 წ.  
დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი მექანიკოსის სპეციალობით.
- 9/18 – გიორგი (ხვინა) შაქროს ძე - დაბადებული 1973 წ.  
1989 წ. დაამთავრა წყალტუბოს საშუალო სკოლა. შემდეგ ქუთაისის საგაქრო კაპერაციული ტექნიკური. ბიზნესმენი. ჰყავთ ერთი ვაჟი ნიკოლოზი.  
მეუღლე - ქეთევან ჯულაბიძე - იურისტ-ეკონომისტი.
- 9/19 – გონა შაქროს ძე - დაბადებული 1974 წ.  
დაამთავრა წყალტუბოს საშუალო სკოლა, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ინჟინერ - მშენებელია.

### ტაბულა № 13- დან ცნობილია:

-----

- 24/1 – დურსუნ - ალა სული - ბეგის ძე – (?-?).  
საოჯახო განათლებით. მეურნე.  
მეუღლე – ზულფიე მიქელაძე, დიასახლისი.
- 24/2 – ჯემალ დურსუნ - ალის ძე – (1916 – 1937).  
საოჯახო განათლებით. რეპრესირებული 1937 წ.
- 24/3 – ალი დურსუნ - ალის ძე – (1900 – 1964).  
საშუალო განათლებით.  
მეუღლე – ნორა მდივანი, მედდა.
- 24/4 – ჰაკი დურსუნ - ალის ძე – (1920 – 1937).  
საშუალო განათლებით. რეპრესირებული. 1937 წ.
- 24/5 – ახმედ დურსუნ - ალის ძე – (1906 – 1962).  
საშუალო განათლებით. სპეციალობით აგრონომი. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ლიმონტრესტის მმართველად. დაჯილდოებული იყო მრავალი სიგელითა და ჯილდოთი.  
მეუღლე – ნადია ლუკას ასული წულაძე, დიასახლისი.
- 24/6 – ფადიმე დურსუნ - ალის ასული - (1892 – 1964).  
საოჯახო განათლებით, დიასახლისი.  
მეუღლე – ახმედ ჩიჯავაძე, ინჟინერ-მშენებელი.

- 24/7 – ჰავა დურსუნ - აღის ასული – (1896 – 1976).  
საშუალო განათლებით. დიასახლისი.  
მეუღლე – ხუშუტი ხალვაში, სოფლის მეურნეობის მუშაკი, აგროტექნიკოსი.
- 24/8 – ნაზი დურსუნ - აღის ასული – (1919 -1988).  
საშუალო განათლებით. დაამთავრა საბუნალო ტექნიკუმი. მუშაობდა  
ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფლის მეურნეობის ბუნალოტრად.  
მეუღლე – ვლადიმერ ივანეს ძე კლადოვი, სამხედრო პირი, აჭარის სასახლეო  
ზონის საგუშაგოს უფროსი.
- 24/9 – ემინე დურსუნ - აღის ასული – (1914 – 1973).  
საშუალო განათლებით. დიასახლისი.  
მეუღლე – ისრაფელ თურმანიძე, ინჟინერ-მშენებელი.
- 24/10 – აიშე დურსუნ - აღის ასული – (1912 – 1978).  
საშუალო განათლებით. დიასახლისი.
- 24/11 – მენფელე დურსუნ - აღის ასული – (1900 – 1966).  
საშუალო განათლებით. რუსული ენის მცოდნე. მუშაობდა ახალსოფლის  
კოლმეურნეობაში საქმეთა მმართველად.  
მეუღლე - სულეიმან აბდულის ძე ქერიშაძე - შერვაშიძე, უმაღლესი  
განათლებით, აღმოსავლური ენების მცოდნე. - ფლობდა 7 ენას.
- 24 /12 – როსტომ ახმედის ძე – (1933 – 1996).  
დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ავტონომიის  
სპეციალობით. მუშაობდა თბილისის ელ-ძრავების ქარხანაში.  
მეუღლე – ლიუბოვ შერვაშიძე, მუსიკათმცოდნე, დიასახლისი.
- 24/13 – მერი ახმედის ასული – (1930 – 1967).  
საშუალო განათლებით. მუსიკის მასწავლებელი ქობულეთის მუსიკალურ  
სკოლაში. მეუღლე – მიხეილ ალექსანდრეს ძე გოჩალაიშვილი, მფრინავი.
- 24/14 – ცური ახმედის ასული – დაბადებული 1940 წ.  
საშუალო განათლებით, შემდგომ დაამთავრა მუსიკალური ტექნიკუმი. მუშაობს  
ბათუმის № 7 საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებლად. დაჯილდოებულია  
აჭარის ა. რ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.  
მეუღლე – რევაზ სულიკოს ძე დოლიძე – (1927 - 2011). საქართველოს  
დამსახურებული ექიმი. 2000 წლის ჯანდაცვის ფრიადოსანი.
- 24/24 – ჰედიე სულეიმანის ასული – დაბადებული 1927 წ.  
საშუალო განათლებით, შემდგომ დაამთავრა საბუნალო ტექნიკუმი.  
წლების განმავლობაში მუშაობდა გონიოს ჩაის ფაბრიკაში ბუნალოტრად, –  
მთავარ ბუნალოტრად. ამჟამად პენსიონერი. მრავალშვილიანი დედა.  
დაჯილდოებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო  
სიგელითა და ფულადი პრემიებით, როგორც წარჩინებული მუშაკი.  
არის საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი.  
მეუღლე – ოსმან ბერიძე,- (1920- 2001). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
კურსდამთავრებული. იყო დამსახურებული ეკონომისტი.
- 24/25 – სედათ სულეიმანის ძე – (1930 – 1998).  
დაამთავრა თბილისის სასოფლო – სამეურნეო ინსტიტუტი აგრონომის  
სპეციალობით. მუშაობდა გონიოს კოლმეურნეობაში აგრონომად. სოფლის  
მეურნეობის დამსახურებული მუშაკი.  
მეუღლე – თამარ იაკობაძე, ბიოლოგიის მასწავლებელი.

- 24/26 – ზაზა როსტომის ძე – დაბადებული 1963 წ.  
დაამთავრა თბილისის მილიციის უმაღლესი სასწავლებელი. იურისტი.  
ამჟამად ბიზნესმენი.  
მეუღლე – ლილი ჯეფერის ასული ართმელაძე, ბუღალტერი.
- 24/35 – რუსლან სედათის ძე – დაბადებული 1965 წ.  
უმაღლესი განათლებით. დაამთავრა როსტოვის კვების ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი. ტექნოლოგის სპეციალობით.
- 24/36 – როინ სედათის ძე – დაბადებული 1969 წ.  
დაამთავრა თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი. მუშაობდა სარფის  
საბაჟოზე ვეტსამსახურში, შემდეგ – დაცვაში.  
მეუღლე – მადონა ზოიძე, მედია.
- 24/37 – აკაკი ზაზას ძე – დაბადებული 1983 წ.  
დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.  
იურისტია.
- 24/38 – ნინო ზაზას ასული – დაბადებული 1987 წ.  
დაამთავრა სტომატოლოგიური კოლეჯი.

## ტაბულა №14

- 25/1 – როსეთ ახმედ აღის ასული – (1870-1937).  
საოჯახო განათლებით. გათხოვილ იყო სოფელ ზენდიდში ბეჟანძეზე.
- 25/2 – სულეიმან (სერგო) ახმედ - აღის ძე - (1898-1983).  
წლების განმავლობაში მუშაობდა ქედის რაიონულ საავადმყოფოში  
სამეურნეო ნაწილის გამგედ.  
მეუღლე - ჭურიე მამიას ასული თურმანიძე (1902-1998). - დიასახლისი.
- 25/3 – ასლან ახმედ აღის ძე – (1903-1937)წ.  
საოჯახო განათლებით. მუშაობდა ქედის რაიკოლმეურატივის თავმჯდომარედ.  
მეუღლე – გოგობერიძე ელისაბედი, პედაგოგი.
- 25/4 – ამირან სულეიმანის ძე (სერგოს ძე) - (1921-1985).  
1942 წელს დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა, 1950 წელს - ბათუმის  
პედაგოგიური ინსტიტუტი. სპეციალობით ისტორიკოსი. 1942-1946 წლებში  
მუშაობდა ქედის რაიონული გაზეთის პასახისმგებელ მდივნად, შემდგომ  
კომკავშირის მდივნად, საბავშვო მანქანებისა და მშენებლის ბიუროს გამგედ.  
1951-1955 წლებში სოფელ მეძიბნის სკოლის დირექტორად. 1957 წლიდან  
გარდაცვალებამდე 28 წლის მანძილზე მუშაობდა აჭარის უმაღლესი  
საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილების გამგედ.  
ბათუმის საქალაქო საბჭოს რამოდენიმე მოწვევის დეპუტატია.  
ხანგრძლივი და უმწიკლო მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო საპატიო  
ნიშნის ორდენითა და მრავალი მედლით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.  
მეუღლე - სორეთ ხუსეინის ასული ბეჟანიძე (1927-1999).



პროფესიით ბიოლოგი. წლების განმავლობაში იყო ოკეანოგრაფიისა და თევზის მეურნეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების მეცნიერ – თანამშრომელი. 1970 წლიდან -1985 წლამდე აჭარის რესპუბლიკური სადგურის ბიოლოგ-ბაქტერიოლოგი.

25/5 – შვექეთ (საბა) სულეიშანის ძე - (1918-2002).

დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებელი, შემდგომ როსტოვის სამხედრო სასწავლებელი ლეიტენანტის ჩინით-წარჩინებით. ირიცხებოდა 392-ე ქართულ მსროლელთა დივიზიაში, ხელმძღვანელობდა 826-ე დივიზიის პოლკს. 1943 წელს დანიშნეს 191-ე მსროლელი პოლკის შტაბის უფროსად. ბრძოლებით განვლო მთელი ევროპა ქალაქ ქერჩიდან ბერლინამდე. 1945 წლის 9 მაისს შეხვდა აგსტრიის დედაქალაქ ვენაში. ომი დაასრულა გვარდიის პოლკოვნიკის ჩინით.

დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით. მუშაობდა საქართველოს უშიშროების ორგანოებში და სამხედრო კომისრად საქართველოს სსრ-ის რეგიონებში. მეუღლე – მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, თანაბოლკელი მედმუშაკი, მარიამ ქელდიაშვილი.

25/6 – შუშანა სულეიშანის (სერგოს) ასული - (1928-1994).

დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორიისა და უცხო ენის სპეციალობით. ლექციების კურსს ისტორიაში ლეგან სანიკიძე უკითხავდა, რომელმაც უამბო და დაუდასტურა აფხაზი თაფადიშვილის ალექსანდრე შარვაშიძის აჭარაში გადმონგეწისა და ათაბაგ ჯაყელის მიერ ნახუქარ სოფელში დასახლების ისტორია. მუშაობდა სოფელ ოქტომბრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, ოქტომბრის საშუალო სკოლის ისტორია-გერმანული ენის მასწავლებლად.

25/7 – დავით ასლანის ძე – დაბადებული 1931 წ.

საშუალო განათლებით. დურგალი. მეუღლე - ნათელა შაქარიშვილი – შერვაშიძე, დიასახლისი.

25/8 – ნელი ამირანის ასული – დაბადებული 1958 წ.

1975 წელს წარჩინებით დაამთავრა №1 ბათუმის საშუალო სკოლა. 1982 წელს-თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. ექიმ-თერაპევტი. მუშაობდა დაბა მახინჯაურის პოლიკლინიკაში ექიმ-თერაპევტად. ამჟამად დიასახლისია. მეუღლე – რეზო მიქელაძე, ინჟინერი. მუშაობს კერძო სექტორში.

25/9 – გულისა შვექეთის ასული – დაბადებული 1949 წ.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქიმიკოსია. ცხოვრობს ქ. თბილისში.

25/11 – გია დავითის ძე - დაბადებული 1957 წ.

საშუალო განათლებით. დურგალი. მეუღლე - მზევინარ კახიძე, დიასახლისი.

25/12 – ბადრი დავითის ძე - დაბადებული 1959 წ.

დაამთავრა ახალშენის საშუალო სკოლა, ბათუმის საზღვაო აკადემია. ელექტრომექანიკოსის სპეციალობით. ცურავს საზღვარგარეთის სხვადასხვა კამპანიების გემებზე ელექტრომექანიკოსად. მეუღლე – ირინა ტანცურა – დიასახლისი.

- 25/13 – ჯუმბერ დავითის ძე- დაბადებული 1969 წ.  
საშუალო განათლებით. დურგალი.  
მეუღლე - ციური ისრაფილის ასული შერვაშიძე, დიასახლისი.
- 25/14 – რუსუდან დავითის ასული – დაბადებული 1980 წ.  
დაამთავრა ახალშენის საშუალო სკოლა. 2003 წელს ბათუმის აგრარული  
უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.  
მეუღლე – კახა გოგიტიძე. ბიზნესმენი.
- 26/3 – ხალით ნურის ძე - (1922 – 1942).  
დაიღუპა დიდ სამამულო ომში.
- 26/4 – იბრაიმ ნურის ძე - (1916-1942).  
დაიღუპა დიდ სამამულო ომში.
- 26/7 – ავთანდილ (ქამილ) ნურის ძე – (1919-1979).  
დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ინჟინერ –  
მშენებლის სპეციალობით. 1942 წლიდან მუშაობდა „აწჰესის“ მთავარ  
ინჟინრად, შემდგომ აჭარის საქენერგოს მთავარ ინჟინრად.  
მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება.  
არის საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი.  
მეუღლე - ნაზი აბაშიძე, დიასახლისი.
- 26/8 – ისკენდერ იუსუფის ძე - დაბადებული 1941 წ.  
დაამთავრა სავაჭრო ტექნიკუმი. მეურნე. ბიზნესმენი.  
მეუღლე - ეთერი კონცელიძე - დიასახლისი.
- 26/10 – ილია იუსუფის ძე – (1935-2002).  
დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. სპეციალობით  
ფილოლოგია. მუშაობდა ოქტომბრის საშუალო სკოლაში პედაგოგად.  
დაჯილდოებულია მრავალი სიგელითა მედლით, განათლების წარჩინების  
სამკერდე ნიშნით.  
მეუღლე – ნაილე მიქელაძე- სტუმართმოყვარე, საოცრად ბურმარილიანი.  
ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მედ. მუშაკი.
- 26/12 – ჯევდეთ ავთანდილის ძე- ( 1940- 2004 ).  
დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი არქიტექტორის  
სპეციალობით. წლების განმავლობაში მუშაობდა აჭარის ენერგო-  
ზედამხედველობაში.  
მეუღლე - თამარ ბერიძე - პედაგოგი.
- 26/13 – ეთერი ავთანდილის ასული - დაბადებული 1941 წ.  
დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, სპეციალობით  
ფილოლოგია. მუშაობს დაბა მანინჯაურში სახლგაო ნავიგაციის  
ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ.
- 26/19 – მამუკა ილიას ძე – დაბადებული 1973 წ.  
წარჩინებით დაამთავრა ბათუმის სახლგაო აკადემია. გემთწამყვანის  
სპეციალობით. ცურავდა კაპიტნის თანამშემწედ, შემდგომ დაწინაურდა.  
ცურავს კაპიტნად სხვადასხვა სახელმწიფოს კომპანიების გემებზე.  
დაჯილდოებულია მრავალი სიგელითა და ფულადი პრემიით.  
შეყვანილია ინტერნეტში - მსოფლიოში საუკეთესო კაპიტნების სიაში.  
მეუღლე - ლია ბერიძე, პედაგოგი.



26/20 – თემურ ილიას ძე- დაბადებული 1975 წ.

1997 წელს დაამთავრა ბათუმის საზღვაო აკადემია. ცურავდა კაპიტნის 3-ე თანაშემწედ. 2003 წლიდან მიენიჭა შორეული ნაოსნობის კაპიტნის წოდება. ცურავს საზღვარგარეთის სწავლასწავა კომპანიაში კაპიტნად. დაჯილდოებულია მრავალი სიგელითა და ფულადი პრემიით. მეუღლე - თეონა ირემიძე – იურისტი.

26/21 – ავთანდილ ჯეგდეტის ძე - დაბადებული 1978 წ.

დაამთავრა ბათუმის საზღვაო აკადემია. ინჟინერ-გემთწამთყვანის სპეციალობით. 1993-2005 წლებში მუშაობდა აჭარის მინისტრთა საბჭოს საგარეო - ეკონომიკურ განყოფილებაში ოპერატორად. 2005 წლიდან ცურავს ამერიკულ კომპანიაში კაპიტნის მეორე თანაშემწედ. მეუღლე - მჭავანაძე თამარ- ეკონომისტი.

26/22 – შორენა ჯეგდეტის ასული – დაბადებული 1974 წ.

დაამთავრა ბათუმის ჰედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობს საზღვაო აკადემიაში ჰედაგოგოვად.

26/23 – ნათია ჯეგდეტის ასული – დაბადებული 1987 წ.

დაამთავრა ბათუმის №1 საშუალო სკოლა, შემდგომ ბათუმის უნივერსიტეტი. ეკონომისტია.

\* \* \*

იქ, სადაც უმოდვაწით დაამჟამადაც მოღვაწეობენ შერვაშიძეები, გვარს და თავის კუთხეს ალამაზებენ, დიდებს მატებენ – აჭარას. მძიმეა ქუდი მონომანისა, ძალზე მძიმეა და საამაყო ის უღელი, ის ნამუსის ქუდი, რომელსაც შერვაშიძეები ატარებენ.

სახელოვანი წინაპრების ნათელმირონს გადასცემენ მომავალ თაობას და წინაპართა ტრადიციების ერთგული მსახურნი არიან.

ნათქვამია: – გემრიელ ლუკმას ბოლოსთვის შემოინახვენ, ამიტომაც შემოვინახე.

შერვაშიძეთა გვარის დვიდლი შვილების მოკლე ცხოვრებისეული ბიოგრაფიები:

- ბატონების: - რამაზ დურსუნის ძე სურმანიძის;
- თემურაზ მისეილის ძე ლორთქიფანიძის;
  - ციური გიორგის ასული კახიძის;
  - დავით რეზოს ძე მიქელაძის;
  - თემურ ილიას ძე შერვაშიძის;
  - ირაკლი ნოდარის ძე გოგოლიშვილის;
  - ირაკლი არჩილის ძე შერვაშიძის;
  - დავით რევაზის ძე შერვაშიძის;
  - თორნიკე თენგიზის ძე მანაჭაძის;
  - მურმან გორგოშაძის;
  - გურამი ბოლქვაძის;
  - მარიამ შერვაშიძის.



- რამაზ დურსუნის ძე სურმანიძე – (დიდებობით შერვაშიძე)





დაიბადა 1933 წლის 10 მაისს შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში მოსამსახურის ოჯახში. აქვე დაამთავრა 8-წლიანი სკოლა. 1947–1950 წლებში სწავლობდა ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. დაამთავრა 1956 წელს, მიენიჭა ექიმ-პედიატრის კვალიფიკაცია. გაამწვეს შუახევის რაიონის სოფელ ბარათაულის ამბულატორიის გამგე ექიმად, იმავდროულად მუშაობდა უბნის ექიმად.

1957 წელს გადაიყვანეს შუახევის რაიონის მთავარ ექიმად.

1963 წლიდან დანიშნეს ქ. ბათუმის № 1 საავადმყოფოს პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარი ექიმის მოადგილედ. აქაც ასრულებდა უბნის ექიმის მოვალეობას. მომდევნო წლებში რ. სურმანიძეს ეკავა ქ. ბათუმის ჯანდაცვის განყოფილების გამგის, კურორტების მართვის საბჭოს თავმჯდომარის, აჭარის ასსრ ჯანდაცვის მინისტრის პოსტები. არაერთხელ გაიარა დახელოვნების ციკლი, რის შემდეგ მიენიჭა სოციალურ-ჰიგიენისტი და ჯანდაცვის ორგანიზატორის უმაღლესი კატეგორია. 1978 წელს მონაწილეობდა ქ. ალმა-ათაში გამართული საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას და სანიტარიულ სამსახურს მიეძღვნა. 1969 წლიდან დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. - ის იყო საგანგებო მდგომარეობისათვის მედიცინის დების მომზადების კურსების ხელმძღვანელი და სოციალური ჰიგიენის, ჯანდაცვის ორგანიზაციისა მედიცინის ისტორიის ლექტორი. 1968 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1974 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება.

1990 წლის ოქტომბერში შუახევის საარჩევნო ოლქში აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის მაჟორიტარ დეპუტატად.

1991 წელს დააფუძნა ქ. ბათუმში სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტი და ამჟამად მისი რექტორი გახლავთ.

რ. სურმანიძე არის აჭარის უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი. გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 22 მონოგრაფია. 1999 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პროფესორის წოდება. მინიჭებული აქვს აგრეთვე საქართველოსა და აჭარის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია მთავრობის სიგელებით. არის ღირსების ორდენის კავალერი.

1997 წელს მას ნაშრომისათვის „ქართული კარაბადინი მე-18 საუკუნეში“ აბუსერისძე-ტყეშელის სახელობის სახელმწიფო პრემია, ხოლო 2001 წელს მას ზაქარია ჭიჭინაძის პრემია მიენიჭა.

არის ქ. ბათუმისა და შუახევის რაიონის საპატიო მოქალაქე.

ბატონ რამაზ სურმანიძეს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ სასახელო მამულიშვილების დგაწლი არ შთანთქა დავიწყების ბურუსმა. მისი, ინგა გოგოლიშვილისა და დურსუნ კონცელის ინიციატივით 2004 წელს აჭარის ტელევიზიაში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც გადაიღო სატელევიზიო დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმი აჭარის შერვაშიძეებზე.

2004 წლის 30 ოქტომბერს აჭარის ტელევიზიაში ეთერში გადასცა მოკლემეტრაჟიანი ფილმი „შერვაშიძეები“.

ეს ფილმი შერვაშიძეთა ოჯახების უძვინფახესი რელიკვიაა.









რამაზ სურმაანიძე და რევაზ შერვაშიძე ორნახევარი საუკუნის წინ ხელით ნაკვეთი სუფრით, სეფერ - ბეგის ძირძველ სახლთან. – სოფელი ოქტომბერი 2004 წ.



2004 წ. სოფ. ოქტომბერი, აჭარის ტელევიზიის ჯგუფი თუფან-ბეგის საფლავთან.



აჭარის სათავადაზნაურო საბჭოს თავმჯდომარესთან: მარცხნიდან თენგიზ თავდგირიძე, სიმშიაშვილი იოსები, ლორთქიფანიძე ნუგზარი, შერვაშიძე ირმა, რამაზ სურმანიძე, გონა შერვაშიძე, ბოლქვაძე ვაღერი, ჩიქოვანი სოსო, რევაზ შერვაშიძე და ჟორდანიას ნუგზარი.



რამაზ სურმანიძის 75 წლისთავზე.







დაიბადა 1968 წლის 1 დეკემბერს ქ. კემეროვოში. 1986 წელს დაამთავრა ბათუმის №1 საშუალო სკოლა წარჩინებით. 1986–1991 წლებში სწავლობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგია-ქიმიის ფაკულტეტზე .

1992 წელს იმაღლებს კვალიფიკაციას თბილისის ექიმთა და სელოვნების ინსტიტუტში.

1993 წლიდან მუშაობა დაიწყო ბათუმის სამშობიარო სახლის ლაბორატორიაში ექიმ-ლაბორანტად. 2006 წლიდან დღემდე არის ამავე სამშობიარო სახლის ქალთა კონსულტაციის ლაბორატორიული განყოფილების გამგე.

მეუღლე - გიორგი ფასიეშვილი - მშენებელ-ენერგეტიკოსი.

### დავით რეზოს ძე მიქელაძე - (დედით შერვაშიძე)



დაიბადა 1985 წლის 30 ივნისს ქალაქ ბათუმში. წარჩინებით დაამთავრა ბათუმის დავით აღმაშენებლის სახელობის გიმნაზია და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

2007 წელს სწავლა განაგრძო ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (ბუდაპეშტი, უნგრეთი) და პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ მიიღო პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი. სწავლის დამთავრების შემდეგ ცხოვრობს და მოღვაწეობს ბუდაპეშტში. 2008-2009 წლებში იყო კომპანია „Stamford Global“-ის პროექტების მართვის დეპარტამენტის აღმასრულებელი კონსულტანტი, ხოლო 2009 წლიდან არის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის სტუდენტთა რეკრუტირების მენეჯერი. ხშირი სამსახურეობრივი მივლინებით არის ნამყოფი მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში. არის სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომლებიც გამოიცა აშშ-ში, გერმანიასა და რუმინეთში.

2011 წლის თებერვლიდან სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად სწავლობს Executive MBA პროგრამას.

### თეიმურაზ მისეილის ძე ლორთქიფანიძე- (დედით შერვაშიძე)



( 1946–2013)



### თემური მიხეილის ძე მეუღლესთან - ნანა ნოლაიძელთან

დაბადებული 1946 წელს. დაამთავრა წარჩინებით ქ. ბათუმის მე-9 საშუალო სკოლა.

1970 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. მუშაობდა სანატორიუმ „აჭარის“ ექიმ-თერაპევტად. 1970 წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათაშვილის ექსპერიმენტალური მორფოლოგიის ინსტიტუტში ასპირანტად, შემდგომში იყო ამავე ინსტიტუტის ჯერ უმცროსი, შემდეგ უფროსი და ბოლოს წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მუშაობდა მორფოლოგიის ინსტიტუტში, პარალელურად საქმიანობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. 1991-1993 წლებში იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა კათედრის ასისტენტი.

1993 წლიდან დაინიშნა საქართველოს ჯანდაცვის ნაციონალური ცენტრის საოჯახო მედიცინის ამბულატორიის ხელმძღვანელად, შემდგომ საოჯახო მედიცინის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილედ. პარალელურად მუშაობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა კათედრის გამგის მოადგილედ. არის საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი. აქამად თავდაცვის სამინისტროს ჯარში გამწვევი სამედიცინო კომისიის თავმჯდომარეა. არის მედიცინის დოქტორი.

დაჯილდოებულია მრავალი სიგელით, მედლითა და ფუდადი პრემიით.

მეუღლე – ნანა ალექსანდრეს ასული ნოლაიძელი, ექიმ-დერმატოლოგი, მედიცინის დოქტორი, სტუმართმოყვარე, პურმარილიანი დიასახლისი, არაჩვეულებრივი დედა და ბებია. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრის დამაარსებლის პროფესორ - ქიმიკოსის ალექსანდრე ნოლაიძელის ქალიშვილი.



– დაბადებული 1975 წ.

1992 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის 26-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის საზღვაო აკადემიაში, რომელიც 1997 წელს დაამთავრა ასევე წარჩინებით. ცურავდა კაპიტნის 3-ე თანაშემწედ. 2003 წლიდან მიენიჭა შორეული ნაოსნობის კაპიტანის წოდება.

ცურავს საზღვარგარეთის სწავლასზე კამპანიებში კაპიტნად.

დაჯილდოებულია მრავალი სიგელითა და ფულადი პრემიით.

### ირაკლი ნოდარის ძე გოგოლიშვილი-(დედით შერვაშიძე)



დაიბადა 1981 წლის 18 აგვისტოს. 1996 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის №2 საშუალო სკოლა.

2002 წელს დაამთავრა ბათუმის რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი-ეკონომიკის ფაკულტეტი, შუბლეზ სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მაგისტრატურა.

2001-2004 წელს მუშაობდა შ.პ.ს „ორი ზური“-ს მთავარი ბუღალტრის თანამშრომელად.

2005-2006 წლებში აჭარის ფინანსთა სამინისტროს მთავარ ბუღალტრად.

2006-2008 წლებში შპს „ანაგი“-ს ფინანსური დირექტორი.

2008 წლიდან დღემდე შპს „ანაგი“-ს გენერალური დირექტორია.



### ირაკლი არჩილის ძე შერვაშიძე



– დაბადებული 1979 წ.

1996 წ. დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა, წარჩინებით – 2001 წელს ბათუმის სახელმწიფო საღვაო აკადემია ინჟინერ - ელექტრომექანიკოსის კვალიფიკაციით, წარჩინებით. ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში, მესამე კურსის სტუდენტმა საზღვარგარეთ ყოფნისას თავი გამოიჩინა როგორც გამოცდილმა და კვალიფიცირებულმა ელექტრომექანიკოსმა, შეაკეთა დაზიანებული საკომპიუტერო ელექტროსქემა და მნიშვნელოვანი თანხა დაუზოგა გემთფლობელ კომპანიას. ირაკლიმ, ჯერ კიდევ 18-19წლის ახალგაზრდამ კაპიტანს თხოვა, რომ მისთვის მიენდოთ ეს საქმე, და მართლაც 15 წუთში მოაგვარა ყველაფერი.

2005 წელს ამთავრებს აკადემიას გემთწამყვანის კვალიფიკაციით.

2002 წლიდან მუშაობს გერმანულ სანაოსნო კომპანიაში ინჟინერ ელექტრო-მექანიკოსად.

მიღებული აქვს მრავალი სიგელი და ფულადი პრემია.

შეყვანილია ინტერნეტში მსოფლიოს საუკეთესო ელექტრო-მექანიკოსების სიაში.



დაიბადა - 26. 07. 1988 წელს ქ. ბათუმში. 2005 წელს წარჩინებით, ოქროს მედალზე დაამთავრა წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია. იმავე წელს წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და სრული გრანტით ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ამავდროულად მონაწილეობდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულ მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამაში FLEX, რომელშიც გაიმარჯვა. ის მოხვდა 4500 მონაწილიდან 49 გამარჯვებულ მოსწავლეს შორის და იმავე წელს გაემგზავრა აშშ-ში, სადაც 1 წლის განმავლობაში სწავლობდა მიჩიგანის შტატის ქ. უესტ-ბრენჩის სკოლაში.

აკადემიური წარმატებების გარდა მან მრავალ წარმატებას მიაღწია სპორტის სხვადასხვა სახეობაში და ასევე გაიმარჯვა სკოლის ნიჭიერთა კონკურსში, რის შესახებაც მასზე შტატის გაზეთში გამოქვეყნდა სტატია.

ფლობს ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ესპანურ ენებს.

2008 წლის თებერვალში მონაწილეობდა ახალგაზრდული მსოფლიო პარლამენტის პირველ, დამფუძნებელ კონფერენციაში, რომელიც გაიმართა გერმანიაში, ქ. ბონში.

2008-2009 წლებში მუშაობდა საერთაშორისო განათლების ამერიკულ საბჭოებში კურსდამთავრებულთა კოორდინატორის პოზიციაზე.

2009 წლიდან დღემდე მუშაობს აშშ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის საქართველოს მისიაში.



დაიბადა 1959 წლის 19 იანვარს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოში.

1977 წელს დაამთავრა მახოს საშუალო სკოლა წარჩინებით.

1977-1981 წწ. ამთავრებს ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტს.

1981-1986 წწ. ამთავრებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია – ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტურას.

1988-2001 წწ. – ამთავრებს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს.

1988 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

დღემდე ბათუმის რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორია.

მეუღლე - ქეთევან გვარჯელაძე - პედაგოგი. ქალიშვილები: – ანანო და თათია.



ეროვნული  
ცენტრი  
საგანმანათლებლო  
კვლევებისა და  
ინოვაციების  
საზღვარგარეთო  
კავშირების  
სამსახური



გურამ მამიას ძე ბოლქვაძე (ბებიით შერვაშიძე)



(1946-2015)

გურამ მამიას ძე ბოლქვაძე - დაიბადა 1946 წლის 19 იანვარს ბათუმში მოსამსახურის ოჯახში.

1964 წელს დამთავრა ბათუმის № 2(ამჟამად ბირველი) სკოლა, შემდეგ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო სკოლის დამთავრების შემდეგ.

1964-1967 წწ. – მუშაობდა მუშად ბათუმის ფენსაცმლის ფაბრიკაში.

1968-1969 წწ. - №5 სამშენებლო ტრესტში მუშა ლაბორანტად.

1969-1971 წწ. - არჩეულ იქნა №5 სამშენებლო ტრესტის განთავისუფლებული კომკავშირის კომიტეტის მდივნად.

1972 წლიდან საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კომკავშირის კომიტეტის განთავისუფლებული მდივნის მოადგილე, შემდგომ მდივანია.

1975-1980 წწ. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, შემდგომ პარტ. კომისიის თავმჯდომარეა.

1980-1991 წწ. ქ. ბათუმის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეა.

1991-1999 წწ. ტურისტული კომპლექსის „მესხეთის“, დირექტორია.





1999-2005 წწ. ბათუმის ვაჭრობის საქალაქო სამსახურის უფროსია.

2005 წლიდან ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორია. დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდგომ მუშაობდა კერძო სექტორში სასტუმრო-კვალაგრო-შპს ადმინისტრატორად სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

2015 წლის 19 თებერვლს კი გაჩერდა მისი გული.

ყველგან, სადაც იმუშავა გურამ ბოლქვაძემ, მოიბოვა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა. იგი იმ ცნობილ და წარმოჩენილ ბათუმელთა კოჰორტის წარმომადგენელია, რომლებმაც დიროსულად განაგრძეს სახელოვან წინაპართა ჯანსაღი ტრადიციები.

ამოუწურავი ენერჯისა და შესაძლებლობების მქონე პიროვნება შეუდარებელი იყო ამა თუ იმ საქმის წამოწყება-მართვაში. -ჭირსუფალიც იყო და ღნინის- უფალიც!..

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილშობილი სული ნათელთა კაცო!**

### თორნიკე თენგიზის ძე მახაჭაძე - (დედით შერგაშიძე)



დაიბადა 1994 წლის 22 დეკემბერს ქალაქ ბათუმში.

2001 წელს ჩაირიცხა რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის ლიცეუმში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 2013 წელს. გატაცებული არის ქორეოგრაფიით. ნამყოფია თურქეთში, ბულგარეთში, ესტონეთსა და გერმანიაში. არის მრავალი ფესტივალის კონკურსის ლაურეატი. სკოლის ასაკიდან ჩართულია სხვადასხვა ანაღგაზრდულ პროექტებსა და აქტივობებში. მისმა ნაშრომმა ქიმიაში გაიმარჯვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც თვითონ იყო მიწვეული პრინის მისადგებად. ამჟამად სექტემბრიდან უმაღლესი განათლების მისადგებად სწავლას განაგრძობს ჩეხეთის რესპუბლიკის, პრაღის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტზე.



დაიბადა 1998 წლის 28 აგვისტოს.

2004 წლიდან ქ. ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის №1 სკოლის მე-11 კლასის წარჩინებული მოსწავლეა. საუკეთესო აკადემიური მოსწრების გამო განათლების სამინისტროსა და სკოლის მიერ მრავალჯერ დაჯილდოებულია საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

სისტემატიურად მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსში და ხშირად იმარჯვებს.

2012 წელს, როგორც კონკურსში გამარჯვებული 2 კვირით იმყოფებოდა ინგლისში ქ. ლონდონში საზაფხულო ბანაკში.

ასევე, როგორც წარჩინებული მოსწავლე განათლების სამინისტროს მიერ 10 დღით გაგზავნილ იქნა თურქეთის რესპუბლიკაში ქ. იზმირში სამეცნიერო ბანაკში.

მრავალჯერ მონაწილეობა აქვს მიღებული თურქეთის რესპუბლიკაში, ბულგარეთში სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალებში.

მიღებული აქვს გამარჯვებულის საპატიო სიგელები.

\* \* \*

დიდი სიხარულის მომგვრელი და ფრთების შემსხმელია ისტაქტი, რომ 2005 წლის 29 მაისში ბათუმში - ქალბატონ ია ბაგრატიონ-მუნრანელის გულისხმევითა და თანადგომით დაფუძნდა „საქართველოს თავად-აზნაურთა და მათ გვერდით მდგომთა“ - აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია. მის ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში დიდი წვლილი მიუძღვით ბატონ თენგიზ თავდგირიძეს, ნუგზარ ლორთქიფანიძეს და პროფესორ რამაზ სურმანიძეს.

*ვულოცავ აჭარის ყველა წარჩინებულ გვარის წარმომომადგენელს ამ დიდ გამარჯვებას. ვუსურვებ წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში!*



ია ბაგრატიონ-მუნრანელი და მე - ბათუმის დაარსების 125 წლისთავზე.

ბათუმი. 31. 08. 2013 წ.



ია ბაგრატიონ-მუნრანელი აჯილდოებს ჟურნალისტ ირმა სერგოს ასულს  
სათაგადაზნაურო საქოს საპატიოსნელოთ – ბათუმის დაარსების 125 წლისთავზე.  
ბათუმი. 31.08.2013 წ.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ქ. ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ მურმან ბერიძეს

ქ. ბათუმის ინტელიგენციის წარმომადგენლებისა და აჭარაში მცხოვრებ შერვაშიძეთა საგვარეულოს

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

როგორც თქვენთვის ცნობილია საქართველოს ჰყავდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მრავალი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მათ შორის ერთ ერთი იყო თამარ მეფის ორდენის კავალერი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის აქტიური მებრძოლი, ტარტუს (ქ. იურევის) უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პირველი აჭარელი ექიმი, გვარდიის პოლკოვნიკი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელწერის ავტორი, - ყადირ თუფანისძე შერვაშიძე (1887-1919), რომელიც სრულიად ახალგაზრდა 32 წლის ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან ვალძოხდილი. ის ცხოვრობდა ქ. ბათუმში ბუშკინის ქუჩა № 78 ში, ამჟამად მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად აღნიშნულ მისამართზე არის მემორიალური დაფა.

ბათუმში არის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მრავალი სახელოვანი საზოგადო მოღვაწის - შაიდარ აბაშიძის, მექედ აბაშიძისა და სხვათა ქუჩები. ყადირ თუფანისძე შერვაშიძის ღვაწლი და მოღვაწეობა კი რატომღაც დავიწყებამ მიეცა.

ბათუმში ადრე არსებულია ყადირ შერვაშიძის სახელობის ქუჩა, მაგრამ შემდგომში რატომღაც სახელი შეუცვლიათ.

ჩვენს ვალად ვთვლით პატივი მივაგოთ ღვაწლმოსილ წინაპართა ნათელ ხსოვნას, რათა დავიწყებამ არ მიეცეს მათი სახე და სახელი.

აჭარის ინტელიგენციისა და შერვაშიძეთა საგვარეულოს სახელით მოგმართავთ თხოვნით ქალაქის ნებისმიერ ქუჩას, ან იქ სადაც დაიბადა და გაიზარდა — ყადირ შერვაშიძე, დაერქვას მისი სახელი და ეწოდოს - ყადირ შერვაშიძის - ქუჩა.

იმედია, გულისყურით მოეკიდებით ამ საქმეს და უყურადღებოდ არ დატოვებთ ჩვენს თხოვნას.

წინასწარ გინდით დიდ მადლობას.

ქ. ბათუმის ინტელიგენციის სახელით:

პროფესორი:

პროფესორი:

პროფესორი:

პროფესორი:

პროფესორი:

პროფესორი:

პროფესორი:

/რამაზ სურმანიძე /

/ აზიზ ახვლედიანი /

/ გიორგი სტურუა /

/ ჯემალ ბერიძე /

/ ამირან კახიძე /

/ მამია ფალავა /

/ შოთა მამულაძე /

შერვაშიძეთა საგვარეულოს სახელით:

საგვარეულო საბჭოს მდივანი:

/ რევაზ შერვაშიძე /

ბათუმი დ. თავდადებულის ქ. № 71

მობ. 893-10-08-14

V. 2006 წ.

საქართველო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა  
თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის  
საკრებულო

ქ. ბათუმი  
„5“ თებერვალი, 2009 წელი

№8

**ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა**

ქალაქ ბათუმში, „მახაჩკალის აღმართისათვის“  
საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლისა  
და საზოგადო მოღვაწის, თამარ მეფის ორდენის კავალერის  
ყადირ შერვაშიძის სახელის მინიჭების შესახებ

ცნობილი საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლისა და თამარ მეფის ორდენის კავალერის - ყადირ შერვაშიძის ღვაწლისადმი ერთგვარი პატივის მიგების, მისი სახელის ხსოვნისა და უკდავყოფისათვის ხელშეწყობის მიზნით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქ. ბათუმში, „მახაჩკალის აღმართს“ ეწოდოს ყადირ შერვაშიძის სახელი.
2. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიამ (რ. ჩხაიძე) წინამდებარე განკარგულების შესრულების მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება ამოქმედდეს საკრებულოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი კირთაძე





## თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო

ქ. ბათუმი  
„ 31 “ აგვისტო, 2011 წელი

№220

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა


ქ. ბათუმში, პუშკინის ქ. №78-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე თუფან ზეგ შერვაშიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულომ გადაწყვიტა:

